



№52(133) 26/XII 2002. 411 2003.

ფასი 60 თ.

F 1224
2002

ახალწლის ღამის ნამდვილი ზღაპარი

ერთი უჩვეულო სიყვარული



ახალწლო კურიოზები: გუნჯი ორგოში, ჭიქაჭამია სტუმარი და...



უკან მანანბაძე — ახალგაზრდობის ღმორენა



გოაზროვნე ადამიანთა კონფლიქტი



გიორგი (კახა) კახაბრიშვილი:

**.....ზეიქლება დავარქვამთ ქორცილი უკუღმა:
საზიგოდ გამოწყობილი ნყვილი
განქორციინდება მგობრებისა
და გაყრების თანდასწრებით,
მერა სხლუი მიღის და... ამ დროს..."**

გვ. 9

მინიატურა

როგორი წინასწარმეტყველი ვარ?!! 3

ერთი კითხვა 4

ბუდი
ახალწლის ღამის გლაკარი, როგელსაც ჰეშიენდი არ ეწერა... 6

კაპორტაჟი
როგორ იღებენ საახალწლო პროგრამებს 9

პროფსიონალი
კოქტეილი - სასწაულების ხელოვნება 12

კრიმინალი
ჯერ მამა მოკლა, შემდეგ თხუთმეტი წლის შვილი - სისსლიანი ტრაგედია ნალიბაიძეების ოჯახში 14

ავტოპო
რას ელოდება სენისა და ცხოვრებისგან 16 წლის გუკა მანაგაძე... 16

თემა
პოლიტიკა, პოლიტიკოსები და პოლიტიკანები 18

ღაზაქორი
გურაბ ტყემალაძის ხელმოკლე ბავშვობა, „გლაკრული“ ტყუილი და ღამის „შეშინებებითი“ ბართობა პარიზში 21

ანტიფარსანტი
ინფორმაციულ-შეშინებებითი კოლაჟი გონა ღვალის უბის წიგნაკიდან 22

სასწაულო
მუნჯი ორმოში, ჭიქაჭამია სტუმარი და ახალწლის ღამის სხვა კურიოზები 24

პრობლემა
შუქი და ღვრისია ანუ ვის აქვს ხელს ჩვენი ღაპაღაპა?! 26

ტანტი
ერთგული მკითხველი 28

ფანოქანი
უსინათლო თამუნა შალვაშვილი საფორტეპიანო მუსიკის მწვერვალზე იყვრობს 29

შეამოწმეთ თქვენი ხოცა
ტანტი ერუდისიაგა 31

მავიის სამყარო
მარჩიელოვა ახალი წლის ჩადონსურ ღამეს 32

ახალწლის ღამის ზღაპარი




„ღმერთო, მომეცი სიყვარული! დამბრუნე მამა! ბოლო მოუღე ჩემს უფულობას!“ – აი, ის სამი სურვილი, რომელიც ნინომ ჩაუთქვა ახალ წელს. გადის ორი საათი და ოთახში გაღიმებული თოვლის ბაბუა შემოდის... რა მოხდა შემდეგ? აუხდა თუ არა ნინოს ოცნება? – ამაზე სწორედ „თოვლის ბაბუა“ გვესაუბრება.

6

შუქი და ღვრისია

ბავშვები განსაკუთრებულად აღიქვამენ სიბნელეს. „ვაიმე, შუქი წავიდა!“ – ამბობს დედა და თვითონაც ვერ გრძნობს, როგორ თრგუნავს ამ სიტყვებით თავის პატარას. თუ ბავშვი იმხელაა, რომ აცნობიერებს, რას ნიშნავს „შუქი წავიდა“, ის ორმაგად იმუხტება უარყოფითი ემოციით...



26

რას ელოდება სენისა და ცხოვრებისგან 16 წლის გუკა მანაგაძე...




პირველი სიმღერაც – „ყვავილები თოვდა, თოვდა“ და მეორეც – „წვიმა მოდის“ მამაჩემის სიმღერებია. „წვიმა მოდის“ რაღაცნაირი, სხვანაირი სიმღერაა. ლევან ლაზარაშვილის სტუდიაში ვწერდით მას და ორივეს – მეც და ლევანსაც ცრემლები მოგვდიოდა...

16

მუნჯი ორმოში, ჭიქაჭამია სტუმარი და ახალწლის ღამის სხვა კურიოზები

კიდევ იყო ასეთი შემთხვევა: დიდუბიდან დარეკეს, – სასწრაფოდ უშველეთ, ვიდაც კაცი ორმოში ვლია, თვალებს აჭყეფს, მაგრამ ხმას ვერ იღებსო. ადგილზე მისულმა ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ეს, დაახლოებით 40 წლამდე ასაკის მამაკაცი მუნჯი ყოფილა...



საქართველოს მრავალწლიანი პილიტიკა

24

ტაქარი

რა უნდა ვინცოდათ სინანულის
საიღუპელსთან დაკავშირებით? 34

რწმუნა

წმინდა ნიკოლოზი,
სანტა-კლარის და
ახალი წლის ათვლის წესი 35

ფაქობიჯი

36

საფეხურთო კურიოზები

38

პარსკვლავი

საშინელებათა კინოს დედოფალი,
ჯენიფერ ლავ ჰიუიტი, „კარგი
გოგონას“ ამოღებულ ოსტაბლს 39

რომანი

რუსულან ბერიძე,
ქალური ინტენსია ანუ
ჩინაბიას შრთები (ბაბრეკელება) 42

სპორტული მოვლენა

46

სხენა

საქმეაქლი, რომელმაც
დროებით დაუბრუნა
საქართველოს მერაბ ნინიძე 48

კრეატივთა

სახალისო ორკვირული
და შევინფორმებული
საინფორმაციო ბალანსები 49

ავტო

50

დაფილე

საბაგაფსულო კოლექციის
ჩვენება სამეფო
უბნის თეატრში 52

აქეთური-ჩიეთური

53,54

ჯანმრთელობა

- საახალწლო დაავადება 56
- როგორ შევხვდეთ
დღესასწაულს 57
- დიასახლისის კუთხე 58
- თქვენნი კატარა 59

ტენტი

როგორი ბანწყობით
ხვდებით ახალ წელს 60

სანაოროდი

61

კოროსკოვი

2003 წლის
ასტროლოგიური პროგნოზი 62

კალენდროსკოვი

64

ბარეკანაზა: ბიორგი შორაშლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლტიკური შურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუთვაბათობით
გაზეთი „კვირის კალიტრის“ დამატება
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**პარსიელობა ახალი წლის
ჯადოსნურ ღამეს**



აი, სადაცაა 2003 წელი შემო-
აღებს კარს, საუკუნეების განმე-
ლობაში ჩამოყალიბებულმა გრადი-
ციამ ჩვენამდეც მოაღწია. ახალი
წლის ჯადოსნურ ღამეს გრადიცი-
ული მკითხაობით შეგიძლიათ შეიქ-
ციოთ თავი. რადგან ბელი არ გვეხ-
უმრება, იქნებ, ჩვენ გავხვდეთ?

32

საფეხურთო კურიოზები

მოგლანდის ჩემპიონატზე, ერთ-
ერთი მაგის დროს, მოედანზე ისე-
თი ნისლი ჩამოწოლიდა, რომ...
რადაც მომენტში, თურმე 30 ფეხურ-
თელი თამაშობდა. კარგად მახს-
ოვს, რომ ხუთი გოლი გავიგანე, მა-
გრამ არ ვიცი – ვის კარშიო, – უთ-
ქვამს ამ კურიოზული შეხვედრის
მონაწილე ერთ-ერთ მთამაშეს.



38

**საშინელებათა კინოს დედოფალი
– ჯენიფერ ლავ ჰიუიტი**



კინოკრიტიკოსები ფილმის პრე-
მიერამდე სურათისადმი უარყოფით
დამოკიდებულებას არ ფარავდნენ
და იმ ეგაჰზე ვერც ვერავინ წარმო-
იღვენდა, რომ ეს კინო ჰიგად იქნე-
ოდა. და აი, სურათი ევრანებზე გამ-
ოვიდა, ახალგაზრდობამ აიგაცა იგი...
იმეამად პიუიტი 18 წლის გახლდათ.

39

*ქალური ინსუიკია
ახლ ჯიამაიას თროიები*


ახმას, ეგეობა, ნინის ხეწნამ გული
მოუღბო, გოგი გორგილაძეს ნომერ-
ში მართლა დაურეკა და ორ წუთში
ნინის მისი პასუხიც სიგყვასიგყვით
გადასცა:

– ბაგონმა გოგიმ მითხრა, არც
ქურნალ „კინონონსზე“ მსმენია რამე
და არც თამარ რჩეულიშვილზე, ამი-
გომ, ჩემთან არავინ შემოუშვალ.



42

დათვი ზამთარში



ჩემს ბავშვობაში ერთი ინგლისური ფილმი მაქვს ნანახი, რომელიც მაშინ უკვე ძველ ფილმად ითვლებოდა, ამიტომ ბევრ თქვენგანს იქნებ არც გაუგია — „ლომი ზამთარში“ ერქვა.

ის ფილმი, როგორც მასსოვს, მეფეს, სახელმწიფოს უმაღლეს პოლიტიკურ ელიტას ეხება და ამდენად, მთავარი გმირის ლომთან შედარებაც უპრიანია. მით უმეტეს, რომ, როგორც ცნობილია, ლომი ბრიტანეთის სამეფო კარის სიმბოლოდ არის მიჩნეული.

„ზამთარი“ კი, ალბათ, ეფექტისა და ორიგინალობისთვის არის სათაურში შერჩეული — სიუჟეტის მიხედვით, თოვლ-ყინვიანი ზამთარი ივლისსმება და ლომი თოვლში, დამთვანხმებით, საკმაოდ იშვიათი და არაორდინარული მოვლენაა.

სულ სხვაა დათვი — აბა დაუფიქრდით, რაიმე არაბუნებრივსა და უცნაურს თუ ხედავთ სიტყვებში: „დათვი ზამთარში“?! ცხადია, არა! პირიქით — ბავშვობიდან ვიცით, რომ დათვი ზამთარში თავის ბუნაგში წევს და ტკბილად სძინავს, როცა მოშვიდება — თათს ილოკავს, როცა კარგ სიზმარს ნახავს — საყვარლად ბურღუნებს... მაგრამ გაიხსენეთ, ბავშვობიდან ისიც ვიცით, რომ ქართული ღვინო მსოფლიოში საუკეთესოა, ქართული „ბორჯომი“ — მსოფლიოში ყველაზე სასარგებლო მინერალური წყალი, ქართველი ქალი — მსოფლიოში ულამაზესი, ქართული მარგანეცი — მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხარისხის, ქართული ვირი — მსოფლიოში ყველაზე გამძლე (ვირებზე ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ) და საერთოდ — „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“ ამიტომ ქართული დათვიც ყველაზე მაგარი დათვია მსოფლიოში (თუმცა, რამდენად ქართულია ის დათვი, რომელსაც ვგულისხმობ — სადავო საკითხია!) ყველაზე მაგარია იმიტომ, რომ ბუნების კანონების მიუხედავად, სწორედ თოვლ-ყინვიან თბილისურ ზამთარში დაიბადა და მაშინვე დაიწყო „ბურღუნა“ (თუმცა, არც ისე „საყვარლად“, როგორც ზემოთ ვწერდით).

ღიას! — ჩვენს ცა-ფირუზ-ხმელეთსურ-მუხტოვან ქვეყანას კიდევ ერთი პარტია შეემატა, სახელად — „დათვი“!

„დაე, ამობრწყინდეს თავისუფლების ვარსკვლავი“ — „პოლიტიკურად“ ასე იშიფრება ეს სიტყვა, თუმცა ბოლო „ი“-ს „ფუნქცია“ ვერ დავადგინე, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ბოლოს, „დათვი“ გამოდის და ეს ცხოველი კი, მთელ მსოფლიოში რუსეთთან ასოცირდება, იმის მიუხედავად, რომ იქ მხოლოდ ერთი თუ ორი სახეობის დათვი ბინადრობს; მაგალითად, ამერიკაში კი — რვა თუ ათი.

დათვი რომ მოვერევა, ბაბა დაუძახეო! — ნათქვამია. ამიტომ სანამ მომერევა და როგორც აპირებს — რუსების უკანალში შეგტყენის ყველას, მანამდე უნდა მოვასწრო და ვთქვა ყველაფერი, რასაც მასზე ვფიქრობ.

დათვი, როგორც ზოოლოგები ირწმუნებიან, არ გამოირჩევა განსაკუთრებული ჭკუითა და გონებამახვილობით, მეტიც —

ბუბუქოვრებს შორის ერთ-ერთ ყველაზე უჭკუო ცხოველად ითვლება. ის, რომ ცირკში ველოსიპედებს და მოტოციკლებს ატარებენ „შარვალ-კოსტიუმში“ გამოწყობილი დათვინები, მათ საოცარ ჭკუაზე კი არ მეტყველებს, არამედ მათი მომთვინიერებლის ეშმაკობასა და სხვების დამორჩილების უნარზე... და კიდევ იმაზე, რომ დათვის, ერთი ნატეხი შაქრის საფასურად, იმასაც კი გააკეთებინებ (ან ხალხს მოაჩვენებ, რომ აკეთებს), რისი ტვინიც ღმერთმა არ მისცა...



კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი: დათვი, როგორც წესი, ბალახის მჭამელი ცხოველია. მაგრამ საკმარისია, ერთხელ გადაუხვიოს ნორმიდან, ერთხელ გასინჯოს სისხლიანი ზორცის გემო, რომ იგი მტაცებლად იქცევა და განსაკუთრებით საშიში ხდება სხვა ცხოველებისთვისაც და რაც მთავარია, — ადამიანებისთვისაც. „ნორმიდან გადახვევაში“, ცხადია, იმასაც ვგულისხმობ, რომ ნორმალურ დათვს ზამთარში უნდა ეძინოს და საკუთარ თათს ლოკავდეს. ხოლო ის დათვი, რომელიც ზამთარში ფხიზლობს და სხვას ულოკავს (თათს), უკვე არანორმალური და საზოგადოებისთვის საშიშია.

ამიტომ, თუ ჩვენს ახალგამოჩენილ „დათვს“ უნდა, რომ საზოგადოებამ ნორმალურად აღიქვას, ჩრდილოურ შაქრზე უარი უნდა თქვას და გრიზლობას „მიაწვეს“ — ეს ამერიკული დათვი არც ზამთარში იძინებს და ზორცის ჭამაც ნორმად ეთვლება. რაც მთავარია — ერთი გრიზლი სამოთხ რუსულ დათვს ერევა ერთად.

P.S. დათვზე და ამერიკელზე ძველი ანეკდოტი გამახსენდა: კახეთში მდიდარი ამერიკელი ქალბატონი მოხვდა ტურისტად. გადაჰყვინნ ზედ კახელები — არ დააკლეს „მანავ-საფერავი“ და ჩაქაფულ-ხაშლამა. ბოლოს, „თავისუფალი სამყაროს“ წარმომადგენელმა, კაცი (უფრო სწორად, „სექსუალური პარტნიორი“) მოითხოვა და მიჰგვარეს მიხო. ეს „საქმე“, ვენახის მოვლასთან ერთად, ხუთიანზე იცოდა მიხომ და გადაირია ქალი: ამერიკაში წამომყვე და ოქროში ჩავსვამო, — შეეხვეწა. მიხომ, — ვენახს ვერ დავტოვებ, ერთი უსაქმური ძმა მყავს და იმას გაგატანო. უსაქმური თუა, რად მინდაო?! — იუარა ქალმა. ჰმ, შარშან ზაფხულში, ტყეში დათვი „შემოეხარჯა“ და ის დათვი მთელი ზამთარი თაფლს გვიზიდავდაო! — მიუგო მიხომ.

გესმით? — ზამთარში გვიზიდავდაო, ე.ი. ისიც არ იყო ნორმალური დათვი, რადგან ზამთარში ძილის მაგივრად იმასთან დარბოდა თაფლით, ვინც ზაფხულში „ასიამოვნა“. ჰოდა, რა ვიცით, რა არ აძინებს ჩვენს „დათვს“, იქნებ ვის რას დაჰპირდა, ჯერ კიდევ ზაფხულში...

პროვოკატორი

„ერთ კითხვაში“ ამაჟიარად, ოთხ კითხვას მოვაძვებთ, თუმცა, საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს — ყველას ერთსა და იმავე კითხვას დავუსვამთ: როგორი იყო 2002 წლის

ყველაზე მნიშვნელოვანი — ერთი, ძველნების და ერთი, პირადად თქვენთვის — მოვლენა, ყველაზე „სმაურიანი“ აზვარა და ვის დაასახელავდით წლის ადამიანად?

„კიდევ ერთი წელი... მომაკლდა თუ მომემატა?..“

ბურამ ლორთქიფანიძე, მსახობი:

— ამ წელს ერთ კაცს დავენადლევე. ერთ-მანეთს შევეჯიბრეთ — ვინ უფრო დიდ ტყუილს იტყოდა. შენ დაიწყეო, — მითხრა. რა უნდა დავიწყო? ცხოვრებაში საერთოდ არ მითქვამს-მეთქი ტყუილი. ხელები ასწია: მოგებუ-ლი ხარო. ჩემი აზრით, ეს წელი, ყველაზე წარმატებული რობიკო სტურუასთვის იყო. საოცარი დადგმები გააკეთა. გაოცებული ვარ

— საიდან აქვს ამ კაცს ასეთი ფანტაზია?! პირადად ჩემთვის, ამ წელში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კიდევ ერთი წელი მომაკლდა და კიდევ ერთი მომემატა. მომაკლდა თუ მომემატა? ხედავთ, რა მნიშვნელოვან საკითხს მივადექით? კარგი რა მოხდა? ის, რომ თოვლი მოვიდა. წელს თოვლმა გამახარა. მივესალმე-ბი დიდთოვლობას!



ტყუილების კასკადი და აბარაკი წეროვანში



ნანა დევიდარიანი, სახალხო დამცველი:

— ჩემს პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოხდა ის, რომ ამ წელს, წეროვანში შევიძინე აგარაკი. მართალია, დასამთავრებელია, მაგრამ მაინც ძალიან მიხარია. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ამ წელს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის გამწვავება. ჩემი აზრით, წლის ადამიანი არის გიორგი კანდელაკი — სწორედ მისთვის იყო ეს წელი იღბლიანი. ამ წელს ტყუილებში რეკორდი დაამყარა სამხედრო პროკუ-


რატურამ. ამ უწყების ცრუ ქმედბათა კასკადის ბოლო წერტილი იყო ის, რომ ჯიქიამ ერთი ვარსკვლავით მეტი დაიკურა სამხრეებზე — ეს ვარსკვლავი მას ნამდვილად არ ეკუთვნის. რაც შეეხება წლის კურიოზს, ამას ხალხი ნახავს 13 იანვარს — მე მნახავთ, საერთოდ რომ ვერ წარმომიდგენთ, ისეთ აპლუაში. ჩვენთან შემოსული საქმეებიდან კი, ყველაზე კურიოზული იყო ბარბაქაძის საქმე. ეს ის ბარბაქაძეა, „60 წუთში“ რომ გვანჩენეს: კაცი მიდის სასჯელალსრულების დეპარტამენტში, ითხოვს — დამიჭირეთო — და რომ არ იჭერენ.

„ამ წელს საქართველოში „ხუნვეიბინების“ მოძრაობა გააქტიურდა“

ჯავა იოსელიანი, „მხედრონის“ ლიდერი:

— წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია გადაწყვეტილება ნავთობსადენის შესახებ. ეს ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. პირადად ჩემთვის, ამ წელს უნაყოფოდ ვერ ჩავთვლი: „მხედრონი“ შეუერთდა „ზვიადისტების“ ნაწილს. ჯერჯერობით, ეს არ არის აღქმული, როგორც საჭიროა, მაგრამ მოვა დრო და ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობას ყველა ჯეროვნად შეაფასებს. წლის ყველაზე დიდი ტყუილი — აფერა არის ქართველი „ხუნვეიბინების“ მოძრაობა. განმარტებისათვის — ხუნვეიბინები 60-იან წლებში ჩინეთში კომუნისტურ მოძრაობას გამოეყვნენ. უფრო სწორედ — ისევ კომუნისტებად დარჩნენ, მაგრამ პასუხისმგებლობის აცილებას შეეცადნენ და ე.წ. „კულტურული რევოლუ-

ცია“ მოახდინეს და ვითომ კორუმპირებულ ხალხს დაერივნენ, მაგრამ ეს ძალიან ცუდად დამთავრდა. სწორედ ასეთი აფერა განხორციელდა საქართველოში. ის ადამიანები, რომლებიც 7 წელიწადი იყვნენ, ზოგი — საკანონმდებლო და ზოგი — აღმასრულებელ ხელისუფლებაში პასუხსაგებ თანამდებობებზე, ცდილობენ, ყველაფერი შევარდნაძეს გადააბრალონ და თვითონ, რეფორმატორებად წარმოჩინდნენ. წლის ადამიანად მიხეილ სააკაშვილს დავასახელებ, თუმცა აღვნიშნავ იმასაც, რომ ის დადებითი ნიშნით არ იყო გამოჩენილი. ის ამ წელს მართლაც განსაკუთრებული იყო თავისი აქტიურობით, ენერგიულობით, დემაგოგიით და შედეგებითაც. ამ წელს საყოველთაო სიხარული მხოლოდ რეგბისტების გამარჯვებამ გამოიწვია. საერთოდ კი, ეს წელი ჩემი ტკბილი 5 მილიონისთვის ძალიან ძნელი იყო.



არანაირი წინსვლა, გაუსაძლისი ზამთარი და იმედდაკარგული, დაბეჩავებული ხალხი... ვერ ვიტყვი, რომ კარგ წელს ვატილებთ.

„წლის ადამიანად კოტე მახარაძეს დავასახელებ“

ლავა თავუკაშვილი, დრამატურგი:

— რით იყო ეს წელი მნიშვნელოვანი? გამოჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, იმდენად უცნაური „კარდიოგრამა“ ჰქონდა ამ წელს. პირადად ჩემთვის, ეს წელი უფრო კარგი იყო. მარჯანიშვილის თეატრში 10 წლის წინ დაწერილი პიესის წარმატებული პრემიერა შედგა: ჩემმა ვაჟმა შექმნა ინგლისურენოვანი ჟურნალი, რომელსაც

ჯერ იელის უნივერსიტეტში, შემდეგ კი ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში დიდი აღიარება და გამოხმაურება მოჰყვა. აი, ეს იყო პირადად ჩემთვის სასიხარულო. ამ წლის ადამიანად კი კოტე მახარაძეს დავასახელებ. ახალ წელს განსაკუთრებით მიულოცავ მათ, ვისაც ახლა ძალიან უჭირს: ვინც ციხეშია, ვინც ავად არის. ვუსურვებ, რომ მათკენ შეტრიალდეს ფორტუნა და ბედნიერ მომავალ წელს მოესწრონ!



„აფერუმ გათ ვაუკასოვას, ვინც ასე მაგრად გვატყუებს!..“

მამუკა ჩარკვიანი, მოძღვრალი:

— ამ წელს ჩემი შვილი მივიდა სკოლაში — აი, ამიტომ იყო ჩემთვის გამორჩეული. ქვეყნისთვის როგორი იყო, ვერ გეტყვით, საერთოდ არ ვადევნებ თვალყურს პოლიტიკას. იქამდე მივდივით, რომ იმის მიხედვით ვაფასებთ, როგორი წელია

— არის თუ არა შუქი და არის თუ არა გაზი. პირადად ჩემთვის, მაინცდამაინც წარმატებული არ იყო. რეგისტრებმა გვასახელეს ამ წელს. განსაკუთრებულად მათ მიულოცავ დამდეგ წელს. ჩემთვის, ჩემი დისშვილი — ირმა გიგანია წლის ვარსკვლავი — იტალიიდან ჩამოიტანა გრანპრი. 6 წლის პიანისტია და მისთვის ეს

მართლაც დიდი აღიარებაა. რაც შეეხება ტყუილს — მე მგონი ყველაფერში გვატყუებენ — იმაშიც, რომ ახალი წელი მოდის: არაფერიც არ მოდის — ისევ იქ ვვლავართ, სადაც ვიდექით. აი, ეს არის აფერა — რომ გვეუბნებიან, რაღაც იცვლებაო, აფერუმ მათ ვაჟაკობას, ვინც ასე მაგრად გვატყუებს!..

„წლის აფერა არის ამ წლის ბიუჯეტი“

ზია ბარამიძე, პარლამენტარი:

— ჩემთვისაც და ჩემი ქვეყნისთვისაც ამ წელს მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი არჩევნები, რომელშიც სასტიკად დამარცხდა შევარდნაძის ხელისუფლება. ხალხმა დაინახა, რომ ზეწოლის მიუხედავად, შესაძლებელია შევარდნაძის ხელისუფლების დამარცხება. პირადად ჩემთვის უფრო ცხადი გახდა, ვინ რა პოზიციაზე დგას. ახლა უკვე გარკვეულია, რომელი პოლიტიკური ორგანიზაცია რეალურად რა პოლიტიკას ატარებს და ვის ინტერესებს ემსახურება. ამ წელს უარყოფითი ნიშნით, ყველაზე პოპულარული იყო ელუარდ შევარდნაძე. ალბათ საქართველოს ყველა მოქალაქე მის სახელს ასხენებს, როდესაც



დენი გაითიშება, გაზი გამოორთვება, ხელოვასა და ზენსაზე საუბარი და ამასთანავე, ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ პრობლემებზე. დადებითი თვალსაზრისით, ვერ გამოვეყოფ ვერც ერთ პოლიტიკოსს (თუმცა, ჩემთვის ასეთი ადამიანი არის ზურაბ ჟვანია), მაგრამ თუ პოლიტიკაზე არ ვისაუბრებთ, მაშინ ყველაზე წარმატებული

ეს წელი იყო ჩვენი მოცეკვავეებისთვის და ჩვენი რეგისტრებისთვის. მე ვგულისხმობ „ერისიონის“ მოცეკვავეების და საქართველოს რეგისტრთა ნაკრების წარმატებას. ეს ნამდვილად დიდი სიხარულის მომტანი იყო სრულიად საქართველოსთვის. რაც შეეხება წლის აფერას — ეს იყო ჩვენი

ბიუჯეტი. როდესაც ჯორბენაძე გამოვიდა და საჯაროდ განაცხადა — მე ამ ბიუჯეტს არა მარტო შევასრულებ, არამედ გადავაჭარბებო. ამ ბიუჯეტში ჩადებული იყო, რომ მინიმალური ხელფასი უნდა გამხდარიყო 50 ლარი. ამ დაპირებებიდან არც ერთი არ შეუსრულებიათ. უფრო მეტიც — ამბობენ, რომ ბიუჯეტი შესრულებულია, სინამდვილეში, უამრავი ხარჯი აქვთ დაუფინანსებელი. და კიდევ ერთი აფერა — ეს არის „აზოტის“ „გაჩუქების“ ფაქტი. ჩემი ყველაზე დიდი გულისტკივილი, რაც წლების განმავლობაში არ იცვლება, იმასთანადაკავშირებულია, რომ ოპოზიციური ძალები ვერ ახერხებენ გაერთიანებას. ის გულისტკივილი კი, რომელიც ამ წელს განვიცადე, გამოწვეული იყო საქართველოს დაბომბვის ფაქტით, რომელიც რუსეთმა განახორციელა.

„ასეთი მასშტაბის პრობლემა, დიდი ხანია, არც მოგვარებულა“

ნიკა ლალიაშვილი, უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი:

— ჩემი აზრით, ამ წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პანკისის პრობლემის მოგვარება. ბოლო წლების განმავლობაში, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც საქართველოს აუცილებლად უნდა გადაეჭრა. პრინციპში, ასეთი მასშტაბის

პრობლემა, დიდი ხანია, არც მოგვარებულა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველომ ამ წელს გაიმარჯვა. საქართველოში ტყუილად დაუწყებთ ძებნას გრანდიოზულ აფერებს, ეს მხოლოდ საზღვარგარეთ შეიძლება ვიპოვოთ. თქვენ წარმოიდგინეთ, არც პიტერ შოუს საქმე უკავშირდება ამ თემას. უშიშროების სამინისტროსთვის ეს წელი ძალიან ნაყოფიერი იყო, შეიძლება ითქ-

ვას, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული წელი. არ მინდა, სიტყვა გამოგრძელებს და უწყებრივ პატრიოტიზმში ჩამომერთვას, მაგრამ ალბათ არც ერთი უწყებისთვის არ ყოფილა იმდენი სახელის მომტანი, როგორც უშიშროების სამინისტროსთვის. საბოლოოდ შემიძლია ვთქვა, რომ ეს წელი უკეთესი იყო, ვიდრე 2001 წელი, მაგრამ ეს წელი უარესი იქნება, ვიდრე მომავალი წელი.

ამბობენ, ახალი წლის ღამეს ჯადოსნური ძალა აქვსო. როდესაც საათი თორმეტი გონგის ჩამოკვრას დაიწყებს, უნდა მოასწრო, პირველიდან მეთორმეტემდე სურვილი ჩაუთქვა და აუცილებლად აგინდება... „ღმერთო, მომეცი სიყვარული! დამიბრუნე მამა! ბოლო მოუღე ჩემს უფულობას!“ — აი, ის სამი სურვილი, რომელიც ნინომ ჩაუთქვა ახალ წელს. გადის სულ რაღაც ორი საათი, კარზე ისმის კაკუნი და ოთახში ყურებამდე გაღიმებული თოვლის ბაბუა შემოდის...



ახალწლის ღამის ჯადოსანი,

ჩემთვის სურვილები ახ ენეხა...

მარი ჩაჟარიძე

რა მოხდა შემდეგ? აუხდა თუ არა ნინოს ოცნება? — ამბზე სწორედ „თოვლის ბაბუა“ გვესაუბრება, რომელიც თავად აღმოჩნდა მოვლენების განვითარების ცენტრში, თუმცა, მაშინ წარმოდგენაც არ ჰქონდა, ნინოს ერთ-ერთი ახლენილი ოცნება, თავად რომ იქნებოდა... მათი ამბავი ჩემი მეგობრისგან მსმენია რამდენიმე წლის წინ. ვიკვებოდა ადგილობრივად, ამბის გავრცელებით დაინტერესდი და „თოვლის ბაბუას“ მივაკვლიე. მინდა ვითხრათ, რომ გაცხადებული დავრჩი, როდესაც ტელეფონით დანიშნულ „აქამანზე“ ახალგაზრდა, სიმპათიური, პალესტინური, „მერსედესიანი“ მამაკაცი გამოემეცადა. ვიფიქრე — რაღაც გაუგებრობაში ხომ არ აღმოვჩნდი-მეთქი? კარგახანს, უხერხულად ვიშუშებოდი; ბოლოს, როგორც იქნა, ვაგებდე და ვკითხე:

— თქვენ ხომ არ ხართ ის „თოვლის ბაბუა“?

— (იციინის) არა, „თოვლის ბაბუა“ ადრე ვიყავი, ახლა „ჯინი“ ვარ, რომელიც ყველა სურვილს უფრო მეტი სიზუსტით ასრულებს... მაინტერესებს — ვისგან შეიტყვეთ, რომ „თოვლის ბაბუა“

ვიყავი და ისიც — რა გინდათ...

— თუ გეტყვით, რა მინდა, გამოდის, რომ სურვილი უნდა გაგიძლიოთ. თქვენ კი, როგორც „ჯინს“, უფლება არ გაქვთ, ეს სურვილი არ შემისრულოთ. ასე რომ, უარი არ გაგივათ და მოგიწევთ ყველა იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელსაც დაგისვამთ. თქვენს „თოვლის ბაბუობასთან“ დაკავშირებული ერთი საინტერესო ამბის მოყოლა მოგიწევთ...

— ვხვდები, რაც გაინტერესებთ. სიმართლე რომ ვითხრათ, არც კი მინდა გავიხსენო წარსული, რადგან უზომო ტკივილი მომაყენა ამ ამბავმა, თუმცა, უკვე დამავიწყდა კიდევ — ასე ვთქვათ, გადავხარებ და ახლა, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

— მოდით, დავინწყით იქიდან, თუ როგორ გადამწყვიტეთ „თოვლის ბაბუა“ გამხდარიყავით...

— ჩვეულებრივად — უმუშევრობის გამო. 1998 წელი იდგა. 25 წლის ვიყავი. დამთავრებული მაქვს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ერთი პერიოდი, კერძო იურიდიულ ფირმაში ვმუშაობდი, სულ 5 თვის განმავლობაში. შემდეგ გადაწყვიტე, საზღვარე არეთ წავსულიყავი სამუშაოდ. საბუთები მოვაგროვე და თითქოს უარის თქმის საფუძველიც არ ჰქონდათ, მაგრამ საბერძნეთში შესვლის ნებართვა ვერ მივიღე. ახლობელმა მიმიყვანა ერთ-ერთი ავტობუსის მძღოლთან; მითხრეს, რომ 2.500 დოლარად საბარგულში ჩამსვამდნენ და საზღვარზე გადამიყვანდნენ. ამდენი ფული არ მქონდა. ბინა ჩავდე გირაოდ ბანკში და ფული მძღოლს ჩავუთვალე. თურქეთში რომ ჩავედით, იქ გაგვჩაჩრეს, ავტობუსი საფუძველიანად გაჩხრკიეს და მე და კიდევ 4 მგზავრი, რომლებიც საბარგულში ვისხედით, უპრობლემოდ აღმოგვაჩინეს. ავტობუსის მძღოლმა, რა თქმა უნდა, ფული აღარ დაგვიბრუნა, რადგან დიდი ჯარიმა „მიარჭეს“ და მანქანასაც ართმევდნენ. ჩვენ მიკროავტობუსში შეგვყარეს და ისევ საქართველოში დაგვაბრუნეს. ასე დავრჩით მე და ჩემი მშობლები უსახლკაროდ. ძლივს ვიხდიდით ბინის ქირას და თავი როგორ გავკვირდით, არ ვიცი. საახალწლოდ, „თოვლის ბაბუები“ სჭირდებოდათ და მეც მივედი, რომ ერთი-ორი კაპიკი მეშოვა. მომცეს მსუბუქი მანქანა, რომელიც სავსე იყო წინასწარ შეკვეთილი საჩუქრებით, ჩამიტარეს ინსტრუქტაჟი, ჩამომიწერეს მისამართები და მეც ჩემი მოვალეობის შესასრულებლად გავემართე. ნინოს ოჯახი რიგით მე-ნ იყო. ის სანზონაში, მე-8 საავადმყოფოსთან ცხოვრობდა. საჩუქრებს შორის, ერთადერთი დიდი ტორტი იყო, რომელიც ჩემ გვერდით სავარძელზე იდო, რომ არ დაზიანებულიყო; ეს ტორტი სწორედ ნინოს ეკუთვნოდა. ორივე ხელით ტორტი მეჭირა, კარზე კი ფეხით მივაბრახუნე. შევედი სახლში, მივულოცე ახალი წელი, მაგრამ გაცხადებული ვიყურებოდი აქეთ-იქით. არავითარი საახალწლო განწყობა არ შეინიშნებოდა. ნაძვის ხეც კი არ ჰქონდათ — კედელზე ცოცხალი ნაძვის პატარა, გირჩებიანი ტორტი იყო მიმაგრებული და მორჩა. არც სუფრა ჰქონდათ გაშლილი. მაგიდაზე მხოლოდ თაფლით სავსე ფიალა იდგა, რომლის კიდულზეც ჩამწვარი სანთლის ნარჩენი იყო მიმაგრებული. ნინო ტელევიზორს უყურებდა, დედამისი კი უკვე დაწოლილიყო და ეძინა. ის ჩემს ლაპარაკზე, ხალათობსკეული გამოვიდა და თვალებს არ უჯერებდა, თოვლის ბაბუას რომ უყურებდა.

ტორტი მაგიდაზე დავდე და უხერხულობისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. ნინომ სკამი შემომთავაზა, თან მებოდიშებოდა, რომ ასეთი მოუშხადებლები იყვნენ. შემდეგ თეფშები და ჩანგლები გამოიტანა და ტორტი დაჭრა. მომიბოდიშა — სასმელიც არ გვაქვს, რომ ახალი წელი დაგალოცვინოთ... მიზეზი რომ ვიკითხე, მიპასუხა: მამა არ მყავს, ჩვენ არც ერთი არ ვმუშაობთ, მატერიალურად გვიჭრის და სულაც არ გვეახალწლებებო... მეგობარი გოგონა ჰყოლია, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობდა, საახალწლოდ ასი ლოლარი გამოუგზავნია მათთვის, მაგრამ — ვალები გავისტუმრეთ და დანარჩენი თანხა კარგა ხანს უნდა გამოვიზოგოთ, ამიტომ ზედმეტ ხარჯს მოვერიდეთო, — მითხრა ნინომ. გული მომეწურა, ძალიან შეშეცოდა დედა-შვილი, ჩემი ოჯახი დამიდგა თვალწინ. გავედი და მანქანიდან ერთი ბოთლი შამპანური შემოვიტანე — სხვისი საჩუქრებიდან, რა თქმა უნდა. ოჯახი დავულოცე, ტელეფონის ნომერი ჩავიწერე და წამოვედი: თან საჩუქრებს ვარიგებდი, თან გონებიდან ვერ ვიმორებდი იმ ოჯახს.

— „თოვლის ბაბუის“ გამოცხება, თანაც საჩუქრით, საკმაოდ ხარჯიანია. ვინ მიუძღვნა ასეთი საახალწლო საჩუქარი ნინოს?

— იმ მეგობარ გოგონას, რომელმაც ფული გამოუგზავნა, სიურპრიზი მოუწყვია. მაგრამ ნინომ ეს მერე გაიგო, როდესაც ნატომ (ასე ჰქვია იმ გოგონას) დარეკა და დღესასწაული მიულოცა.

— შემდეგ რა მოხდა?

— შემდეგ, დღესასწაული დამთავრდა და ჩვეულებრივი, სადაგი დღეები დაიწყო. მე ნინოს დავურეკე. გაუხარდა, ჩემი ხმა რომ გაიგო, შინ დამპატიჟა. რა თქმა უნდა, ვესტუმრე. ძალიან კარგად შემხვდნენ. დედამისიც სახლში იყო. სწორედ მაშინ მოვისმინე ნინოს მამის ამბავი: თურმე მისი მამა უფაში ცხოვრობდა. ჩამოსულა ცნობა იმის შესახებ, რომ ტრაგიკულად დაიღუპა. ნინოს მამა მძის ნეშტის გადმოსასვენებლად, უფაში გაემგზავრა, მაგრამ იქამდეც ვერ ჩააღწია — უგზო-უკვლოდ დაიკარგა. არც იქ ჩასული უნახავს ვინმეს და აღარც უკან მობრუნებული. მას შემდეგ, სამი წელი იყო გასული და არავითარი ცნობა ამ ადამიანის შესახებ არ ჰქონდა ოჯახს... ჩემი და ნინოს შეხვედრები გახშირდა; ვგრძნობდი, რომ მის მიმართ ჩემი გრძნობა

მეგობრულ ფარგლებს გასცდა და სიყვარულში გადაიზარდა...

— ნინო თავიდანვე მოგეწონა?

— არა, თავდაპირველად, თითქოს მეტრად ებოდა, ვცდილობდი, მხარში ამოვდგომოდი. მართალია, მატერიალურად ვერაფრით დავხმარებოდი, მაგრამ სიტყვით და საქმით ვცდილობდი, შვება მიმეცა. ნინო 21 წლის, მე-4 კურსის სტუდენტი იყო. ხშირად, ინსტიტუტამდე მთელი ორი საათი ფეხით გვივლია, რადგან მეტროში ჩასასვლელი ფულიც არ გვქონია და გზას თუ ერთად გავივლიდით, აღარ დაეხარებოდა ფეხით სიარული და ლექციებსაც აღარ გააცდენდა. მე გარეთ ველოდებოდი ხოლმე და უკანაც ერთად ვბრუნდებოდი... აქედან გამომდინარე, სასაუბრო დროც ბევრი გვქონდა. ათას რამეზე ვლაპარაკობდით, მომავალს ვგეგმავდით. ზამთარში, ხელები რომ გაყინებოდა, ვჩერდებოდი; ხან ჩემს ხელებში მოვიტყევიდი მის თითებს, ვაორთქლებდი და ისე ვუთბობდი; ზოგჯერ, სანთებელაც კი ამინთია და ისე გამითბია... ნინოს ყველა მეგობარს ვიცნობდი. დედამისიც ისე ძღებულობდა, როგორც სასიძოს. ჩემი მშობლებიც, ნინოს ჩემს ოჯახში იშვიათად გამოჩენას სიხარულით ხვდებოდნენ. ერთი სიტყვით, ჩვენი შეუღლების ამბავი თითქმის გადაწყვეტილი იყო. უიძისოდ ვეღარ ვძლებდი. გვიანობამდე მასთან ვრჩებოდი, შინ მისული კი, ტელეფონით ვურეკავდი და ღამეებს მასთან საუბარში ვათენებდი... ერთხელ, სწორედ ასეთი საუბრისას მითხრა: იცი, ახალ წელს რა ვინატრე? სანთელი ავანთე და ღმერთს ვთხოვე, მამა დამიბრუნოს, ფული მომცეს და სიყვარული მაპოვნინოს-მეთქი. ეს ბოლო სურვილი რომ მაშინვე ამისრულა, რა იქნებოდა, შემძლებული შეყვარებული შემხვედროდაო?!. იმ წუთში ამისთვის



ყურადღება არ მიმიტყევიან, მაგრამ როგორც ჩანს, მაშინვე უნდა დამემთავრებინა ჩვენი ურთიერთობა... გავიდა ერთი წელი და ახალი წელი ისევ მოვიდა.

— ისევ „თოვლის ბაბუა“ გადაწყვიტე?

— არა, იმ დროისთვის, უკვე ერთ-ერთ სასამართლოში ვმუშაობდი კურიერად.

სხნცა
 ყოყაყის
 გამოცხების
 გაშხახების
 ერთად

გაჩნდითათლოთ
 თქვენს პაცატრებს
 ახალი წლის დღეში
 არ დააყვნით, სულ
 ცლცა დრდ დარჩა

☎ 95-34-78
 ☎ 899-55-38-11

მაგრამ ნინოსთვის სიურპრიზის გაკეთება მინდოდა, ამიტომ ვუთხარი – ახალ წელს ოჯახში შევხვდები, შენ კი დილით მოგაკითხავ, მოგილოცავ და ჩემთან წავიყვან-მეთქი. სინამდვილეში, ჩაფიქრებული მქონდა, იმ ღამით, თორმეტი საათის შემდეგ, „თოვლის ბაბუს“ ტანსაცმელში გამოწყობილი მივსულიყავი სტუმრად და საჩუქარი მიმერთმია. საჩუქარი კი დედამ გამიმზადა: დიდი ხნის წინ, სარძლოსთვის ნაყიდი და გაყიდვას გადარჩენილი ოქროს ბეჭელი... ასე რომ, ახალი წლის ღამეს, ნინო ჩემი ოფიციალური საცოლე გახდებოდა. შემდეგ, დედამისთან ერთად, სტუმრად წამოვიყვანდი ჩემს ოჯახში... თორმეტი საათი რომ შესრულდა, დავრეკე ნინოსთან და ახალი წელი მივულოცე. გამოვეწვიე „თოვლის ბაბუს“ ტანსაცმელში, ტაქსი დავიქირავე და პირველ საათზე მის კარზე დავაკაკუნე. კარი დედამისმა გაძილა და რომ დამინახა, რაღაცნაირად, უხერხულად გამიღიმა, თან შინ ცალკეად შემიპატიჟა. გაბედულად შევაბიჯე, მაგრამ ნინო ვერსად აღმოვაჩინე. დედამისმა, თითქოს ბოდიშით, ჩაიბურტყუნა: მეგობარმა დაპატიჟა და იქ წავიდაო. გავბრაზდი – ჩემთვის არაფერი უთქვამს, რომ დავრეკე და მივულოცე, მაშინ მაინც რატომ არ გამაფრთხილა-მეთქი?... გამოვბრუნდი და შინისაკენ წელმოწყვეტილივით წავიდი. მთელი ღამე ვავათენე. მაშინ მივაქციე ყურადღება იმას, რომ ბოლო დროს, ნინო უცნაურად იქცეოდა, ხშირად არ მხვდებოდა სახლში, ტელეფონითაც ისე ხალისიანად აღარ მესაუბრებოდა – მეძინებო, – მეტყოდა ხოლმე და ნაჩქარევად დამემშვიდობებოდა. გადავწყვიტე, ნინოსთვის არაფერი მეგრძობინებინა და მისთვის თვალყური მედევნებინა. ახალ წლამდე ორი თვით ადრე, მან მუშაობა დაიწყო: სახლს ალაგბდა და სარეცხს რეცხავდა ერთ შეძლე-

ბულ ოჯახში. როგორც თავად ამბობდა, ცოლ-ქმარს და ორ მოზრდილ ბავშვს ემსახურებოდა. როდესაც ცოლ-ქმარი სადმე მიდიოდა და გვიან უწევდა დაბრუნება, ნინო ბავშვებთან რჩებოდა და ღამეს იქ ათევდა ხოლმე. მთელი ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს ჩემს შეყვარებულს. ის თითქოს თანდათან მშორდებოდა... იქ, იმ ოჯახში ძალიან დიდ დროს ატარებდა. მე, რა თქმა უნდა, უკმაყოფილებას გამოვთქვამდი და ამის გამო ხშირად ვკამათობთ ხოლმე. 2000 წლის მარტში, ერთ-ერთმა ჩემმა გავლენიანმა ნათესავმა დახმარების ხელი გამომიწოდა და საკმაოდ კარგი სამსახური მიმოვა რკინიგზის დეპარტამენტში, რასაც კარგა ხანია, მპირდებოდა. ჩემმა ოჯახმა ამოისუნთქა, განარებული ვიყავი. ნინოს გამოვუცხადე – სამსახურს თავი დაანებე, ბარემ დავქორწინდეთ და შენც დაისვენებ და მეც-მეთქი. ჩემდა გასაკვირად, კატეგორიული უარი მივიღე – არავითარ შემთხვევაში, სამსახურს არ მივატოვებო. – სხვისი მოაზლეობა ასე გხიბლავს-მეთქი? – კიო, – მითხრა, – ჯერ კარგად მოერგე სამსახურს, ფულს რომ იშოვი, მერე ვილაპარაკოთ, ხოლო ქორწინებით, შემოდგომაზე ვიქორწინოთ. მისთვის თვალყურის დევნებას განვაგრძობდი, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს ვამჩნევდი. მიდიოდა იქ, ოჯახში, იქიდან კი სახლში ბრუნდებოდა. არც სადმე პაემანზე წასული, არც მასთან მისული მინახავს ვინმე. თითქოს გული დავიმშვიდე. მაგრამ ნინოს უცნაური ქცევები მაინც არ მაძლევდა მოსვენებას. ამასობაში, ზაფხული მოვიდა. ერთ საღამოს, მეგობარმა დამირეკა და მითხრა: წავიდეთ, სადმე გავისეირნოთ, მე შეუღლებ წამოვიყვან, შენ კი ნინო დაპატიჟეო. დავთანხმდი. ნინოს სახლში დავურეკე. დედამისმა მითხრა – დღეს იქ, იმ ოჯახში რჩებაო. გადავწყვიტე, მივსულიყავი და რამდენიმე საათით წამომეყვანა. სახლი, რა თქმა უნდა, ვიცოდი, ოღონდ შიგნით არასდროს ვყოფილვარ. დავაკაკუნე. კარი ორმოცდაათი ოდე წლის, ჭაღარა მამაკაცმა გაძილა. შორტები ეცვა, წელს ზემოთ შიშველი იყო. სანამ რამეს ვეტყოდი, შემოსასვლელში ნინოც

გამოვიდა. ხელში ყავის ფინჯანი ეჭირა, თმა სველი ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ახალი გამოსული იყო სააბაზანოდან. ხელები თავისით მომემუშტა. ნინო გაციებული მიყურებდა. მასპინძელი ხელით გვერდზე გავწიე და ოთახში შევედი. სახლი მოვათვალიერე და ერთი თვალის გადავლებითაც მივხვდი, რომ აქ არც ბავშვები ცხოვრობდნენ და არც ოჯახი. ეს ყველაფერი იმისთვის იყო მოგონილი, რომ ნინოს თავისუფლად შესძლებოდა სახლიდან გამოსვლა და თავისი საყვარლის მიერ მიცემული ფულის არსებობის გამართლება... უსიტყვოდ გამოვბრუნდი. მას შემდეგ, ნინო აღარ მინახავს, არც მასთან დამირეკავს. არაფერში არ მჭირდებოდა მისი ახსნა-განმარტებები...

— ახლა როგორია შენი ოჯახური მდგომარეობა?

— უცოლო ვარ, ჯერჯერობით არ მწვევია სიყვარული. ახალი სამსახურის წყალობით, ბინაც შევიძინე, მანქანაც, საკმაოდ ხელგაშლილი ცხოვრების უფლებასაც ვაძლევ თავს. ასე რომ, შესაძლებელი იყო, ახალი წლის ჯადოსნური ღამე კარგად დასრულებულიყო. სამი ჩაფიქრებული სურვილიდან, ორი ნამდვილად აუსრულდებოდა ნინოს – უბრალოდ, ცოტა უნდა მოეთმინა... მის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცი. შესაძლოა, გათხოვდა კიდეც, შეიძლება, ძალიან კარგადაც გრძნობს თავს, მაგრამ ერთად ალბათ ბედნიერები ვიქნებოდით, რადგან მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვიჭირდა, ერთმანეთს მხარში ვედექით. თუმცა, ცოლის ღალატს, ისევე შეყვარებულმა გიღალატოს, ის სჯობს. მე კი აუცილებლად მიპოვის ის, ვინც ბედნიერ კაცად მაქცევს...

— გამოდის, რომ ქალმა უნდა გიპოვოს?..

— არა, ბედმა უნდა აპოვნინოს ჩემი თავი...

ბუნებრივია, რომ ნინოს ამით დაინტერესდი. ჩვენს „თოვლის ბაბუს“ მისი ტელეფონის ნომერი ვიხსოვე და დედამისს, ძალგაბრუნ ნელის დაველაპარაკე:

— ნინო აგვისტოში, ერთი წლით, გერმანიაში წავიდა. რაც შეეხება მის ცხოვრებას – ეს თქვენი საქმე არ არის, ნუ აფათურებთ ხელს სხვის სულში. იმ ვაუბატონს კი პასუხს მოვთხოვ, ჩემს შვილზე უკუღმართი ინფორმაცია თუ მოგაწოდათ...



კახა კახაბრიშვილი



ხოგოხ ირებენ საახარწრო ჰოგხამებს ანუ ხა გარახრენია „რახარებირან“ ხეფისოხს ტერეოეატხის სტუციებში გამოჩენირ მსახიობებთან ეხოარ

„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „გვადი ბიგვა“, „უჩინმაჩინის ქუდი“, „ხორუმი ქართული ცეკვა“ და სხვა მრავალი, ყველასათვის საყვარელი ტელესპექტაკლის რეჟისორს, სახელმწიფო ტელევიზიის შემოქმედებითი გაერთიანება „თეატრონის“ ხელმძღვანელს — **გიორგი (კახა) კახაბრიშვილს** ინტერვიუსთვის გადასაღებ მოედანზე მივაკითხე. თბილისის ერთ-ერთ რესტორანში გადამღებ ჯგუფთან ერთად ალეკო თეთრაშვილს, ია შულღიაშვილს, გივი ბერიკაშვილსა და სხვა

მსახიობებს მოეყარათ თავი და რეპეტიციას გადიოდნენ. ბატონი კახა, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება ტელევიზიაში მუშაობს და არაერთი საახალწლო პროგრამის შექმნის ხელმძღვანელი ან მონაწილე მაინც იყო, ცოტა ხნით სამუშაოს მოვნწყვიტე და ვთხოვე, გაეხსენებინა, თუ როგორ იღებდნენ საახალწლო ტელეპროგრამებს წარსულ წლებში. თუმცა, თავდაპირველად, იმის შესახებ, თუ რას უმზადებს ბატონი კახა 2003 წლის დამდეგისთვის ქართველ მაყურებელს.

ნათია თენგიშვილი

— ეს არის 30-წუთიანი ფილმი. მას შეიძლება დავარქვათ ქორწილი უკულმა: საზეიმოდ გამოწყობილი წყვილი (პატარძლის როლის შემსრულებელს — ია შულღიაშვილს, მართლაც ულამაზესი საპატარძლო კახა ეცვა) ახლა განქორწინდება მეგობრებისა და მყრების თანდასწრებით. მერე შინ მიდიან და როცა ქონების გაყოფას დააპირებენ, ყველა ის ადამიანი, ვინც მათ დაქორწინებისას საჩუქრები აჩუქა — მოდის და თავისი საჩუქარი უკან მიაქვს. წყვილი ცარიელ სახლში რჩება მარტო და ამ დროს, ისინი

„თავიდან აღმოაჩენენ“ ერთმანეთს. ქმარი (მსახიობი ალეკო თეთრაშვილი) ყოფილ ცოლს ხელმეორედ დაქორწინებას შესთავაზებს. ახლა განქორწინების სცენას ვიღებთ, ფინალურ სცენას კი ჩემს სახლში გადავიღებთ. ყველაფერი ერთუზიანშია და მეგობრების დახმარებით კეთდება. ამ რესტორნის მესვეურებიც არ გვახდევინებენ ფულს — უსასყიდლოდ შემოგვიშვებს და დავითმეს დარბაზი. იმედი მაქვს, ხალისიანი ფილმი გამოვა და მაყურებელიც ისიამოვნებს. ასეთი, პატარა ნოველების 30-მდე სცენარი გვაქვს. გვინდა, პატარა დასი ჩამოვყალიბოთ და ბევრი სახალისო ფილმი გადა-

ვიღოთ. საქართველოში ამის უდიდესი ტრადიცია და გამოცდილება არსებობს. კეთილი, ქართული კინო თავისი განუმეორებელი სიბლითა და პეწით ყველას ენატრება. ხალხს ეს მოსწონს.

— საკმაოდ ბევრი ტელედადგმა გაქვთ გაკეთებული, კინორეჟისორობაზე არ გიფიქრიათ?

— ვოცნებობდი კინორეჟისორობაზე, მაგრამ მოსკოვში სწავლის საშუალება არ მქონდა. აქ დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი. ბატონი მიხეილ თუმანიშვილის მოსწავლე ვარ. ქართული ტელეოეატრის ჩამოყალიბება მის სახელთან არის დაკავშირებული. რაც ინსტიტუტი დავამთავრე, ტელევიზიაში ვმუშაობ და ტელედადგმებით ვარ დაკავებული. 30-ზე მეტი ტელესპექტაკლი მაქვს გაკეთებული. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი იყო სპექტაკლი — „მე შენ მიყვარხარ“, სადაც მთავარ როლებს ზაზა მიქაშავიძე და მარი ჯანაშია ასრულებდნენ. მარისთვის ეს პირველი როლი იყო. მერე იყო „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „უჩინმაჩინის ქუდი“ და ა.შ. ბოლო წლების მოვლენებმა ყველაფერი შეაჩერა. შესაბამისად შეფერხდა ტელედადგმების დაფინანსება. მიუხედავად ამისა, მეგობრების დახმარებით მაინც ვახერხებ



„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ — ტელესპექტაკლის გადამღები ჯგუფი

რადაც-რადაცების გადაღებას. მეგობრის კამერით, ჩემს ბინაში შიშველი ენთუზიაზმით გადავიღეთ — „მოწყიდეთ ქმარი“, სადაც მთავარ როლებს რეზო ჩხიკვიშვილი, მარი ჯანაშია და მაია გელოვანი ასრულებენ. მერე იყო „უჩინარი“ — ცხონებული ზაზა დარასელიის მოთხრობის მიხედვით (მთავარ როლში — ზურა ყიფშიძე). ეს ფილმი ზაზას ოჯახმა დააფინანსა. მე და ჯემალ ბაღაშვილმა, რამდენიმე წლის წინ გავაკეთეთ გასართობი პროგრამა „ბარი-ბარში“. ვარ ასევე ტელეგადაცემა „ფორტუნის“ რეჟისორი, რომელიც ორი წელია წარმატებით გადის ეთერში. დიდი ხანია, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ინსტიტუტის ტელესარეჟისორო ფაკულტეტზე ლექციებს ვკითხულობ. ნახევარი წელია, რაც დიდებული რეჟისორი, ამ ინსტიტუტის პრორექტორი — ბექარ მეძმარიაშვილი გარდაიცვალა და ჩემმა კოლეგებმა შემომთავაზეს, ეს პოსტი დამკავებინა. ძალიან მიყვარს ახალგაზრდები. მე 16 წლის ბიჭი მყავს (სანდრო კახაბრიშვილი ამჟამად დედასთან, თამრიკო გვერდწითელთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს. — ავტ.) და მიაღვივდება მის თანატოლებთან ურთიერთობა.

— ვიცი, რომ ბევრჯერ გიმუშავიათ საახალწლო პროგრამაზე. როგორ კეთდებოდა ეს გადაცემა კომუნისტური მმართველობის დროს და ძირითადად, რით განსხვავდებოდა დღევანდელი საახალწლო გადაცემებისგან?

— მაშინ აუცილებელი პირობა იყო ის, რომ საახალწლო გადაცემაში ყოფილიყო ჩასმული მხოლოდ მოსკოვიდან: ან ბრუნევი გვილოცავდა, ან ვინმე სხვა, ერთ-ერთი უმაღლესი სახელისუფლო მოღვაწე, როცა გადიოდა საინფორმაციო პროგრამა „ვერ-

მა“, მაშინ ყველა არხზე „იკეტებოდა“ გადაცემები და ირთებოდა „ვერმა“. იყო რადიო დოკუმენტი, ხელშეუხებელი ტაბუ, რისი გაკეთებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ ვის რომელი სიმღერა უნდა ემღერა, ამაში ნამდვილად არ ერეოდნენ... „ჯერ დაიხიცი-ნენ, მერე იქორწინეს“ მთავრდება სიტყვებით: „ყველაფერი იყიდება შეყვარებულ გულის გარდა“. ერთმა ჩინოვნიკმა რომ ნახა, მითხრა: ეს რას ნიშნავს — ეი. სამშობლოც იყიდებაო?..

— და თქვენ ამის გამო პრობლემები შეგექმნათ?

— კი, სანამ მასზე ცოტა უფრო დიდმა ჩინოვნიკმა არ ნახა. საბედნიეროდ, მას ნათელი გონება ჰქონდა და არ იყო შეპყრობილი მსგავსი ეჭვებით. მან თქვა: რა სისულელეა?! — ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ამქვეყნად სიყვარულიაო... ცენტრალური საახალწლო გადაცემის მომზადება საკმაოდ რთულია. ვერასდროს ვერავინ მოახერხებს ისეთი რამის გაკეთებას, რომ ყველას გემოვნება დააკმაყოფილოს. შარშან, როცა ერთ-ერთი პროგრამის მომზადება შემომთავაზეს, მე თვითონ ავირჩიე საეთერო დღედ ორი იანვარი. ეს გაცილებით მეტ თავისუფლებას მანიჭებდა. გამახსენდა, რომ მაქვს ბებიაჩემის ნაქონი ხელის წისქვილი და ამოვიტანე სარდაფიდან. ასევე გამახსენდა, რომ მყავს მეგობარი — გივი ბერიკაშვილი, რომელიც გამოკითხვით ყველაზე სასურველი მეკვლე აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის და ასე დაიბადა „ბერიკას წისქვილი“. ჩემი თანაშემწეები ორი კვირა იხსდნენ და ტელეფონის წიგნებში ეძებდნენ: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ანა კალანდაძეს და ა.შ. მოძებნეს კიდევ ამ სახელისა და გვარის ბავშვები — ღმერთმა გვიძარავლოს ისინი! ასე დავლოცეთ მათ-

ეს არის 30-წუთიანი ფილმი. მას შეიძლება დავარქვათ ქორწილი უკუღმა...



გივი ბერიკაშვილი, რომელიც გამოკითხვით ყველაზე სასურველი მეკვლე აღმოჩნდა

თან ერთად ჩვენი სამშობლო.

— ბევრ თქვენს ტელედადგმაში მონაწილეობდა ბატონი ეროსი მანჯგალაძე. ისიც ვიცი, რომ მეგობრობდით მასთან. როდის და როგორ გაიცანით ბატონი ეროსი?

— თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს თეატრებში სტუდობილეთით გვიშვებდნენ. მეც უკეთეს ადგილას სად წავიდი? — სულ იქ ვიყავი და რეპეტიციებსაც ვესწრებოდი. იქიდან ვიცნობდი ბატონ ეროსის მხოლოდ „გამარჯობით“. შემდეგ ჩემმა მასწავლებელმა — მიშა თუშანიშვილმა გადაიღო დრამატურგ ალექსანდრე ჩხაიძის პიესის — „ხიდის“ ტელევერსია. ბატონ მიშას დადგმა იყო, მაგრამ გადაღებას მე მანდობდა. მაშინ მრხდა ჩემი და ეროსის საქმიანი შეხვედრა. არ ვიცი, მოვეწონე თუ არა, მაგრამ მე კი საოცრად მომინდა მასთან საქმიანი ურთიერთობა. გაგონილი მქონდა, — თითქოს ასეთი რამ მოხდა: ბატონი ეროსი შეხვდა გიორგი ლეონიძეს ქუჩაში და ჰკითხა: რატომ არ მოდიხარ ჩვენთან თეატრში? ლეონიძეს უპასუხია: „უჩინმაჩინის ქუდს“ სანამ არ დადგამთ, მე თქვენთან არ მოვალ... მოძებნე ეს პიესა თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, წავიკითხე, მერე დავურეკე ეროსის და შევთავაზე... — არ შეგეშინდათ?

— კი, მაგრამ მანამდე ვასო გოძიაშვილთან მუშაობისას უკვე მქონდა გატანილი ეს შიში და აქედან გამოძინარე, ცოტა გათავზებდებოდი ვიყავი... ეროსი დამთანხმდა. მე ბატონი მიშას მოსწავლე



ტელესპექტაკლის „ხორუმი ქართული სიკვამლე“ გადაღები ჯგუფი ავტორთან, გურამ ლოჩანაშვილთან (ცენტრში) ერთად



ვარ და ვმუშაობდი ისე, როგორც მან მასწავლა – სხვანაირად უბრალოდ, არ ვიცი. ეროსის უთქვამს თუმანიშვილისთვის: შენნაირად მუშაობსო. მიშამ მითხრა: მოსწონს შენთან მუშაობაო... მე, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული ვიყავი მისით. როცა გადაღებები დამთავრდა, მითხრა: თუ სპექტაკლი ან რეპეტიცია არა მაქვს, 7 საათიდან ჩემი მეგობრებისთვის შინ ვარ, პაროლი არის – ერთი გრძელი და ორი მოკლე ზარიო...

— სხვანაირად რომ დაგერეკათ, ვარს არ გააღებდა?

— არა, აწუხებდნენ ძალიან. ტელეფონზეც – ორი ზარი უნდა ვაგეშვა, მერე გაგეთიშა და სასწრაფოდ ისევ დაგერეკა; მიხვდებოდა, შინაური რომ რეკავდა და აიღებდა ყურმილს. ბევრი ქალბატონი აწუხებდა, ბევრი ადამიანიც დახმარებას სთხოვდა. ბატონი ეროსი თეატრის ახალგაზრდობისთვის მამასავით იყო. ჯარისგან გათავისუფლებას, ტელეფონის ურიგოდ დადგმას, ლამის მაცივრის შოვნასაც კი მას სთხოვდნენ. უდიდესი გულის კაცი იყო და ყველას ყველაფერს უკეთებდა. ბენიერი ვარ, რომ მაქვს უფლება ვთქვა მისივე ნებართვით – მისი მეგობრების წრეში მეც ვიყავი-მეთქი... მოკლედ, მივადექი ერთ საღამოს შამპანურებით. ძალიან გაეხარდა. ვიქტორ ნინიძე იყო მასთან და ღომინოს თამაშობდნენ. კახუნა გვესტუმრაო! – თქვა ეროსიმ და რაღაცების კეთება დაიწყო. მისი ტრადიციული კერძი იყო „ღომ-მჭადი“. გუნდა მჭადს აკეთებდა, გარედან მჭადი იყო, შიგნით

— ჩახარშული ღომი. დაიწყეს მან და ვიქტორმა სუფრის გაშლა, მე მითხრეს – შენ დაჯექიო. წავიდი და დაჯექი იქ, სადაც მომეწონა. შემოვიდა ვიქტორი, შემომხედა და თმა ყალყზე დაუდგა – ადექი ჩქარაო. წამოვდექი. შემოვიდა ეროსი: რას დგახარ? – დაჯექიო. დაჯექი. ასე გამეორდა რამდენჯერმე. ვიფიქრე, ალბათ მაშაყირებენ-მეთქი და გემრიელად მოვკალათიდი. საღამო რომ დამთავრდა, ეროსიმ მითხრა: კახუნა, მანდ მეორედ აღარ დაჯდეო. თურმე ეს მისი ადგილია და ყველაფერი მორგებული აქვს. მე კიდევ დაჯექი მის ადგილზე, ავიღე მისი ჭიქა, ჩანგალი და ა.შ. ბატონმა ვიქტორმა მითხრა მერე: მე რომ დავმჯდარიყავი, ფანჯრიდან მისვრიდა, ეტყობა, შენ ძალიან უყვარხარ, რახან ასე არ მოგექცაო... ორ დღეში ერთხელ მასთან დავდიოდი სტუმრად. დიუსელდორფიდან ფეხბურთის მატჩს (1981 წელს, თბილისის „დინამო“ ვეროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი რომ მოიგო) მასთან ერთად ვუყურე. მერე ჩემი „ზაპოროჟეცით“ წავიდი „დინამოს“ სტადიონზე, სადაც მთელი თბილისი იყო თავმოყრილი... ამ დღებულ ადამიანზე მოსაგონარი ძალიან ბევრია. როდესაც გაქვს ბენიერება, რომ ასეთი დიდი ადამიანი თავის გვერდით დაგიყენებს, ამას გაფრთხილება უნდა...

— ბატონი ვასო გომიაშვილიც ასე ადვილად დათანხმდა ახალგაზრდა რეჟისორს ტელესპექტაკლში მონაწილეობაზე?

— აწურული მივედი გომიაშვილთან, ვუთხარი – დაგიტოვებთ პიესას და წაიკითხეთ-მეთქი. როგორ გგონია, წაკითხული არა მაქვსო? – მითხრა. ვაიმე, უარს ამბობს-მეთქი, + ვიფიქრე და წამოვდექი. – სად მიდიხარო? – რა ვიცი, წავალ-

მეთქი. – არა, დაჯექი. ახალგაზრდა რეჟისორებზე ნაწყენი ვარ; როგორ არა გრცხვენიათ, რომ დამივიწყეთ და აღარ მეძახით გადაღებებზეო?! მინდა ვთქვა, რომ რაც უფრო დიდია მსახიობი და საერთოდ პიროვნება, მით უფრო თავმდაბალი და მოკრძალებულია. არ მახსოვს, ვასო გომიაშვილს ან ეროსი მანჯვალაძეს რეპეტიციაზე დაეგვიანოთ – მსგავსი რამ არასდროს მომხდარა. ფუყე რომ არის და საპნის ბუშტივით გაბერილი, სწორედ ისეთებს ეძარბებოდა „ვარსკვლავური დაავადება“. ჭეშმარიტად დიდი ადამიანები კი ძალიან უბრალოები არიან.

ბატონ კახას კიდევ ბევრი რამის მოყოლა შეეძლო, მაგრამ მსახიობებს რეპეტიცია ბევრჯერ ჰქონდათ უკვე გაკლილი. გადასაღებადაც ყველაფერი მზად იყო და ყველანი რეჟისორს ელოდებოდნენ, ამიტომ დამშვიდობება მოვკინია. ერთი რამ კი შემიძლია ვითხრაო: ის, რასაც გადაღებისას მოვკარი თვალი, ძალიან სასაცილო და სახალისო იყო. მე მგონი, ამ ფილმის ნახვისას, ახალ წელს ტელემყურებელს კარგი განწყობილება დაეუფლება. ■



სადილი ყველას
კვირას, 29 დეკემბერს, „კათარზისი“ კვლავ იწვევს ნებისმიერ მსურველს სათნოების სახლში 12-დან 17 საათამდე, სადაც მას ცხელ გემრიელ სადილს შესთავაზებენ.
ამჯერად თქვენ გიმასპინძლებთ ფოთის პორტი (ბატონი ჯემალ ინაიშვილი).
გელით აგრეთვე სიურპრიზები „კოკა-კოლასაგან“.
დარეკეთ 11-დან 17 საათამდე, ტელ. 95-16-46
დავით აღმაშენებლის გამზ., 121

ეროსი მანჯვალაძე – „გვადი ბიკვა“

წვიმაში ამოსული სოკოებივით მრავლდება თბილისში კაფე-ბარები და ლამის კლუბები. ეს ის ლამაზი, მშვიდი და ხმაურიანი ადგილებია, სადაც მთელი ღამის განმავლობაში შეუძლიათ გაერთონ აქტიური დასვენების მოყვარულები. თურმე ნუ იტყვიან და, ასეთ დანებებულულებებში შექმნილი განწყობის ერთ-ერთი მთავარი „დამნაშავეები“ ის წითელბაფთიანი ყმანვილები არიან, დახლს მიღმა რომ დგანან, ლამაზ-ლამაზ ბოთლებს, ჭიქებსა და რაღაც ლითონის მოგრძო ჭურჭელს ჟონგლიორებივით ატრიალებენ ხელში და სხვადასხვა სასმლისა და ხილის კომპონენტების საჭირო დოზირებით ნაირ-ნაირ კოქტილს ამზადებენ. სწორედ ამ საქმის ერთ-ერთ ასეთ ვირტუოზს ვესაუბრე, რომელსაც თქვენც გაგაცნობთ.



კოქტეილი სახნაუკუნის ხელოვნება!

აპირი მარკველაშვილი

— ეს ნამდვილი ხელოვნებაა, შეიძლება ითქვას, მეცნიერებაც კი. ჩემი აზრით, კოქტილი გასროლილ ისარს ჰგავს, რომელიც ზუსტად უნდა მოხვდეს მიზანში და აღამიანს ის განწყობა შეუქმნას, რასაც იგი ამ სასმლისგან ელის.

— მე კოქტილების შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ეს სიტყვა „მამლის კუდს“

ნიშნავს და ეს სახელწოდება ჭრელი ფერების გამო მიიღო.

— თქვენთვის ესეც საკმარისია — დანარჩენი ბარმენის საქმეა.

— საკუთარ თავს პროფესიონალ ბარმენად მიიჩნევთ?

— 150-ზე მეტი კოქტილის მომზადების რეცეპტს ვფლობ. მაქვს ათამდე საკუთარი რეცეპტიც. მომზადების დროში ვეტევი და კიდევ ერთი: თუ დამკვეთმა არ იცის, კონკრეტულად რომელი კოქტილი ესაჭიროება, ზუსტად ვხვდები და იმას ვუმზადებ. ასე რომ...

— ელიტარები ხშირად გსტუმრობენ?

— საკმაოდ: მომღერლები, მსახიობები, სპორტსმენები, „ისინიც“ (საჩვენებელ თითს მაღლა სწევს. — ავტ.).

— კოქტილებს ხშირად გიკვეთენ?

— რა თქმა უნდა. ვის არ სიამოვნებს რომანტიკულ სიტუაციაში „ჩაიძირვა“?!

— „იმათზე“ მინდა დაგტყუოთ რამე (საჩვენებელ თითს მეც მაღლა ვწევ).

— ალბათ არ იქნება სწორი, ამაზე ვილაპარაკო: ისინი ხომ აქ იმიტომ შემოდიან, რომ ის დალიონ, რაც სიამოვნებთ...

— მე დაფუჟავშირდი რამდენიმე პოლიტიკოსს და აღმოჩნდა, რომ კოქტილების შედარებით აქტიური მოყვარულნი ლუზა შაკიაშვილი და

ჰამლეტ ჭიპაშვილი არიან.

— ჰოდა, მე რაღას მეკითხებით? მაინც, რომელი კოქტილი მოსწონთ?

— როლები გავცვალეთ, აქეთ რომ მეკითხებით? სიამოვნებით გიპასუხებთ: ქალბატონი ლუიზა ქართული არყის, შამპანურისა და ხილის წველების შერევით დამზადებულ კოქტილს ანიჭებს უპირატესობას, ბატონი ჰამლეტი კი, განწყობის მიხედვით ირჩევს: ჯინს ტონიკით, ვისკის — „კოკა-კოლითა“ და ყინულით, ან ტომატის წვეს არყით.


— გადასარევი გემოვნება ჰქონიათ!..

— ეი, ყველა კოქტილს თავისი დანიშნულება აქვს, არა?

— რა თქმა უნდა. მაგალითად: SMIRNOFF-ის ბაზაზე დამზადებული კოქტილები რეკომენდებულია სარისკო სიტუაციებისა და ავანტიურების მოყვარულთათვის, ტეკილაზე დამზადებული — მათთვის, ვისაც უყვარს ძლიერი განცდები და მძაფრი ემოციები, ჯინის ნედლეული მისწრებაა. თუ იცი შენი მიზანი და გსურს, უმოკლესი გზით მიხვიდე მასთან და ა.შ. თუ გნებავთ, რამდენიმე მათგანის შექმნის ისტორიასაც გაგაცნობთ.

— ძალიან მაინტერესებს.

— მაგალითად: „შავი ქერი“ გამოგონილია ესპანეთის ტახტის მემკვიდრებისათვის, ომის დროს. დაუმსახურებლად მივიწყებული იყო. რეცეპტი გაიხსენა დენი დე




ვიტომ ფილმის – „გადმოავლე დედიკო მატარებლიდან“ გადაღების დროს; „ცისფერი ლაგუნა“ – გამოგონებულია დიდი მხატვრის, პოლ გოგენის მიერ მას შემდეგ, რაც ექიმებმა აბსენტის სმა აუკრძალეს და ტაიტიზე გამგზავრება ურჩიეს; „ბაკარდი-კოლა“ – ახალგაზრდა ალ კაპონე იამაიკურ კონტრაბანდულ რომში ურევდა „კოლას“ და პოლიციაც ვერაფერს ხვდებოდა; „მარტინი როკში“ – ყველაზე ხანგრძლივი კოცნა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, შედგა მას შემდეგ, რაც პარტნიორებმა თითო ჭიქა ეს კოქტეილი მიირთვეს; „ინგრედის ცა“ – ინგრედ ბერგმანის გამოგონებაა, პარაშუტით პირველი ნახტომის შემდეგ; „ნორმა მერილინ“ – ამ კოქტეილის გასინჯვის შემდეგ, ნორმა ბეიკერმა დაირქვა მერილინ მონრო; „003“ – შონ კონერის გამოგონებაა; ერთ-ერთი ფილმის გადაღებებზე, ის ამ კოქტეილით შესვენების დროს, პლაჟზე მყოფ ლამაზმანებს უმასპინძლებოდა.

— **სასაცილო სახელია — „003“.**

— დიახ. ეს „სასწრაფო დახმარების“ ნომერია. საზღვარგარეთ, როცა კლიენტი „003“-ს უკვეთს, წინასწარ უნდა გადაიხადოს მისი საფასურიც და „სასწრაფოს“ გამოძახების თანხაც, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბარი არ დაზარალდეს. სხვა კოქტეილებიც არსებობს მსგავსი სახელწოდებებით: „კოცნა სიკვდილთან“, „მიწისძვრა“ და ა.შ.

— **ხომ არ აჭარბებთ? მე დაფიქრებულად „ბუმ-ბუმ ტაბურეტკა“ და „სასწრაფოთი“ კი არა, ფეხიფაც მშვენივრად მივედი შინ.**

— ჩვენ, ძმაო, ქართველები ვართ და ყველაფერს ვუძლებთ — ჩვენ ხომ ორნახადი ჭაჭით 12 სახარებას „მივარტყამთ“ და მერე



გადავდივართ ღვინის სმამდე. ერთი „ტაბურეტკა“ რას გვიხამს?!

— **გაიხსენეთ რომელიმე მაგალითი, როცა წვეილი გენვით და კავალერი თქვენს ინტუიციას მიენდო.**

— რამდენიც გნებათ. მაგალითად, თუ ხედავ, რომ გოგო ზედმეტად იფასებს თავს და ბიჭს აშკარად აწვალებს, ამის წამალიც არსებობს: „ექსტაზი ყვირილით“, „სექსი პლაჟზე“ და სხვა. რამდენიმე წუთში ქალი აქტიურდება. ბევრი „მწვანე მადლობაც“ (აშშ დოლარი) მიმიღია...

— **ბოროტად ხომ არ იყენებთ ხოლმე თქვენ სამასწრაფოებრივ მდგომარეობას?**

— რატომ?

— **იქნებ, იმ საცოდავ გოგოს არ უნდა, რომ...**

— კარგი, რა!.. თუ არ უნდა, დროზე წავიდეს შინ და სერიალებს უყუროს! ქალი რომ ღამის 4 საათამდე ბარში გიზის და ცეკვისას ტანზე „სკოჩით“ გეკვრება, აბა, რა უნდა იმას?! ისეთებიც ყოფილან, ზედმეტად მორიდებულები რომ არიან და მორცხვობა ტანჯავენ. ამ დროს, „ღამე ტროპიკებში“ უნდა მიირთვან, ან „ცისფერი ლაგუნა“ და სადამოც უფრო მხიარულ იერს მიიღებს.

— **ასეთი პროფესიის კაცს კუროზობებიც გექნებათ გასასვენებელი...**

— მასსოვს, ერთი სიმპათიური წვეილი შემოვიდა. ქალმა მენიუს გადახედა და „ექსტაზი ყვირილით“ შემიკვთა. სვამს და ღიმილით მეკითხება — „ექსტაზს“ ამართლებს, მაგრამ ყვირილი რა შუაშია? — ყვირილი, ანგარიშს რომ მოვართმევთ, მაშინ იქნება-მეთქი... ბევრი იცინეს...

— **საკუთარი რეცეპტებიც ახსენეთ...**

— ბარმენებს ერთი დაუწერელი კანონი გვაქვს: თუ უცხო ბარში შეხვალ და რამეს შეუკვეთ, ორმაგი თანხა უნდა გადაიხადო და ბარმენიც დააპატიო. ის იმ თანხაში, რაც სურს, იმას მიირთმევს. ერთი „პრიბალტიკელი“ ბარმენი მოვიდა, რაღაც მთხოვა და რა თქმა უნდა, მეც დამპატიოა. იმპროვიზებულად რაღაცები ერთმანეთში ავურიე და ისეთი ეგექტი მივიღე, რომ უცებ ჩავიწერე. მომენტალურად გულუხვი გავხდი და სხვებსაც გავუმასპინძლდი. მერე, მთელი თვე უხელფასოდ ვიმუშავე, რომ ვალი დამეფარა, მაგრამ არა უშავს რა — მთავარია, რომ ვისიამოვნეთ. ამიტომ იმ კოქტეილს „არ დიდარდო“ დავარქვი. ჩემი საავტოროა „ელდორადოც“: რომ დალევთ, ოქროს ქვეყანაში გვეგონებათ თავი; ნაბახუსევზე იღვიძებ და ხელები, რომ ყველაფერი ტყუილია.

— **მოკლედ, სასწრაფოების მოხდენა შეგძლებიათ ბარმენებს.**

— აბა, რა! (იცინის) გინდათ, კიდევ ერთი ჩემი საავტორო „სასწრაფი“ გიჩვენოთ? შეგიძლიათ რეცეპტიც ჩაიწეროთ:

150 გ „ნაპოლეონი“

1 ს/კ შაქარი

ფორთოხლის წვენი

შამპანური, ანანასი ან ბანანი, ლიმონი.


ყინული, შაქარი, „ნაპოლეონი“ და წვენი უნდა ავთქვიფოთ შეიკერში, ჩაგასხათ ლამაზ ბოკალში. ფრთხილად მოვასხათ ცივი შამპანური. ლიმონის ნაჭერი ჭიქის პირზე ჩამოვაცვათ, მისივე ქერქი კი შემოვავიოთ ჭიქას... როგორია? შეგიძლიათ გასინჯოთ.

— **მერედა რა პქვია ამ „სასწრაფს“?**

— ლიმონის ქერქი რას გავონებთ?

— (გაბეჯინა).

— მართალი ხართ (იცინის)! თქვენი ჟურნალის პატივსაცემად, დღეიდან, „გზა“ იქნება მისი სახელი.



ჯერ მამა მოკლა, შემდეგ 15 წლის შვილი

სისხლიანი ტრაგედია ნადიბაიძეების ოჯახში



მეზო სანავა

რამდენიმე დღის წინ, 2002 წლის 24 დეკემბერს, უზენაესმა სასამართლომ გორის რაიონის სოფელ შინდისში დატრიალებული შემზარავი ტრაგედიის დეტალების განხილვა დაასრულა. კოლეგიის თავმჯდომარემ, ივანე ვასილის ძე ნადიბაიძის მიერ ჩადენილ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით, განჩინება გამოაცხადა. განჩინების თანახმად, ნადიბაიძე ფსიქიკურად ჯანმრთელი არ გახლავთ და ამის გამო, ციხის ნაცვლად, ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით სამკურნალოდ გადაიყვანეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 45 წლის ივანე ნადიბაიძე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადრეც მკურნალობდა. ექსპერტებმა მისი ავადმყოფობის დამადასტურებელი დასკვნა მაშინ გასცეს, როცა ის საკუთარი მამის – ვასილ ნადიბაიძის განზრახ მკვლელობისთვის გახლდათ დაპატიმ-

რებული. გორის რაიონის სასამართლოს 1990 წლის 12 სექტემბრის განაჩენის მიხედვით, ივანე ნადიბაიძეს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის ზომად, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მან საკუთარი მამის მკვლელობა უმნიშვნელო მიზეზით, ურთიერთშელაპარაკებისას ჩაიდინა, თუმცა იმ დროს მას შეურაცხადად არავინ თვლიდა. ნადიბაიძის ავადმყოფობა სასჯელის მოხდის პერიოდში, ციხეში ყოფნისას დააფიქსირეს ოფიციალურად. ექსპერტებმა ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ განაცხადეს, რომ მსჯავრდებული შეურაცხადი იყო და 1992 წელს, აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, ის ქალაქ ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საავადმყოფოში ნადიბაიძე, როგორც იქაური ექიმები ირწმუნებოდნენ, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. 1998 წელს ის სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც საერთო მეთვალყურეობის ქვეშ გახლდათ. 2001 წლის 29 მაისს ივანე ნადიბაიძე საავადმყოფოდან გაიქცა და თავის საცხოვრებელ სახლში, სოფელ შინდისში დაბრუნდა. მისი შინ მისვლიდან დაახლოებით ერთ წელიწადში ეს შემზარავი ფაქტიც მოხდა: 2002 წლის 5 აპრილს, დღისით, დაახლოებით 5 საათისთვის, ივანე ნადიბაიძემ, თავის საცხოვრებელ სახლთან ახლოს საკუთარი შვილი, 15 წლის გიორგი ნადიბაიძე შენიშნა. ივანე შვილისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა და მაუახლოვდა თუ არა მას, სხეულში დანა რამდენჯერმე ძლიერად ჩაარტყა. ჯერ გულმკერდის არეში მიაყენა ორი ჭრილობა, ხოლო შემდეგ ყელი გამოსჭრა შვილს. გიორგის გული და ორივე ფილტვი დაუზიანდა, ასევე მარცხენა ლავის არეში არტერიის სრულად გადაჭრის გამო, მას ჭარბი სისხლდენა განუვითარდა და ადგილზევე გარდაიცვალა. მამის მიერ შვილის დაჭრის ფაქტს არავინ შესწრებია. მეზობლებმა ივანე ნადიბაიძე მაშინ შენიშნეს, როცა ეს უკა-

ნასკნელი დანით ხელში საშინლად ყვიროდა და თვითმკვლელობით იმუქრებოდა. როცა შეატყო, რომ მას ყურადღება მიაქცევს, მაშინვე შემოხვევის ადგილიდან გაიქცა.

მკვლელობის ადგილას მოგროვილმა ხალხმა გადაწყვიტა მომხდარის შესახებ პოლიციისთვის ეცნობებინა. სამართალდამცავებმა დამალულ ნადიბაიძეს მიაგნეს, თუმცა მისი შეპყრობა ადვილად ვერ შეძლეს. ნადიბაიძის აყვანას ერთ-ერთი პოლიციელის ჯანმრთელობაც ემსხვერპლა. შვილის მკვლელობის შემდეგ შეურაცხადმა მამამ, დანა პოლიციელ – გოჩა ოქრომჭედლიშვილს მოუქნია და ის გულმკერდის არეში დაჭრა, ოქრომჭედლიშვილი მას ხელიდან დროულად დაუსხლტა, როცა თანამშრომლებმა მის სხეულზე სისხლი შენიშნეს, მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს. საბედნიეროდ, ოქრომჭედლიშვილი სიკვდილს გადაურჩა. რაც შეეხება ჭრილობას, ექსპერტებმა ის მძიმე ხარისხის დაზიანებად შეაფასეს.

მზია შუბითიძე, ივანე ნადიბაიძის მეუღლე:

„ჩემი ქმარი ფსიქიკურად დაავადებულია. როცა ის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაიქცა და მინ მოვიდა, არ მომეწონა. მასთან ერთად ნორმალურად ცხოვრება არ შეიძლებოდა, ამიტომაც არაერთხელ მივმართე პოლიციას. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვრეკავდი, მაგრამ ამაოდ. პოლიცია ყურადღებას არ მატყვევდა, ფულს მოხოვდა, საავადმყოფოს თანამშრომლები კი მოხოვდნენ, საბუთებს ხელი მოაწერე, თითქოს ქმარი საავადმყოფოდან თვითონ გაიყვანეთ. მოთხოვნებზე არც ერთს არ ვთანხმდებოდი. ამასობაში ეს ფაქტიც მოხდა. შევიტყვე, რომ ჩვენი შვილი მას სახლთან ახლოს მოუკლავს.“

გოჩა ოქრომჭედლიშვილი, დაზარალებული:

„შემოხვევის დღეს, სოფელ შინდისში, მეგობრის ოჯახში ვიყავი სტუმრად. ვსადილობდით, როცა ჩვენთან მეგობრის არასრულწლოვანი შვილი – დათო მოვიდა და გვითხრა, ეზოში

ვილაც კაცი დანით ხელში დარბისო. მაშინვე გარეთ გაცეკვივდით და დაახლოებით 40-45 წლის კაცი დავინახე, მას ხელში დანა ეკავა. ამ პირმა დანა ყელთან მიიღო და იძახდა: არ მომეკაროთო. პოლიციელთა დანახვაზე ის გაიქცა და სახლის სარდაფში შევარდა. კარი შიგნიდან ჩაკეტა. მე და კიდევ ერთი თანამშრომელი მაშინვე დავედევნეთ მას, კარი შევამტვრიეთ და ვთხოვეთ - დანა დააგდე, სარდაფიდან გამოდი და არავინ არაფერს დაგიშავებს-თქო. ამ დროს ნადიბაიძე, დამორჩილების ნაცვლად, პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა. ვცადე, მისთვის დანა წაშერთო, მაგრამ იმვე მომენტში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მივხვდი, რომ მან დანა ჩამართვა. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ვონებაც დავეკარე...

„...როცა სარდაფში ჩაიკეტა, შიგნიდან ხმაურის ხმა ისმოდა. მტკრევის ხმას ჰგავდა. მაშინ პოლიციის დამხმარე ჯგუფი გამოვიძახეთ. სარდაფის კარი გავტეხეთ. კართან, შიგნიდან ორი მეტრის სიმაღლეზე სხვადასხვა სამშენებლო მასალა მოუყრია...“ - გადმოგვცემენ შემთხვევის აღვილას მყოფი პოლიციელები.

„დავინახეთ, რომ შვილს სცემდა, მაგრამ მის ხელში დანა არ შეგვინიშნავს. მერე იძახდა, თავს მოვიკლავო. მეზობლებმა კივილი ავტეხეთ, ის კი მაშინვე გაიქცა. მხოლოდ მაშინ ვნახეთ, რომ მისი შვილი - გიორგი

დაჭრილი იყო და სისხლისგან იცლებოდა“ - ჰყვებიან მეზობლები.

მაია გულიაშვილი, მოწმე:
„საღამოს, ეზოდან ხმაური შემომესმა. მომეჩვენა, თითქოს ვილაცა ყვიროდა. გარეთ რომ გავედი, ჭალარა, წვერმოშვებული მამაკაცი დავინახე. მას ყელთან დანა ჰქონდა მიბჯენილი... მერე შევიტყვე, რომ ნადიბაიძეების სახლთან ახლოს გიორგი ნადიბაიძის გვაში ესვენა, მას ყელი

მსგავრდება და დასჯა, ვერ მოახდენს მასზე სათანადო ზემოქმედებას და არ გამოასწორებს მას თავისი ფსიქიკური მდგომარეობით, მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სავამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში. ივანე ვასილის ძე ნადიბაიძე განსაკუთრებულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, რის გამოც აუცილებელია მის მიმართ მკაცრი მეთვალყურეობის დაცვა ფსიქიატრიული სა-

თავის საცხოვრებელ სახლთან ახლოს საკუთარი შვილი, 15 წლის გიორგი ნადიბაიძე შენიშნა. ივანე შვილისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა და მიუახლოვდა თუ არა მას, სხეულში დანა რამდენჯერმე ძლიერად ჩაართვა.

ქონდა თურმე გამოჭრილი...“
სტაციონარული ფსიქიატრიული-სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქმე ქრონიკულ, ფსიქიკურ ავადმყოფობასთან გვაქვს. ექსპერტთა თქმით, ივანე ნადიბაიძე პარანოიდული შიზოფრენიითაა დაავადებული. „მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას მას არ შეუძლია გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, შედეგი და მართლწინააღმდეგობა ამის გამო, ივანე ნადიბაიძის

ავადმყოფობის პირობებში“, - დასძენენ ექსპერტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, ბეჟან ხიშიაშვილის თავმჯდომარეობით, ზემოთ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა გაითვალისწინა. ივანე ნადიბაიძეს ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა დაუნიშნეს.

**ენიფანტის სურათი
თავითი მოხალაჲ დააჩაღღეს**

2002 წლის 23 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, ორმა სტუდენტმა თურქი მოქალაქე, ურხან ათაჩი დააყაჩაღა. თავდამსხმელებმა მას პირადი ნივთები წაართვეს.

მომადარის შესახებ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს ეცნობა. სამართალდამცავებმა ბოროტმოქმედები - 18 წლის ირაკლი ლონიშვილი და 17 წლის დავით ხიტური დააკავეს. მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიებას თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა აწარმოებს. როგორც გაირკვა, დაზარალებული - ურხან ათაჩი საქართველოში დროებით იმყოფებოდა.

„იკარუს“ ექვსი ნიღბიანი დაესხა თავს

2002 წლის 23 დეკემბერს გორი-თბილისის ავტომაგისტრალზე „იკარუსის“ მარკის ავტობუსს ავტომატით შეიარაღებული ექვსი პირი დაესხა თავს. როგორც გაირკვა, იმ დროისთვის ავტობუსი თურმე გორიდან ლილოს ბაზრობის მიმართულებით მოძრაობდა. შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა ავტობუსი გააჩერეს, შემდეგ სალონში ავიდნენ და მძღოლს ავტომატის ცენტრალური სააკტომობილო გზიდან გადაყვანა მოსთხოვეს.

ავტობუსში მყოფ მგზავრებს ბოროტმოქმედებმა ფული და ძვირფასი ნივთები გამოსძალეს. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ბოლოს, დიდი ოდენობით თანხაც გაიტაცეს და შემთხვევის აღვილიდან მიიმალნენ. დამნაშავეები ჯერჯერობით დაკავებულები არ არიან.

ქართველი მომღერლების ერთ-ერთ დაჯილდოებაზე 16 წლის ბუკა მანაგაძე „წლის აღმოჩენად“ დაასახელეს. „ახალგა-მომცხვარ“ ვარსკვლავს ამ პირველმა საქვეყნო აღიარებამ ფრთები შეასხა და მან გადაწყვიტა, რომ ანი, უფრო მეტი სიმღერა შესთავაზოს თავის მსმენელს. ბუკას ძალიან ახარებს, ქუჩაში თანატოლები რომ ცნობენ და უცნობი თავგანისმცემლები სასიყვარულო მესიჯებს რომ უგზავნიან... არა მგონია, პოპულარობა ოდესმე დაძლიებული და მოსაბეზრებელი გახდეს ჩემთვის. აი, ახლაც, თქვენთან შესახვედრად რომ მოვდიოდი, ვიღაც ბიჭებმა მიცნეს და ერთხმად აყვირდნენ: ვა, ნახეთ, ბუკა მოდისო! უსაქმური და „ბირჟავი-კი“ ბიჭები კი არ მიყვარს, მაგრამ მაინც მესიამოვნა, რომ მიცნესო, — გამომხილა ახალგაზრდა მომღერალმა.



ნება, რომელიც საბედნიეროდ, უკვე განხორციელდა. ვერ მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც სცენაზე გამოჩნდი და უკვე უამრავი თავგანისმცემელი მყავს. მირეკვენ, ავტოგრაფებს მიხოვენ, მესიჯებს მიგზავნიან (იციინს)...

— რატომ გეცინება?

— სასიყვარულო მესიჯებს მიგზავნიან ხოლმე: „ძალიან მიყვარხარ“, „ჩემო ანგელოზო“ და ასეთ რამეებს...

— ბუკა, ალბათ ძალიან დაკავებული ხარ, მეგობრები არ გსაყვედურობენ ამის გამო?

— ძალიან დატვირთული რეჟიმი მაქვს და მეგობრებისთვის ცოტა დრო მრჩება. უხარიათ ჩემი წარმატებები, მაგრამ მაინც მსაყვედურობენ ხოლმე: როგორ არ გრცხვენია, სად დაიკარგე, რატომ არ გვირეკავო?

— როგორც ვიცი, ამჟამად, ახალ სიმღერასა და კლიპზე მუშაობ?

— ამ რამდენიმე დღის წინ დავამთავრეთ კლიპის გადაღება. პირველი სიმღერაც — „ყვავილები თოვდა, თოვდა“ და მეორეც — „წვიმა მოდის“ მამაჩემის სიმღერებია. „წვიმა მოდის“ რადიოცნაირი, სხვანაირი სიმღერაა. ლევან ლაზარაშვილის სტუდიაში ვწერდით მას და ორივეს — მეც და ლევანსაც ცრემლები მოგვდოდა... მინდა, რომ კლიპმაც იგივე ემოცია გამოიწვიოს მსმენელში. კლიპის რეჟისორი გიგა ავლაძეა. თვითონ შემოგვთავაზა: მინდა, ამ სიმღერაზე კლიპი გადავიღო, — და დავთანხმდით. ვფიქრობ, კარგი გამოვა. მოკლე ხანში, თვითონ შეაფასებს მსმენელი.

— კლიპის გადაღების დროს, რაიმე კურორზი ხომ არ მოხდა?

— მასობრივი სცენა იყო გადასადები. 50-მდე კაცი, შავი ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი, შავი, უშველებელი ქოლგებით ხელში, ქუჩაში უნდა მდგარიყო წვიმაში. ჰოდა, ამ სიცივეში 5 საათი ელოდნენ სახანძრო მანქანას, რომელსაც წვიმა უნდა „შექქნა“. ძალიან სასაცილო კი იყო. ხალხი გაცივებული უყურებდა ქუჩაში მოსიარულე უამრავ ქოლგაანადამიანს და ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ერთ ეპიზოდში, შუალამისას, ფეხშიშველი გიჟივით დავბობდი გუბებში. თან შილიფად მეცვა, ვითომ ზაფხული იყო —

რას ელოდება სცენისა და ცხოვრებისგან 16 წლის ბუკა მანაგაძე...

50677 Xავახიშვილი

— ბუკა, ელოდი, „წლის აღმოჩენად“ რომ დაგასახელებდნენ?

— საერთოდ, რომელიმე ნომინაციაზე თუ ვიყავი წარდგენილი, არც კი ვიცოდი. ფესტივალის წინა დღეს, მოსაწვევი რომ მომიტანეს, რა ხდება, სტუმარი ვარმეთქი? — ვიკითხე. სტუმარი კი არა, ნომინაციაზე ხარ წარდგენილი და უნდა იმღერო კიდეცო, — მიპასუხეს. „წლის აღმოჩენად“ რომ დამასახელეს, ისე დავიბენი, რომ აღარც მახსოვს, კიბეზე როგორ ავედი და რა ვთქვი. პრიზი მოდელიერმა აბრამ ბაზელმა გადმომცა და თავის აკადემიაში სასწავლებლად მიმიწვია. დამპირდა, რომ ჩემთვის სასურველ კაბას შემიკერავდა. ესკიზები უკვე მზად აქვს. ეს გამარჯვება დიდი სტიმულია ჩემთვის. ხალხისგან დიდი სითბო და სიყვარული ვიგრძენი და მივხვდი, რომ უფრო მეტი

უნდა გავაკეთო.

— თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისოროზე ვაბარებო, მითხარი. რატომ აირჩიეს ეს პროფესია?

— ბავშვობაში ძალიან მინდოდა, მსახიობი გავეხდარიყავი, მაგრამ რატომღაც გადავიფიქრე. ვფიქრობ, რეჟისორის პროფესია ძალიან საინტერესოა. ყველაფერს, თუნდაც საკუთარ რეპერტუარს, უკვე სხვა თვალთ უყურებ. ჩემი სიმღერებისთვის კლიპს თვითონვე გადავიღებ ხოლმე.

— მომღერლობაზე ბავშვობიდანვე ოცნებობდი?

— ჩვენს სახლში ხშირად იკრიბებოდნენ მამაჩემის მეგობრები (ბუკა ზურაბ მანგაძის ქალიშვილი ვახლავთ. — ავტ.), რომლებიც კარგად მღეროდნენ. როგორც დედაჩემი იხსენებს, თურმე პატარაობიდანვე, მანუში რომ ვიჯექი, სულ ვლილინებდი. ტირილი არ მცოდნია... მოკლედ, სცენაზე დგომა ჩემი ბავშვობის დროინდელი ოც-

არადა, სიცივისგან ვკვდებოდი... არა მგონია, ეს შემთხვევა კურიოზებად ჩაითვალოს.

— მშობლებთან როგორი ურთიერთობა გაქვს? ბატონი ზურაბი მკაცრი მამა სომ არ არის?

— ორივე, მხარში მიდგას და რომ არა ისინი, ალბათ სცენაზე არც ვიდგებოდი. ყველანაირად მიწყობენ ხელს. მშობლების, განსაკუთრებით მამაჩემის მიმართ, უზომო რიდი მაქვს. არ მახსოვს, მამას ხმამაღალი სიტყვა ეთქვას ჩემთვის. სხვათა შორის, ხასიათით მას ძალიან ვგავარ. დედა უფრო მკაცრია, თუმცა, როდესაც რაიმე ცხოვრებისეული პრობლემა მაქვს, ყოველთვის ვეუბნები და რჩევას ვეკითხები ხოლმე. მოკლედ, ვმეგობრობ. მემამყება, კარგი მშობლები რომ მყავს და მგონი, მეც არ უნდა ვიყო მათთვის ცუდი შვილი...

— მაინც როგორი ხარ, რას იტყვი საკუთარ თავზე?

— როგორი ვარ? რა ვიცი, ბუნებით ძალიან მშვიდი და დამთმობი ვარ. არ მიყვარს ტყუილი. არა ვარ ქედმაღალი და ვიცი პოპულარობა თავში არ ამი-

ვარდება. სახლში მყავს პატარა „დაქლოჩკა“ პუდელი. ზარმაცი არ ვარ. სახლის დალაგება და სადილის მომზადება მეხერხება, ოღონდ — თუ კარგ ხასიათზე ვარ. თუ არა და, ჩემს ოთახში ვიკეტები და ან ვწერ, ან ვხატავ, ან ვქსოვ...

— ჩაცმულობის როგორი სტილი გაქვს?

— უფრო სპორტული. კლიპის გადაღების დროს, მოდელიერებს — ზალიკო ბერგერს და ივა ლომიძეს დავუმეგობრდი. თუმცა, ჯერჯერობით სასცენო კოსტიუმებს თვითონ ვარჩევ ან დედა მეხმარება ხოლმე.

— საუბრისას მითხარი, რომ რამდენიმე სერიოზული წინადადება შემოგთავაზებს, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობას ითვალისწინებს. რას აპირებ?

— ვისგან, არ დავაკონკრეტებ, მაგრამ მაქვს შემოთავაზება, რომ მოსკოვში გავემზავრო და იქ გავეგრძელო მუშაობა. საბერძნეთიდანაც მაქვს ასეთივე მიწვევა. მაგრამ ქართველ მსმენელს არ ვუღალატებ. მინდა, ჯერ საქართველოში ვთქვა ჩემი სათქმელი და მერე ვნახოთ... თუმცა, არა მგონია, ასეთ წინადადებებს ოდესმე დავთანხმდე. 5 წელი საზღვარგარეთ ვცხოვრობდი და ვიცი, რაც არის საქართველოს გარეშე ცხოვრება.

— სად ცხოვრობდი?

— კუნძულ კვიპროსზე. 1996 წელს ჩამოვედით საქართველოში. ფაქტობრივად, იქ გავიზარდე. ბერძნულ სკოლაში დავდიოდი და ქართული რომ არ დამვიწყებოდა, მანანა კარტოზიასთან („დილის გაზეთის“ რედაქტორი, მაშინ ისიც იქ ცხოვრობდა) ვმეცადინებოდი. მშობლები მუშაობდნენ. მამა საოცარ ნოსტალგიას განიცდიდა. სწორედ საბერძნეთში ყოფნის დროს დაწერა სიმღერა „დავბრუნდები“, რომელიც ასე ძალიან მოეწონა ქართველ მსმენელს. ერთი სული მქონდა,



საქართველოში როდის ჩამოვიდოდი. იქაურობა ძალიან ლამაზი, ფერადოვანი იყო, მაგრამ მაინც უცხო. აქ ჩამოვედი და ნაცრისფერი ქალაქი დამხვდა (ჩაბნელებული, უშუქო და უგაზო), მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი...

— ამ კითხვაზე პასუხი არაფის სიამოვნებს, მაგრამ მაინც ტინიჯერი მომღერალი, რომელსაც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყოლია, შეყვარებული თუ ხარ?

— (იცინის) სულ არ ვბრაზდები ხოლმე, როცა ამას მეკითხებიან... ადამიანი თუ შეყვარებული არ არის, ვფიქრობ, ვერც იმღერებს, ვერც დახატავს და მის ცხოვრებას საერთოდ არ ექნება აზრი. 16 წლის ვარ და ჯერ სერიოზული გრძობა არ მწვევია. ასე რომ, ველოდები... ველოდები დიდ სიყვარულს!..

— მაშინ ის მითხარი, როგორი უნდა იყოს შენი რჩეული? ძალიან პრეტენზიული ხარ?

— ყველაზე მეტად რაინდობას და ვაჟკაცობას ვაფასებ. არ მიყვარს უსაქმური ბიჭები, მთელი დღე ქუჩაში რომ დგანან. ჩემი რჩეული აუცილებლად ჭკვიანი და ერთგული უნდა იყოს. მსიამოვნებს, საინტერესო, ღრმა შინაგანი სამყაროს მქონე პიროვნებასთან და არა ლაზღანდარა ბიჭებთან ურთიერთობა...

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
822 009 005

„მბოტი“ „ჯეოსელი“
 „მეგაკომი“ — 0,70 ლ.
 თბილისი — 0,45 ლ.
 რაიონები — 0,65 ლ.

პოლიტიკა, პოლიტიკოსები და პოლიტიკანები

დაპირებისამებრ, განვადგომით საუბარს პოლიტიკა-ზე. დღევანდელი წერილის თემაა, პოლიტიკური პარტიები და ფული პოლიტიკაში.

ცნება „პარტია“ ჯერ კიდევ ძველ მსოფლიოში იქნა შემოღებული. არისტოტელე გვანვდის ცნობებს მთის, ბარისა და ზღვისპირა ათენის პარტიათა შესახებ. ძველ საბერძნეთსა და რომში საზოგადოებრივ ურთიერთობებს ინტერესთა მიხედვით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფები წარმართავდნენ. შუა საუკუნეებში პოლიტიკური დაჯგუფებები სამეფო

კარის დაპირისპირებულ კოალიციებს ქმნიდნენ — მაგალითად, გველფების (პაპის საერო ხელისუფლების მომხრენი) და გიბელინების (სამეფო ხელისუფლების მომხრენი). და მაინც, პოლიტიკური პარტიის ისტორია მაინც კაპიტალიზმის ეპოქიდან იწყება. კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ პირველი პარტიული დაჯგუფებები წარმოიშვა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებში, რომელსაც პოლიტიკურ პარტიათა ისტორიისა და თეორიის „საინკუბაციო“ ცენტრებს უწოდებენ.

ლელა ჭანკოტაძე

სოსო ცინცაძე: პოლიტოლოგი:

— პარტია ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან არს, რაც ნიშნავს რაღაც მთლიანის ნაწილს, გარკვეული მოვლენის, პროცესის მხარეს. პარტია სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან განსხვავდება, თუნდაც არსებობის ხანგრძლივობით. მან უნდა დაამტკიცოს თავისი არსებობა ლიდერისგან დამოუკიდებლად. ჩვენი პარტიების უბედურება ის არის, რომ მათ არ გააჩნიათ იდეოლოგია, რის გარეშეც პარტია ვერ იარსებებს. არავის შეუძლია დაასახელოს თუნდაც ერთი პარტია, რომელიც 100-200 წლის შემდეგაც იარსებებდა. როცა გაერთიანება არ ხდება იდეოლოგიის გარშემო, პარტია განწირულია. უამრავი პარტია შეიქმნა და დაიშალა საქართველოში, დღეს მათი სახელიც აღარავის ახსოვს, ამიტომაც შევქმენით პარტია. ჩემთან მოვიდა ვალერი გელაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ლიტვაში ცხოვრობს და მისთვის იოლი გასაგები იყო პარტიისთვის იდეოლოგიის აუცილებლობა. შემომთავაზა პარტიის შექმნა. ასე შევქმენით პარტია, რომელიც მხოლოდ ამ არჩევნების მოგებაზე კი არ ფიქრობს, არამედ მომავალ არჩევნებზეც — ე.ი. მომავლის პარტიაა.

ირაკლი შენგელაია,

„ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ ლიდერი:

— საქართველოში არ არის ისეთი პარტია, რომელიც ორასი წლის შემდეგაც იარსებებდა და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ იყოს. ამერიკის რესპუბლიკური პარტია XIX საუკუ-

ნეში შეიქმნა. უფრო ადრე ჩამოყალიბდა დემოკრატიული პარტია. მაგრამ ორივე პოლიტიკურ ორგანიზაციაში ურთიერთობები იმდენად თავისუფალია, რომ ყოველ ლიდერს პარტიის შიგნით თავისი ჯგუფი ჰყავს. ასე რომ, განსხვავებული აზროვნების ადამიანების ერთ პარტიაში გაერთიანება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ხანდახან იმასაც კი ვერ არკვევენ, ლიბერალი რესპუბლიკელი უფრო მეტარჯვენა თუ დემოკრატი, რომელიც მეტარჯვენე შეხედულებებით არსებობს. საქართველოში კი სულ უმნიშვნელო განხეთქილებაზე პოლიტიკური საცირკო სანახაობა ეწყობა ხოლმე. მერწმუნეთ, საარჩევნო კანონი თუ შეიცვლება და არჩევნები მაჟორიტარული წესით მოეწყობა, 250 პარტიიდან ხუთიდა დარჩება. საქართველოში

დამთავრდა ის დრო, როცა ერთი ტომარა ფევილით ყიდულობდნენ ამომრჩეველს. ქართველი ამომრჩეველი უკვე მზადაა საიმიხოდ, რომ მას ნორმალური საარჩევნო კანონი შეეთავაზოთ. საქართველოს დღეს ორი დიდი უბედურება სჭირს — ეს არის მოხელეების სიმრავლე და პარტიების სიმრავლე. ორივესგან გათავისუფლება აუცილებელია.

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:

— პოლიტიკური პარტიისთვის პირველ რიგში, აუცილებელია მასობრივი მხარდაჭერა, სულიერი კავშირი მოსახლეობასთან, პროგრამა, რომელიც თითოეული ოჯახის კეთილდღეობისთვის იქნება შექმნილი, ქარიზმატული ლიდერი, ცნობადი სახეებისგან შექმნილი ხელმძღვანელი ბირთვი, 24-საათიანი მუშაობა. პარტიის ბირთვმა არ უნდა დაიძინოს — მან დღე და ღამე უნდა იმუშაოს, რათა საზოგადოებამ იგრძნოს, რომ სწორედ ეს პარტიაა მისი ადვოკატი. სახელმწიფო იცით, რა არის? — გამოშიგნული ორგანიზმი, რომელშიც პოლიტიკური პარტიები ორგანობად შედიან. სწორედ პარტიები ქმნიან სახელმწიფოს.

თქვენი ინფორმაციით, რამდენი პოლიტიკური პარტიაა საქართველოში და ასეთი პატარა ქვეყნისთვის რამდენად აუცილებელია პარტიათა ასეთი სიჭრელე? ირაკლი შენგელაია:

— თუ არ ვცდები, პარტიების რაოდენობამ ორასს გადააჭარბა. უმეტესობა ქალაქზე ჩამოწერილი 1000-კაციანი სიაა. ზოგიერთი მათგანი მაშინ შეიქმნა, როცა საამისიოდ, 100 კაცის ხელმოწერა იყო საკმარისი. ასეთ პარტიებს „ქალა-



დის პარტიებს“ ვეძახი, რომელთა არსებობა დრომ მოიტანა. ჩვენს პოლიტიკურ პარტიებში არ არსებობს შინაპარტიული დემოკრატია. სულ მცირე განხეთქილება ხდება იმის მიზეზი, რომ გარკვეული ჯგუფი განზე გადგეს და ახალი პარტია შექმნას. ამასთან, ყოვლად უვარგისი საარჩევნო კანონი გვაქვს. გამორიცხულია, რომ პოლიტიკაში ადამიანმა შეცდომა არ დაუშვას, წარმოუდგენელია. მაგრამ ეს შეცდომა უნდა დაინახო და აღიარო. სამწუხაროდ, მთვან, ვინც 1995 წელს ერთიან პარტიულ საიას დაუჭირა მხარი, მერე – 7%-იან ბარიერს, პარტიული სიებით სოფლებში არჩევნების ჩატარებას და ა.შ., – ვერც ერთმა ვერ აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო. ამ უვარგისი კანონის დამსახურებაა პარტიათა რიცხვის ასეთი ზრდა. საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს პარტიათა „გამრავლება“, „ინკუბაცია“. ეს კანონის ბრალია.

— რატომ ვერ შეძლეს ეროვნული მოძრაობის პერიოდში შექმნილმა პარტიებმა არსებობა?

— ამ პარტიებს სერიოზული პრობლემები აქვთ. პოლიტიკაში შეუძლებელია დოგმებით არსებობა. 2003 წელს, 1989 წელს წამოსროლილი ლოზუნგით გამოსვლა არ შეიძლება. როცა ამბობენ — მთავარია, გადავაცენოთ ელჟარდ შევარდნაძე და მერე ყველაფერი მოგვარდებაო, — ეს ტყუილია. ასეთივე ლოზუნგი ჰქონდათ წლების წინაც — მთავარია, კომუნისტები გადავაცენოთო. „მოქალაქეთა კავშირიც“ დაიშალა და „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოც“, მაგრამ ქვეყანაში არაფერი არ მოგვარებულა. ასე რომ, ჩვენს პოლიტიკაში ყველაზე დიდი პრობლემაა სქემატური აზროვნება, ასეთმა აზროვნებამ გადაიყოლა პარტიათა უმეტესობა. ელპ ცდილობს, თავისი არსებობის გამართლებას, მაგრამ ძალიან სუსტი პარტიაა და არაფერი გამოუვა — არა მარტო იმიტომ, რომ ვია ჭანტურია მოკლეს. მისი სიცოცხლის შემთხვევაშიც, სიტუაცია ასეთივე იქნებოდა, რადგან ბუნებრივ პროცესებს ძნელად თუ გაექცევა ვინმე. პარტიები იქმნებიან, იყოფიან და იშლებიან — ეს ბუნებრივი პროცესია იქ, სადაც პოლიტიკური ცხოვრება უნდა ჩამოყალიბდეს.

— **თქვენი აზრით, რამდენად აუცილებელია რომ პოლი-**

ტიკურ პარტიას ჰქონდეს კავშირი ბიზნესჯგუფებთან?

— საქართველოში ძალიან იოლია პოლიტიკოსობა. საკმარისია პარტია შექმნა, სია გამოაქვეყნო და მერე ვაჭრუკანობა დაიწყო იმ ათასი ხმით, რომელიც შეიძლება აიღო საპარლამენტო არჩევნებში. პოლიტიკა ვაჭრუკანობის სფერო როცა ხდება, იქ არ არსებობს არანაირი პირობა პოლიტიკაში მოსვლისთვის. აუცილებელია, პოლიტიკურ პარტიას კავშირი ჰქონდეს ბიზნესმენებთან, მაგრამ ეს ურთიერთობა უნდა იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე. ასეთ შემთხვევაში გასაგები იქნება, დახმარების სანაცვლოდ, ესა თუ ის პარტია, რას აკეთებს. ლობირება ყველგან ხდება, არ არსებობს ქვეყანა, ლობირება არ ხდებოდა, მაგრამ რაც უფრო გამჭვირვალეა ეს პროცესი, მით უფრო კარგია საზოგადოებისთვის.

შალვა ნათელაშვილი:

— თუ პარტიას არა აქვს მაღალი რეიტინგი, ასეთ შემთხვევაში მისი მესვეურები ცდილობენ, რომ ფინანსური ინტეგრირებით აანაზღაურონ დანაკლისი. ეს ფული კი ჩვენი ბიუჯეტიდან მოდის და ქმნის პოლიტიკურ-დანაშაულებრივ იარაღს. „მოქალაქეთა კავშირის“ მაგალითზე ჩვენ დავინახეთ, რომ უზარმაზარ ფულს დაემატა სახელმწიფო აპარატის ასევე უზარმაზარი რესურსი. რეიტინგი შეიქმნეს „საარჩევნო გადატრიალების“



ხარჯზე. ე.ი. არჩევნები მოიგო მისმა უდიდებულესობა დოლარმა. ჩვენი ტიპის პარტიისთვის კი დიდი ფული არ არის საჭირო. ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი რეიტინგი, რომელსაც ფულით ვერც ერთი პარტია ვერ იყიდის. ლეიბორისტულ პარტიას ფული არა აქვს. საარჩევნო პერიოდში კლიპის გაშვება ტელევიზიით დიდ თანხებს მოითხოვს. ერთი წუთი ღირს 1.500 დოლარი. ამიტომ, როცა სხვა პარტიები მთელი თვის განმავლო-

მის: ჭავჭავაძის გამზ. №11
ტელ: 22-24-58

**მანია ბენეცაძის
სტომატოლოგიური კლინიკა**

„Smile Dent“

„სმაილ დენტი“

სახალსლო ვასდაყლქა 25%



**გაიღიმეთ თამამად და უპრობლემოდ.
ჩვენთან მკურნალობა მხოლოდ სასიამოვნო
მოგონებად დაგრჩებად. საუკეთესო
მასალები საუკეთესო ფასები.**



ბაში ატრიალებენ საარჩევნო კლიპებს, ჩვენ ერთი კვირით ადრე ვიწყებთ ხოლმე ტელევიზიის საშუალებით სარეკლამო კამპანიას, თუმცა, ამ ერთ კვირაში გადახდილი თანხაც ჩვენთვის ძალიან სოლიდურია. მე არც მეგულება მსოფლიოში მეორე, ჩვენზე უფრო უფულო პარტია.

— **ამბობენ, თქვენ ამ საკითხში კონკურენციას „ნაციონალური მოძრაობა“ გინევთ...**

რომ დათვალოთ მხოლოდ საარჩევნო პლაკატები და სარეკლამო რგოლები, მიხვდებით, რომ უფულო პარტია წარუმატებლობისთვისაა განწირული.

— „ნაციონალურ მოძრაობას“ რაც ფული აქვს, იმისი 20% რომ მქონდეს, 300-ლარიან პენსიას დაუნიშნავდი პარტიის წევრებს რეგიონებშიც კი. მეეჭვება, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ფული არ ჰქონდეს. მასში სიმართლის მარცვალაც არ არის. ჟვანიასა და სააკაშვილს აქვთ სერიოზული ფინანსური წყაროები, ხომ ნახეთ საბურთალოს არჩევნების დროს, — ტელევიზიით მათ კლიპები კი არა, დოკუმენტური კინოქრონიკა აჩვენეს. ჩვენ კი იბულებულები ვიყავით, მხოლოდ 25-წამიანი კლიპით შემოვფარგულყავით. ჟვანია და სააკაშვილი შვიდი წელი იყვნენ ხელისუფლებაში. შეიძლება, თავად მიშას არ მიუთვისებია გრანტი, მაგრამ ამ

სემენტს ხელისუფლებიდან საკმაოდ სერიოზული ფინანსური ბაზა შეეკმნა.

— **თუ არის მსოფლიოში დაფიქსირებული შემთხვევა, როცა პარტიას არ ჰქონდა ფული, მაგრამ მან მაინც მიაღწია წარმატებას?**

ირაკლი შინგელაია:

— რომ დათვალოთ მხოლოდ საარჩევნო პლაკატები და სარეკლამო რგოლები, მიხვდებით, რომ უფულოდ პარტია ვერაფერს გააკეთებს. ეს აბსურდია — უფულო პარტია წარუმატებლობისთვისაა განწირული.

— **ცალკეული პოლიტიკოსებისთვისაც აუცილებელია მყარო მატერიალური საფუძველი?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ აუცილებელია. არ შეიძლება პარლამენტში იჯდეს ადამიანი და ფიქრობდეს იმაზე, როგორ გაუმკლავდეს იმ მატერიალურ პრობლემებს, რომელიც მას და მის ოჯახს აქვს. თუ ადამიანს ოჯახური პრობლემები აწუხებს, მაშინ ის პარლამენტში არ უნდა იყოს. ლუმენების პოლიტიკა წარმოშობს დიდი იოსების კომპლექსს. კონსტანტინე გამსახურდიას ჰყავს პერსონაჟი, იოსები — უქონელი,

თავისუფალ სისტემაში კი, იშვიათობაა. დღეს მე არ მიკვირს, როცა ამა თუ იმ პოლიტიკოსზე ამბობენ, რომ მას ურთიერთობა აქვს შავ სამყაროსთან. საერთოდ ცნობილია, რომ შავი სამყარო არის იქ, სადაც შავი ფული ტრიალებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანაში ტრიალებს შავი ფული — ამერიკაშიც კი, რაც უფრო ხშირად, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობას უკავშირდება. ასევე — კონტრბანდასა და პროსტიტუციას. სადაც შავი ფულია, იქ, ცხადია, შავი სამყაროცაა. შავი სამყაროს აქტიურობისა და ჩარევის ხარისხი უკავშირდება იმას, თუ რამდენი შავი ფული ტრიალებს ქვეყანაში. საქართველოში უმეტესი ნაწილი შავი ფულია. ამიტომ გაუგებარია უმეტესობის მტკიცება, რომ მათ შავ სამყაროსთან კავშირი არა აქვთ. ქვეყანაში, სადაც 60% შავი ფული ტრიალებს, შავი სამყაროც ქვეყნის ცხოვრებაში 60%-ითაა ჩარეული. სისხლიანი გარჩევები და მკვლელობები, რომელიც ბოლო პერიოდში ასეთი ხშირი გახდა, სწორედ შავ სამყაროსთან არის დაკავშირებული. ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. ადრე შავი სამყარო მხოლოდ შავი სამყაროს საქმეებს არჩევდა, დღეს კი მისი წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსაც არჩევენ, სამეურნეო დავებს განიხილავენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არალეგალური მოსამართლეების ფუნქცია აქვთ აღებული. ეს საკმაოდ მძლავრი და დიდი სისტემაა, რაზეც არავინ საუბრობს.

შალვა ნათელაშვილი:

— ბიზნესგუგუფებმა შეწირულობის წესით უნდა დააფინანსონ პოლიტიკური პარტიები. სახელმწიფოც ვალდებულია, რომ პარტიები დააფინანსოს, მაგრამ სახელმწიფო ამ ვალდებულებას არ ასრულებს. ეს ძალზედ რთული მდგომარეობაა, კრიმინალებისგან უზარმაზარი ფული ჩაიყრება, რომელიც ჩვენს პოლიტიკოსებს ყველაფერს დააკარგვინებს — ნამუსსაც, მოვალეობასაც და ა.შ. ჩვენზე, ლეიბორისტებზე კრიმინალები გავლენას ვერ მოახდენენ, რადგან ჩვენ მათგან დავალდებულნი არა ვართ. არჩევნების დროს მილიონები დაიხარჯება ხმების მოსაპოვებლად. ამიტომ ჯობია, მათ გამოართვას ფული, ხმა კი — ჩვენ მოგვცეს... ჩვენც გვთავაზობდნენ გრანტებს და კრედიტებს, მაგრამ არ ვუღალატეთ საკუთარ პრინციპებს და სტრატეგიას. ჩვენ არ მივიღვართ ბინძურ გარიგებებზე, ვაშენებთ დამოუკიდებელ პარტიას.

ხათუნა მალრაქი

პარლამენტარი ზურაბ ტყეშელაშვილი ხშირად ფიქრობს იმაზე, რომ საუკუნეების წინაც ცხოვრობდა, გარდაცვალების შემდეგ კი, კიდევ ერთხელ დაიბადება. თუმცა, მეფისა და მთავარსარდლის გენეტიკურ იმპულსებს თავის არსებაში ვერ ხედავს, ამიტომ დარწმუნებულია, რომ წინა ცხოვრებაში ერთი ჩვეულებრივი გლეხი იყო, რომელსაც ვენახში ფუსფუსი და ყურძნის დანურვა უყვარდა. მართლა ასე იყო თუ არა, არავენ იცის, მაგრამ დღეს რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული პარლამენტარია, ეს ფაქტია. თუ ბატონ ზურაბს დავეუფლებით, ამის გამო, გარკვეულ უხერხულობასაც კი გრძნობს. თუმცა, მისი აღნაგობის გათვალისწინებით, ადვილი მისახვედრია, რომ ეს უხერხულობა, თვითგვემით ნამდვილად არ გამოიხატება.

— ბატონო ზურაბ, ძალიან მდიდარი ხართ?

— ნამდვილად არა ვარ მდიდარი, მაგრამ სხვებზე მეტად მიჭირს-მეთქი, — ვერც ამას ვიტყვი.

— გინდათ თქვათ, რომ პარლამენტში თქვენზე მდიდრებიც არიან?

— მე მგონი, ბევრია ასეთი, თუმცა, ამას არ განვიცდი. არც ადამიანთა იმ კატეგორიას განვეკუთვნები, სხვისი კაპიტალის თვლა რომ უყვარს.

— მაინც რა როლი ითამაშა თქვენ, როგორც წარმატებული ბიზნესმენის ჩამოყალიბებაში იღბალმა, ანუ შემთხვევით გამდიდრდით თუ ეს შრომის შედეგი იყო?

— რა თქმა უნდა, შრომასთან მწყურვალად არასოდეს ვიყავი, რის გარეშეც ვერანაირ საქმეს ვერ გააკეთებ. თუმცა, მუდამ თან მღვედა იღბალი, რაც ჩემს წარმატებულ მოღვაწეობას მნიშვნელოვნად ეხმარებოდა. ბევრ ჩემი ასაკის ან უფრო ახალგაზრდა, ნიჭიერ პიროვნებასა და კარგ თბილისელ ბიჭს ვიცნობ, რომელსაც არაფერში გაუმართლა და ცხოვრება დაღმა წაუვიდა.

— ბატონო ზურაბ, პარტიაში მეორე კაცი ხართ. ლიდერობა არ გიზიდავთ?

— მე უფრო, გვერდში დგომა მიყვარს, ვიდრე პირველკაცობა. პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ „მრეწველებში“ გოგი თოფაძეს ეკუთვნის პირველობა, მე კი



ზურაბ ტყეშელაშვილის ხელმოკლე ბავშვობა, „ზღაპრული“ მყუილი და ღამის „შეხვედრებით“ გართობა პარიზში

მასთან ვთანამშრომლობ.

— იქნებ, ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას გაურბინხართ?

— პასუხისმგებლობას მეორე კაციც თანაბრად ინაწილებს. ყველამ თავისი შესაფერისი ადგილი უნდა იკვლიდეს.

— დღეს პარლამენტში მოღვაწე დეპუტატებს ხშირად, პოლიტიკანებად მოიხსენიებენ ხოლმე, თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— მე მათ სამ კატეგორიად დავყოფილი: პოლიტიკანებად, პოლიტიკოსებად და პოლიტიკურ მოღვაწეებად. პოლიტიკოსები არიან ისინი, რომლებიც არჩევნების წინ იწყებენ იმაზე ფიქრს, როგორმე ქულები დააგროვონ, რათა შემდეგი მოწვევის პარლამენტშიც მოხვდნენ. ისინი პოლიტიკურ ინტრიგებს ხლართავენ და ბევრ არაკაცურ საქმეზე აწერენ ხელს. პოლიტიკური მოღვაწეები კი, ხალხის ინტერესების დასაცავად მოდიან საკანონმდებლო ორგანოში.

— თქვენს თავს რომელ კატეგორიას მიაკუთვნებდით?

— მე ბელნიერი ვიქნებოდი, თუ პოლიტიკურ მოღვაწედ ჩამთვლიდა საზოგადოება, მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, ხალხმა უნდა განსაჯოს.

— ამბობენ, ბიზნესმენი პარლამენტარები სოლიდურ თანხებს

ინდიან და თანამდებობასაც იმიტომ იყენებენ, რომ კანონები საკუთარ ბიზნესს მოარგონ.

— ჩვენ ნამდვილად არ მივეკუთვნებით ასეთ ბიზნესმენებს. ამაში დარწმუნება ძალიან იოლად შეიძლება: თუ ჩვენს საკანონმდებლო ინიციატივებს გაეცნობით, დაინახავთ, რომ იქ ჩვენი პირადი ინტერესები არ არის ჩადებული. როცა პარლამენტში მუშაობ, მთლიანად დარგის წარმატებაზე უნდა იზრუნო და არა შენს კონკრეტულ საწარმოზე. მინდა გითხრა, რომ სერიოზული ბიზნესმენები, რომლებიც ბიზნესიდან მოვიდნენ საკანონმდებლო ხელისუფლებაში, ამგვარ სიმდაბლეს არ იჩენენ.

— თქვენ სასმელების მწარმოებელი ერთ-ერთი სერიოზული ფირმის ხელმძღვანელი ბრძანდებით. არადა, პარლამენტარს ბიზნესში მოღვაწეობის უფლება არ გაქვთ.

— მე „სამების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ, მაგრამ რაც დეპუტატი ვაგხდები, ბიზნესში მოღვაწეობას თავი დავანებე.

— ისე, თქვენს ფირმას ზედმეტად „ხმაბლალი“ სახელი არა აქვს?

— ვერ დაგეთანხმებით. თუ განვითარებული ქვეყნების მეღვინეობის ტრადიციებს გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ

ინფორმაციული-შეხვედრითი კონკალი

ეონა დვალის უბის ნივნაკიდან:



- 1. გაზის კამერაში ფიჭვის სუნი დგას.
- 2. 666 სათამაშო რულეტის ციფრთა ჯამია.



3. ნიანგს შეუძლია საკუთარი გულისცემა არეგულიროს.

4. რაგბში უკვე ორი წელიწადია, რაც ვიდეო რეფერი შემოიღეს.

5. „რასია სილნეი ზდრაავა სმისლა“ –

სიამაყით ამბობენ რუსები.

6. საღვადორ დალის სურათზე ჯოკონდა უღვაშით არის გამოსახული.

7. მიხეილ სააკაშვილს 51-ე სკოლა ოქროს მედალზე აქვს დამთავრებული.

8. ერთხელ ზურაბ აზმაიფარაშვილმა მეტოქის ჭადრაკის ფიგურით საკუთარი აიფვანა.

9. უბრალო ადამიანებს მაიას ტომის ინდიელები საკუთარ სახლში, იატაკის ქვეშ მარსხვდნენ.

10. იტალიელ მწერალს, ტომასო დე ლამპელუსას, ერთადერთი რომანი – „ლეოპარდი“ აქვს დაწერილი.

11. ზამთრის სასახლის შტურმისას ბოლშევიკებს სულ რამდენიმე ადამიანი დაეღუპათ, ისიც მხოლოდ ისინი, ვინც სასახლის ღვინის სარდაფებში ჩასვლისას უგონოდ დათვრნენ.

12. რომანები „რეტიმა ანუ მშვენიერი ქართული ქალი“ და „რუსპია, ანუ მშვენიერი ჩერქეზი ქალი“, ფრანგი მწერლის ბარტელემ მარმონ დიუოშანის დაწერილია.

13. ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი განუყრელი მეგობრები იყვნენ, მაგრამ ტომი მაინც ერიდებოდა ჰეკლბერს ერთად საზოგადოებაში გამოჩენას.

14. დჰარმარაჯა, არჯუნა, ბჰიმა, საჰადევა, ნაკულა და დრაუპადი ძველი ინდური ეპიკური პოემის, „მაჰაბჰარატას“ გმირები არიან.

15. „ბურთის კალათში ჩატენას გუნდისთვის მხოლოდ ორი ქულა მოაქვს, მაგრამ სამაგიეროდ მეტოქის გუნდს მხნეობას აკარგვინებს,“ – ამბობს მაიკლ ჯორდანო.

16. 37 წლის იყო ფედერიკო გარსია ლორკა, როდესაც ფრანკოფაშისტურმა პოლიციამ დახვრიტა.

17. „რა სულელი უნდა იყოს კაცი, რომელიც დაიჯერებს, რომ ქალი შეაცდინა. მაცდური ყოველთვის ქალია. კაცი კრავია, გამოქლიავებული, რომელიც აზრზე არ არის, როგორ ებმება მახეში იმ დროს,

მათ ღვინობებს წმინდანების სახელები ჰქვია და საეკლესიო რიტუალებშიც იყენებენ ღვინოს. ასე რომ, მიღად საფუძველს მოკლებული სახელი, არა მგონია, რომ იყოს.

— ისეთი აღტაცებით საუბრობთ ღვინოზე, ასე მგონია, სმის მინისტრის ვაკანსია რომ გაჩნდეს, ამ ადგილს არავის დაანებებდით...

— მინისტრობისაკენ სწრაფვა არასოდეს მქონია. „სმის მინისტრი“ ალბათ ჩემზე უფრო კომპეტენტური პიროვნება უნდა იყოს. ამიტომ, შემოთავაზებაც რომ მქონდეს, ამ თანამდებობას მაინც სხვას დაუეთმობდი.

— რომელია ყველაზე მაღალი თანამდებობა, რომელსაც ფიქრობთ, რომ თავს გაართმევდით?

— ვიყო კარგი ოჯახის უფროსი, ეს არის ჩემთვის ყველაზე მაღალი ჩინი. ამ მხრივ კი ნამდვილად გამიმართლა, რადგან ცხოვრების თანამგზავრად ავირჩიე ქალი, რომელმაც კარგი დედობა და მეუღლეობა შეძლო.

— თქვენი შეუღლება დიდი ხნის ამბავია. ალბათ დეტალები დავინყებულებ გექნებათ.

— წინა საუკუნის ამბავია. 1968 წელს გააცივანით მე და ირა გელანდიამ ერთმანეთი. როგორც ჩანს, ორივეს ერთმანეთისათვის მისაღები შარმი და თვისებები გვქონდა. ერთი წლისთავზე ვიქორწინეთ კიდევ. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ შორის კონფლიქტი არ ყოფილა, მაგრამ ნათქვამია — ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონა... მთავარია, გულმა გული იცნოს და პრობლემებიც ადვილად გადაწყდება.

— „ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ...“ თქვენ სად ანონებდით თავს რჩეულს?

— (იცინის) ნამდვილად ორთაჭალის ბაღში მომქონდა თავი. ახალგაზრდობაში ჯანაც მომეყვებოდა და შესაძლებლობებსაც არ ვემდღუროდი. ხშირად დავდიოდით ერთად ნადიმებზე, სმაც შემეძლო, თამაზობაც და ენაწყლიანაც ვიყავი. ქალის

მოხიბვლას სხვა რა უნდა?

— ახლა უკვე მამამთილი ბრძანდებით, რძლები ხომ არ გემდურია?

— როგორი მამამთილი ვარ, ალბათ ჩემმა რძლებმა უკეთ იციან, მაგრამ მე რაც შემიძლია, ვაკეთებ.

— თქვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ალბათ ძვირფას საჩუქრებსაც არ აკლებთ.

— არ მინდა, ჩემი კარგი მამამთილობა საჩუქრებს მიეწეროს. ადამიანებთან ურთიერთობაში მთავარი ყურადღებაა. შეიძლება, ძვირფასი ნივთი ვერ აჩუქო, მაგრამ სიტბოსა და ზრუნვას უნდა გრძნობდეს შერგან, უნდა ხედავდეს, რომ ის შენთვის სულერთი არ არის. სხვა ყველაფერი წარმავალია.

— როგორი იქნება ზურაბ ტყემალაძე 10 წლის შემდეგ?

— ვიქნები კი საერთოდ? და თუ ვიქნები, ზუსტად ისეთი როგორიც დღეს ვარ და როგორიც 10 წლის წინ ვიყავი.

— პოლიტიკა ბინძური საქმეაო, ამბობენ. პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობისას თუ გიგრძნიათ ეს?

— თუ ადამიანს ბინძური საქმის გაკეთება არ შეუძლია, ვერც პოლიტიკაში გააკეთებს და ვერც პოლიტიკის მიღმა. ზოგიერთი ჩემი კოლეგა თავისი საქციელის გამართლებას ამ გამონათქვამით ცდილობს, რაც აბსურდულად მიმაჩნია. რაც შემეხება მე — შეიძლება, უნებლიეთ მქონდეს რაღაც ისეთი გაკეთებული, მაგრამ თუ ვინმე მიმითითებს — შეცდომა, — მზად ვარ, ნებისმიერ ადამიანთან მივიდე და ბოდიში მოვუხადო.

— საქართველოში ბიზნესმენების გატაცების ფაქტები გახშირდა, ამგვარი სასიამოვნო პერსპექტივა თქვენც ხომ არ გემუქრება?

— გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ამის არ მემინია, რადგან ჩემი გატაცებით, მსუყვე ლუკმას ვერ მიიღებენ. მე არ მივეკუთვნები ისეთ ძვირად ღირებულ ბიზნესმენტთა კატეგორიას, რომ ვინმე ჩემი პერსონით დაინტერესდეს.

— გულახდილად რომ ვთქვათ, მაინც როგორია თქვენი ყოველთვიური შემოსავალი?

— სხვადასხვა საქმიდან მაქვს წილობრივი შემოსავალი. ეს თანხა ხან ბევრია, ხან ცოტა.

სმაც შემეძლო, თამაზობაც და ენაწყლიანაც ვიყავი. ქალის მოხიბვლას სხვა რა უნდა?





თანამგზავრად ავირჩიე ქალი, რომელმაც კარგი დედობა და მეუღლეობა შეძლო

სანამ პარლამენტში მოვიდოდი, 4.000 ლარამდე მქონდა ყოველთვიური ანაზღაურება. რაც დეპუტატი გახვდით, ეს თანხა თითქმის არ გაზრდილა. მას მხოლოდ პარლამენტარის ხელფასი დაემატა.


— დღეში სავარაუდოდ რამდენჯერ იტყუებით?

— ტყუილის თქმა ნამდვილად არ მიყვარს, ალბათ ხანდახან მიწვევს ამის გაკეთება, მაგრამ მატყუარა კაციაო, ჩემზე არ ითქმის. ერთხელ, როცა ჩემი ბიჭები პატარები იყვნენ, ზღაპრული ტყუილი მოყუყუე. მიმიხვდნენ და მერე, კარგა ხანს მამუნათებდნენ, ტყუილში რომ გამომიჭირეს. აი, ასეთ უმტკივნეულო ტყუილებს თუ არ ჩავთვლით, სიცრუის თქმას ყოველთვის თავს ვარიდებ.

— ახლა ის ამბავი გავისხენოთ, პარიზში ცხოვრებისას ფრანგ ქალებს რომ აწონებდით თავს.

— საფრანგეთი შესანიშნავი ქვეყანაა. პარიზში 8 თვე ვცხოვრობდი. ღამის გართობას იქ განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. კაფეებსა და ბარებს ხშირად ვსტუმრობდი. იქ უამრავი ფრანგი ღამაზმანი იყო, რომლებიც საკუთარ თავს გვთავაზობდნენ. ისინი ბარის მეპატრონეებთან იყვნენ შეთანხმებული და საკმაოდ ძვირად გვიფასებდნენ თავიანთ მომსახურებას. ამის გამო ბევრ უსიამოვნებას ვაწყდებოდი.

12 საათზე ყველანი შინ უნდა ვიყოთ (ზურაბ ტყემალაძის შვილიშვილები)



— გინდათ თქვით, რომ ფულს არ იხდიდით?

— თუ შეხვიდოდი და არ გადაიხდიდი, შენი აჯობებდა... უკანალში პანდურის ამოკვეთით გამოვიშვებდნენ. საბედნიეროდ, მე ასეთი შემთხვევა არ მქონია, მაგრამ რაღაც საკითხებში პრობლემები მაინც მექმნებოდა... ღამის „შემეცნებით“ გართობა ძალიან კარგად მახსენდება...

— ბატონო ზურაბ, რამდენიმე დღეში ახალი წელი გვესტუმრება. რაიმე სასიამოვნოს ამასთან დაკავშირებითაც ხომ არ გაიხსენებდით?

— ჩემს ბავშვობაში თოვლის ბაბუებს საჩუქრები არ მოჰქონდათ, რადგან ომის შემდგომი წლები იყო და ყველას ძალიან უჭირდა. ბავშვების ყველაზე დიდი სიხარული ის იყო, რომ საახალწლოდ მაინც თოვლი მოდიოდა, დავდგამდით ხოლმე თოვლის ბაბუას და ამით ვერთობოდით.

— ახლა როგორ ხვდებით ახალ წელს?

— ოჯახური ტრადიციაა, რომ 12 საათზე ყველანი შინ უნდა ვიყოთ, შემდეგ კი, ან მეგობრებთან ვიკრიბებით, ან რესტორანში ვაგრძელებთ ქეიფს.

— რომელიმე ახალ წელს არ დამთვრალხართ და შარი არ გიძებნიათ?

— მთელი ჩემი ცხოვრება მე და შარი ერთმანეთს დავეძებთ, მაგრამ ახალწლის ღამეს ყოველთვის ვცდილობდი, თავი შემეკავებინა და ისევე წყნარად დამემთავრებინა ქეიფი, როგორც ვიწყებდი, რადგან ახალ წელს სიკეთე და სიმშვიდე უნდა დავიკვებოთ. ახირებისთვის კი საკმარისი დრო დავგვრჩება...

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

როცა ჰკონია, რომ ქალი დააბა, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში გივი სიხარულიძემ.

18. ფრინველზე ნადირობა არხოტში სირცხვილად ითვლება და ფრინველზე მონადირეს მეყვავ-ჩიტეს ეძახიან.

19. ბოლშევიკთა წითელ არმიამ ჩინური, ლატვიური და რუმინული შენაერთები იბრძოდნენ. მათ რუსული არაფერი ენანებოდათ და ერთი აუწერელი სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

20. ბილ გეიტსს სახლში არა აქვს ტელევიზორი. იგი თვლის, რომ ამ ნივთს ადამიანი შეიძლება იოლად მიეჩვიოს და მერე სისულელეებში დახარჯოს ძვირფასი დრო.

21. ჩინელი ოსტატები ფაიფურის ფიგურებს 990 გრადუსზე წვავენ. გამოწვის შედეგად ფაიფურის ფიგურა თავისი ზომისა და წონის ერთ მეშვიედს კარგავს.

22. „ლევ ტოლსტოის სიკვდილზე“ — ამ ლექსით გამოეხმაურა დიდი რუსი მწერლის გარდაცვალებას ვაჟა-ფშაველა.

23. როდენმა ბალზაკის ქანდაკების შესაქმნელად 18 თვე ითხოვა და ამ სამუშაოს შვიდი წელი მოანდომა.


24. პაბლო პიკასოს სახლში უამრავი მგალობელი ფრინველი ჰყავდა. რადგან სახელგანთქმულ მხატვარს ძალიან ეშინოდა სიკვდილის, როცა რომელიმე ჩიტი გარდაიცვლებოდა, მისი მეუღლე ჩუმად ზუსტად ისეთივე ჩიტს ყიდულობდა. ერთხელაც მხატვრის მეუღლე შეესწრო საუბარს, როცა პიკასო თავის მეგობარს უამბობდა: „ჩემს ჩიტებს ერთი განსაკუთრებული თვისება გააჩნიათ, ისინი უკვდავნი არიან.“

25. კოტე მახარაძე თავის მეუღლეს ყოველთვის რაიმე ორიგინალურ საჩუქარს სჩუქნიდა. 37 წლის სოფიკო ჭიაურელს მან დაბადების დღეზე 37 ახლადგამოჩეკილი წიწილა აჩუქა, რამდენიმე წლის წინ კი — პატარა ჩოკინა. ერთი თვის ძებნის შემდეგ კახეთში ნაყიდ ჩოჩორს ბატონმა კოტემ შლაპა დაახურა, ყელზე ბაფთა შეება და ისე შეუშვა დარბაზში. ცხოველი დაბადების დღის გმირად იქცა, მაგრამ ღამე ყროყინი დაიწყო, მეზობლები შეაწუხა და ბატონმა კოტემ ზოოპარკში წაიყვანა, საბავშვო ეტლის მატარებელ ბიჭებს აჩუქა და უთხრა: — თქვენი იყო, ისე კი სოფიკოსიაო.



ახალი წლისთვის რომ ყველა საგანგებოდ ვემზადებით, ეს ახალი არავისთვისაა, მაგრამ მაშინ, როდესაც საათი თორმეტჯერ ჩამოჰკრავს, ჩვენ ქიქას ქიქაზე ვცლით და ერთმანეთს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ, არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ შესაძლებელია, ამ დროს ვიღაც აკანკალებული ხელით „სასწრაფო დახმარების“ ტელეფონის ნომერს კრებს და საშველად ექიმს უხმობს. საინტერესოა — განსვავადება თუ არა „საახალწლო დიაგნოზები“ სხვა, ჩვეულებრივი დღეების დიაგნოზებისგან? მაინც, რა „სიურპრიზი“ შეიძლება მოგვიწყოს ბედისწერამ ახალი წლის ღამეს? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, „03“-ის ცენტრალურ სადგურს მივაკითხეთ. გვესაუბრება ცენტრის გამგე, ვარდო ყიფიანი.

უხაი თხაი, ჭიანჭის სუაი ქს ხსაღილ რაილ სსს უხიოხაი



მარი ჯაფარიძე

— ახალი წლის ღამეს, უფრო ხშირია ალკოჰოლური მოწამვლის შემთხვევა. უამრავი ფაქტორები უკლებლივ სასაბუთო იყიდება, შედარებით იაფიცაა და სწორედ ამიტომ, გამოძახების უმრავლესობაც ამ მიზეზით ხდება. თუმცა, არანაკლებია ისეთი გამოძახება, რომელიც სასმლის გადაძებულად მოხმარების გამო, სიმთვრალის შედეგად, ჩხუბითა და აყალმაყალთ არის გამოწვეული.



ვარდო ყიფიანი

— სულ რამდენი გამოძახება გქონდათ 2002 წლის დამდეგს?
— 2001 წლის 31 დეკემბრის ღამეს და 2002 წლის პირველ იანვარს, დილის 10 საათამდე 167 გამოძახება გვქონდა, მათ შორის, ბევრი ისეთი, რომელიც საახალწლო განწყობას ნამდვილად გაგიფუჭებდათ, თუმცა, იყო კურონოზული შემთხვევებიც.
— მოდით, თავდაპირველად, სვედიანი ამბები მოგვიყვით.
— 31 დეკემბერს, საღამოს 11-ის ნახევარზე ჩვენი ბრიგადა გამოძახებაზე გავიდა. ოჯახში დახვდათ ქალი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი, რომლებიც გაზით იყვნენ მოწამლულები. ოჯახში საახალწლო სამზადისი ჰქონდათ. როგორც ჩანს, უყურადღებოდ მიჩნათ გაზქურა, ფანჯრებიც საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი და

აი, შედეგად, სამივე, საავადმყოფოში გადაიყვანეს. ასე რომ, საახალწლო ფაციფუცის დროს, უფრო მეტი ყურადღება გემართება. იყო შემთხვევა, როდესაც 21 წლის კახა ახალი წლის მოლოდინში მთელი დღე სვამდა. შემდეგ, მოუვიდა ჩხუბი მეზობელ ბიჭებთან, სცემეს და თავის ქალის ტრავმით, საავადმყოფოში ამოყვანილი იქნა. მაგრამ იმისთვის, რომ ახალი წლის ღამე საავადმყოფოში გაატარო, სულაც არ არის აუცილებელი, ნასვამი იყო. 31 წლის მათა ფხიზელი იყო, მაგრამ ბაზრიდან მომავალი, ჩანთებით დატვირთული ეზოში წაიქცა და ფეხი მოიტეხა. 37 წლის ვერამ სამსახურებრივი ტრავმა მიიღო. ის აბანოში მუშაობდა, სველ ატაკზე დაუცდა ფეხი და 31-ში, საღამოს 10 საათზე სწორედ ამისთვის გამოიძახეს ჩვენი ბრიგადა. მარცხენა ფეხის მენჯბარძაყის მოტეხილობა აღმოაჩინდა. კიდევ იყო ასეთი შემთხვევა: დიღუბიდან დარეკეს, — სასწრაფოდ უშველეთ, ვიღაც კაცი ორმოში გდია, თვალებს აჭყეტს, მაგრამ ხმას ვერ იღებსო. ადგილზე მისულმა ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ეს, დაახლოებით 40 წლამდე ასაკის მამაკაცი მუხჯი ყოფილა. შემთხვევით გამგელს რომ არ შეენიშნა, ალბათ კარგა ხანს მოუწევდა ორმო-

ში გდება და შველელსაც ვერ მოესწრებოდა. მას წვივის ძვლის ღია მოტეხილობა ჰქონდა. რამდენიმე გამოძახება ავტოავარიის შემთხვევის ადგილიდანაც მივიღეთ. ახლობლებისთვის ახალი წლის მისალოცად მიმავალი ადამიანები ავტოკატასტროფაში მოჰყვნენ. ამ დროს ქუჩაში მანქანების ნაკლებობაა, ამიტომ ყველა დაზარალებული ხეს შესჯახება და საბედნიეროდ, არც ერთი შემთხვევა საგალალო შედეგით არ დამთავრებულა. წარმოიდგინეთ, სუიციდის შემთხვევაც გვქონდა: ახალი წლის ღამეს, 18 წლის იამ თავი მოიწამლა. მან 50 აბი ბელარგამინი დალია და ჩვენმა ექიმებმა უგონო მდგომარეობაში მყოფი გოგონა საავადმყოფოში მიიყვანეს. არ ვიცით, რატომ მოიქცა ეს გოგონა ასე, მაგრამ ალბათ ძალიან დეპრესიულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიეღო, თან — მაინცდამაინც პირველ იანვარს, ღამის 2 საათზე. გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს გაუმძაფრდათ ავადმყოფობა და ფსიქიატრიულში გადაყვანა მოუწიათ.
— პაციენტები წინააღმდეგობას თუ გინევენ სოღმე, საავადმყოფოში გადაყვანის გამო?
— საერთოდ, მატერიალური სიღუპის გამო, ავადმყოფები მუდმივად არიღებენ თავს საავადმყოფოში გადაყვანას. ახალი წლის ღამეს კი, სახეიმი განწყობაც ემატება: ზოგი გვეუბნება — არ მინდა, ახალი წელი კლინიკაში გავატარო, დამტელება და მთელი წელი ექიმებში სირბილი

მომიწევსო...

— თქვენ როგორ იქცევით ამ დროს?

— თუ პაციენტი მძიმე ავადმყოფია, არც ვეკითხებით, უნდა თუ არა საავადმყოფოში წასვლა. ჰიპერტონიის, სტენოკარდიისა და სხვა, შედარებით მსუბუქი დაავადების დროს, ცხადია, არ მოგვეყვებიან და ჩვენც არ ვაძალებთ.

— მოდით, რამდენიმე საინტერესო შემთხვევა კიდევ გავისხენოთ...

— ყველაზე „საახალწლო“ ტრავმა 64 წლის ქალბატონმა 12-ის ნახევარზე მიიღო. მან გოზინაყის დაჭრის დროს, დანით ხელი გაიჭრა. დაახლოებით 3-4 სმ სიღრმის ჭრილობა ჰქონდა მარცხენა ხელზე და სისხლი თქრიალით სდიოდა. რა თქმა უნდა, საავადმყოფოში არ წამოგვეყვა... ღამით, 2-ის ნახევარზე გამოძახებაზე მივიდა ბრიგადა. შინ დახვდათ 39 წლის ანა, რომელიც მთვრალი გახლდათ. როგორც თავად ამბობდა, მეგობარ მამაკაცთან ერთად შეხვდა ახალ წელს, დალიეს, შემდეგ იჩხუბეს და მეგობარმა გულმკერდის არეში დანით დაჭრა. თმაგაწეწილი, სისხლით მოსვრილი ქალი ექიმებს არ ემორჩილებოდა, ჯიუტობდა. და ახლოს არ იკარებდა არავის. ეტყობოდა, რომ ჭრილობა ღრმა იყო და ქალი სისხლისგან იცლებოდა. ექიმებმა გააკავეს და ნახვევი ძალით დაადეს. შემდეგ საავადმყოფოში წაიყვანეს. კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევა იყო: 29 წლის ვერა მეგობარმა დაჭრა. თვალები ჩალოურჯებული ჰქონდა, მკლაფზე — დანით მიყენებული ჭრილობა. საკმაოდ დაჟეჟილი, თითქმის უგონოდ მთვრალი იყო, მაგრამ მეგობარი არ ამხილა, ამბობდა: არ ვიცი, არ მახსოვს, რა დამემართა — მგონი, წავიქეციო. ჩვენს ექიმებს კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გადახდათ თავს:



გამოძახებაზე, ოჯახში მისულებს ასეთი სურათი დახვდათ — ახალგაზრდა, 35 წლის მამაკაცს ტუჩები ჰქონდა გასერილი და სისხლი სდიოდა. მიხეზი კი, საკმაოდ ორიგინალური აღმოჩნდა — ქეიფის დროს, ჭიქას ნაპირი მოაკბინა და... დაღეჭა. შესაბამისად, პირის ღრუში უამრავი ჭრილობა ჰქონდა...

— ახალი წლის ღამეს, ოჯახში მისულ ექიმებს, დარწმუნებული ვარ, ისე არავინ გამოგიშვებთ, ერთ-ორი სადღეგრძელო რომ არ შესვათ. გამოთენის ხანს კარგ გუნებაზე მყოფნი, ღიღინ-ღიღინით ხომ არ სვამთ დიაგნოზს?

— (იციანის) რა თქმა უნდა, მასპინძლები მთელი გულით გვეპატიჟებიან ხოლმე სუფრასთან, უნდათ, რომ დავსხდეთ და მათთან ერთად მოვუღვინოთ, მაგრამ ჩვენ ამის არც უფლება გვაქვს და არც დრო. დავლოცავთ ხოლმე, შეიძლება ტკბილეული გავსინჯოთ და უკან ვბრუნდებით. წარმოიდგინეთ — ერთ ღამეში, 167 ოჯახი მოვიარეთ. ამ ყველაფერს ხომ მოსწრება უნდა? რა თქმა უნდა, ამას თავს ერთი ბრიგადა ვერ გაართმევდა, მაგრამ მაინც არ არის იმის დრო, დაჯდეს და იქეიფოს. კიდევ ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. ახალი წლის ღამეს, რკინიგზის სადგურიდან დაგვირიკეს. ადგილზე მისულებს 3 მთვრალი მამაკაცი დაგვხვდა. ორი მათგანი გამოსაფხიზლებელში მივიყვანეთ (ეს ამბავი რამდენიმე წლის წინ მოხდა და მაშინ ასეთი დაწესებულებები ფუნქციონირებდა. — ავტ.), ხოლო მესამე, ჩვენი მძღოლის ნაცნობი აღმოჩნდა და მისი პროტექციით გადავწყვიტეთ, შინ მიგვეყვანა. მთვრალმა ზუსტი მისამართი ვერ გვითხრა, გმირთა

მოედანზე ვცხოვრობო, — ამოილულულა. მივიყვანეთ. გადმოვედი მანქანიდან, გადმოვიყვანე ეს კაცი... ხელკავი გამოვდე და შენობებისკენ წავიყვანე — იმ იმედით, რომ თავის სახლს იცნობდა. უკან ექთანს მოგვეყვებოდა. მიუბრუნდა და ხელით ანიშნებს — ნუ მოგვდე, დაგეტოვებო... მივიყვან ერთ შენობასთან, — აქ ცხოვრობ? — ვკითხავ; თან ძლივს ვაკავებ, რომ არ დაეცეს. — არა, — გააქნევს თავს. ასე ჩამოვიარეთ თითქმის მთელი ქუჩა. ამ დროს დავინახე, ვიღაც მამაკაცი მოდის. მივმართე: უკაცრავად, იქნებ დამემმართო? ახლოს რომ მოვიდა, შევიცანი, ჩემი მუუღლის მეგობარი. ასეთ მდგომარეობაში რომ მნახა, გადაირია, დაეტაკა ამ მთვრალ კაცს, შეაჯანჯლარა და როგორც იქნა, მისამართი ათქვეინა. შემდეგ სახლამდე მიმავანინა და თავის ქნევით დამემშვიდობა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, ჩემს მუუღლეს დაურეკა და უთხრა: კაცო, რატომ უშვებ ცოლს ასეთ სამსაზურში, მთვრალ კაცებთან ერთად ხელკავით რომ უწევს სიარულიო?..

P.S. აი, ასეთი იყო შარშანდელი 31 დეკემბრის ღამე, „03“-ის მორივე ბრიგადისტვის. ყველა ექიმს ვუსურვებ, წელს არც ერთი გამოძახება არ ჰქონოდეთ. თქვენ კი, გაფრთხილდით:

— არ დალოით ფალსიფიცირებული სასმელი!

— ფრთხილად დაჭერით გოზინაყი!
— კარგად დაფიქრდით, სანამ გადაწყვეტთ, ვისთან ერთად შეხვდეთ ახალ წელს!
— სუფრასთან ქალაღლის ან სულაც პლასტმასის ჭიქები მიიტანეთ — ჭიქაჭამია სტუმარი თუ მოვივით, ადვილად გადავლავავს და ექიმის გამოძახებაც არ დაგებდებათ ახალი წლის ღამეს.

ბედნიერ ახალ წელს ვისურვებთ!




ნანა ქიბიშაური

— დებრესია ხასიათის დარღვევის კატეგორიაა, რომლის დროსაც ადამიანი უდიდეს სულიერ ტკივილს, ნაღველს, დანაშაულის შეგრძნებას განიცდის; საკუთარ თავს მიიჩნევს არაფრის მაქნისად, არარაობად და ცხოვრება აუტანლად მძიმე ეჩვენება. ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით, დებრესია ორი ტიპის არსებობს: ზოგადი დებრესია და ბიპოლარული დარღვევა. საზოგადოებაში უფრო მეტად გავრცელებულია ზოგადი დებრესია, რომელიც შემდეგი სიმპტომებით ვლინდება: 1) ნაღველი, დამთრგუნველი სულიერი მდგომარეობა; 2) ყოფითი საქმეებისადმი ინტერესის დაკარგვა; 3) ძილის დარღვევა (უძილობა ან სურვილი, მუდმივად გეძინოს); 4) აქტივობის დონის მკვეთრი ცვლილებები — ლეთარგია და აპათია ან აღზნებული მდგომარეობა; 5) უმადობა, სხეულის წონის დაკარგვა ან პირიქით, უმადლობა — წონაში მატება; 6) ენერჯის დაკარგვა, ძლიერი დაღლილობის განცდა; 7) ნეგატიური თვითშეფასება; 8) ყურადღების კონცენტრირების დარღვევა, აზროვნების შენელება და მერყეობა; 9) აკვიატებული აზრები სიკვდილზე ან თვითმკვლელობაზე და ა.შ. იმ პაციენტთა საშუალო ასაკი, რომელთაც ფსიქიკური დარღვევა აღენიშნებათ 30-45 წელს შორის მერყეობს. ქალები უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე მამაკაცები. დებრესიის საფუძველს ფსიქოლოგები ყოველთვის ადამიანის ბავშვობაში ეძებენ ხოლმე და თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რა გავლენას ახდენს ჩვენი ბავშვების ფსიქიკაზე უშუქობა, 20-30 წლის შემდეგ რა დაავადებით შეპყრობილ საზოგადოებასთანაც გვექნება საქმე, ფსიქოლოგებისათვის დღესავით ნათელია...

მაინც რა გავლენას ახდენს უშუქობა ჩვენს ფსიქიკაზე?

— დებრესიას სხვაგვარად, „უშუქობის დაავადებას“ უწოდებენ. ეს ბუნებრივი მოვლენებითაც არის განპირობებული: დებრესიის გამოვლენა გაცილებით შესაძრწევია და ეს დაავადება მწვავე ფორმებში მიმდინარეობს ზამთარში. ეს იმიტომ აიხსნება, რომ ბუნებრივ სინათლესთანაც კი უშუალო კავშირშია — რომ აღარაფერი ვთქვათ ხელოვნურ შუქზე, რომელსაც ელექტროენერჯის მეშვეობით ვიღებთ. ზამთარში დღის ხანგრძლივობა მოკლეა და მზის შუქის დეფიციტია და თუ ამას



უშუქობა და დებრესია

ანუ ვის აძლევს ხელს ჩვენი დაავადება?!

ხელოვნური ფაქტორიც ერთვის, ადამიანს, რომლისთვისაც ელექტროენერჯია ჩვეულ მოვლენად იქცა, ამ ენერჯის დეფიციტით გამოწვეულ ყოფით პრობლემებზე მეტად, ფსიქოლოგიურ პრობლემას ვუქმნით. მაშინაც კი, როდესაც არ არსებობდა ელექტროენერჯია, უშუქობა პირდაპირ კავშირში იყო დებრესიასთან, ჩვენს საუკუნეში კი, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ის პირდაპირ მოქმედებს დებრესიულ და ადამიანზე და გარკვეულწილად მართავს კიდევ მის ემოციებს.

— **ბავშვის ფსიქიკა უფრო მგრძობიარეა. როგორ მოქმედებს უშუქობა მათზე?**

— ბავშვები განსაკუთრებულად აღიქვამენ სიბნელეს. ის მათში იწვევს გაურკვევლობის განცდას, რომელიც კბადებს შიშს. სიბნელის შიში, დახურული სივრცის შიში, უსაფრთხოების არარსებობის განცდა სწორედ ბავშვობაში დარღვეული ფსიქიკის შედეგია. ეს მდგომარეობა ადამიანმა ბოლომდე შეიძლება ვერც გაიცნობიეროს, მაგრამ მოგვიანებით, თავს იჩენს ნევროტულ გამოვლინებაში, იმოქმედოს ხასიათზე და უარეს შემთხვევაში, დებრესიამ სტრესის სახე მიიღოს. შეიძლება, ბავშვი იმდენად მცირეწლოვანია, რომ ვერც კი ხვდება, რატომ სჯობს ანთებული ნათურა ანთებულ ლამპას, მაგრამ მასზე მოქმედებს უფროსების რეაქცია. „ვაიმე, შუქი წავიდა!“ — ამბობს დედა და თვითონაც ვერ გრძობს, როგორ

ფსიქოლოგებთან საუბრისას გავარკვევით, რომ ჩვენს საზოგადოებაში, დებრესიის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევი მიზეზი უშუქობა ყოფილა. ამ საკითხზე მსჯელობისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ სწორედ მათ ხელშია ელექტროენერჯის პრობლემის მოგვარების საკითხი, ვისაც ჩვენი დაავადება აძლევს ხელს... ვის და რაში სჭირდება „დებრესანტი“ და კონკრეტულად, რა როლს თამაშობს უშუქობა სტრესის წინა პერიოდის ჩამოყალიბებაში? — ამის შესახებ ჩვენი მასალიდან შეიტყობთ. უპირველეს ყოვლისა, განვმარტოთ ის, თუ რა არის თვით დებრესია და რა კონკრეტული სიმპტომები ახასიათებს. გვესაუბრება ფსიქოლოგი სოფიო პერულაშვილი.

თრგუნავს ამ სიტყვებით თავის პატარას. თუ ბავშვი იმხელაა, რომ აცნობიერებს, რას ნიშნავს „შუქი წავიდა“, ამ შემთხვევაში ის ორმაგად იმუხტება უარყოფითი ემოციით: პირველი არის უარყოფითი განცდა საკუთარი გამოცდილებიდან გამოდინარე, მეორე — მშობლის რეაქცია, მშობლისა, რომელიც მისი აზრით, ყოვლისშემძლეა — შეუძლია გააკეთოს ის, რაც თვითონ ბავშვს არ ძალუძს, ამიტომ ავტორიტეტია მისთვის, — მაგრამ შუქის წასვლას ვერაფერს უნერხებს და ეს მასშიც იწვევს უარყოფით რეაქციას... ამ ორმაგი „ვაიმეს“ (თავისი და ვთქვათ, დედის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ ნათქვამი) ზეწოლის ქვეშ, ბავშვის ფსიქიკა რღვევას იწყებს. მშობლებს ვურჩევ, შუქის წასვლის ან მოსვლის შემდეგ, არანაირი რეაქცია არ გამოამჟღავნონ — არც პოზიტიური და არც ნეგატიური. ბავშვის წინაშე ხაზი არ უნდა გავუსვათ იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის შუქი. საერთოდ, მშობლის რეაქცია ბავშვის გონებაში ფიქსირდება და ყოველთვის უნდა ვეცადოთ, ვმართოთ ჩვენი ემოციები ისე, რომ მათ ფსიქიკას ცუდი კვალი არ დაეანინოთ.

— **როგორ ფიქრობთ — მომატებულ აგრესიულ ფონში რამდენად დიდია უშუქობის წილი? თუ დებრესია აგრესიულობით არ ვლინდება?**

— აგრესიული ფონი რომ გაზრდილია, ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ — ტრანსპორტში, სამსახურში, ოჯახში, ჩვეულებრივ, ადამიანურ ურთიერთობებში... ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ამაშიც ძალზედ დიდ როლს ასრულებს სწორედ უშუქობა. აგრესიის მიზეზი (ნებისმიერი სახის აგრესიის) კარგად რომ გამოვიძიოთ, შესაძლოა, ბოლოს სწორედ უშუქობასთან მივიდეთ, თუმცა, ამ ორ ცნებას შორის ერთი შეხედვით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არის. რომ ჩააბნელოთ მთელი თბილისი, რა თქმა უნდა, მოსახლეობა ამ ფაქტს აგრესიულობით უპასუხებს, მაგრამ ეს აგრესიულობა მოგონილი იქნება იმასთან შედარებით, რაც მოჰყვება მხოლოდ ნახევარი თბილისის ჩაბნელებას: როდესაც რაღაც პრობლემა საყოველთაო, საზოგადოება მეტად მიმტყვებელია. მიმტყვებელია იმიტომ, რომ არსებობს განმუხტვის ობიექტი — ადამიანი ან ვთქვათ, მთავრობა, რომელსაც ამა თუ იმ პრობლემას გადააბრალებენ. თუ პრობლემა არ არის საყოველთაო — ვთქვათ, ცალკეული უბნის ან რაიონის გამორთვა ხდება, აგრესიას ემატება სოციალური უთანასწორობით გამოწვეული გაღიზიანება და ამ დროს ძალიან ძნელია მასის ემოციის მართვა. არიან ადამიანები, რომლებიც დაგროვილ ნეგატიურ გამოცდილებას შიგნით, საკუთარი თავისკენ მიმართავენ, არსებობს კატეგორია, რომელიც სხვისკენ — გარეთ მიმართავს გაღიზიანებას. ორივე შემთხვევაში, ეს პროცესი შეიძლება სხვა დარღვევის — მაგალითად, ორგანული, ფსიქოსომატური დაავადების საფუძველი გახდეს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც რე-

ალური გაღიზიანების საფუძველს წარმოადგენს, დაუსრულებლად იწველება დროში, თანაც უშუალოდ დეპრესანტს არ შეუძლია მისი მოგვარება... ამრიგად, ჩვენს ქალაქში არსებულ აგრესიულ ფონსა და ნევროტული გარემოს შექმნაში ძალიან დიდ როლს ასრულებს უშუქობა — როგორც დროში გახანგრძლივებული და მოუგვარებელი გაღიზიანების საფუძველი, რომელიც ფსიქიკური დარღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია.

— როგორ ხდება იმის განსაზღვრა, რომ დეპრესიის მიზეზი სწორედ უშუქობაა და არა სხვა რომელიმე ყოფითი პრობლემა?

— არსებობს სხვადასხვა ტესტი, რომელსაც პაციენტი ავსებს და ფსიქოლოგიური დაკვირვების მექანიზმი, რომელსაც ფსიქოლოგი ახორციელებს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. მყავს პაციენტი, რომელსაც დეპრესია კლიმაქტერიულ პერიოდში დაეწყო. დეპრესიას ასასიათებს აკვიატებები. ამ ქალბატონთან საუბრისას დავადგინეთ, რომ მას დასრქმდა დაღამების შიში; ხასიათი ეცვლებოდა დღის მეორე ნახევარში, ეშინოდა ღამით მარტო დარჩენის და ღებინების შეგრძნება ჰქონდა ნავთის სუნზე. მას გამოკვთილი ჰქონდა პირდაპირი პროტესტი უშუქობის მიმართ. დავიწყეთ ფსიქოთერაპია. მკურნალობას დაექვემდებარა. ფსიქოლოგიური პრობლემა მოეხსანა, მაგრამ გაღიზიანების საფუძველი რჩებოდა. მოველაპარაკე მისი ოჯახის წევრებს და მას შემდეგ, რაც გაიჭირვეს და ელექტროგენერატორი შეიძინეს და შუქის პრობლემა მოავგარეს, მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა: ჯანმრთელობა, თბილი ოჯახური ურთიერთობები, შრომის ნაყოფიერება, კარგი განწყობა... ამ შემთხვევაში, სინამდვილეში რა იყო დეპრესიის საფუძველი, გვიკარნახა ნავთის სუნის მიმართ პაციენტის განსაკუთრებულმა, უარყოფითმა დამოკიდებულებამ. შუქის პრობლემის მოგვარების შემდეგ, ნავთის მიმართ აგრესიაც გაქრა.

— არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ მაშინ, როდესაც არ არსებობს

არანაირი გრაფიკი, ადამიანი უფრო შემგუბნელი და გულგრილია ელექტროენერჯის მიმართ — მას უაფე გამომუხაფე ბული აქვს იმუნტიტი; მაგრამ როდესაც გრაფიკი არსებობს და ეს გრაფიკი ირღვევა, ემოციები იმდენად მძაფრდება, რომ საფსებით ჯანმრთელი ადამიანიც კი შეიძლება დეპრესანტად აქციოს. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

— ორივე შემთხვევას დაავადებისკენ მიგყვართ. თუმცა, ამ ორიდან, შედარებით უკეთესი, რა თქმა უნდა, არის ის, რომ ადამიანი იცოდეს — როდის ჩაირთვება ან გაითიშება ელექტროენერჯია. ამ დროს ის ცდილობს ისე დაგეგმოს თავისი საქმე, რომ ელექტროენერჯის დეფიციტი მისთვის ნაკლებად ხელის შემშლელი და გამაღიზიანებელი იყოს.

— გრაფიკთან დაკავშირებით გამახსენდა შემთხვევა: ესხედვართ რამდენიმე მეგობარი. გრაფიკის მიხედვით, შუქი უნდა წავიდეს. გავიდა ერთი საათი

— არ მიდის, კიდეც ერთი — არ მიდის; გავიდა სამი საათი, ისევ ვუცდიოთ, რომ დენი გამოიერთვება, მაგრამ — არა; ბოლოს, ერთ-ერთს (საკმაოდ სოლიდურ და ინტელიგენტ ადამიანს) ყველასთვის მოულოდნელად, უმტყუნა ნერვებმა და ხელში მოხვედრილი ნოთი ნათურას ესროლა შექახილით: წადი რა, თუ მიდისარ!.. რას იტყვიოთ — ჩემი მეგობარი აგად არის?

— საქმე გვაქვს ადაპტაციის პრობლემასთან და პროტესტის თავისებურ გამოვლინებასთან. არაადეკვატური ქცევა პროტესტის ერთ-ერთი ფორმაა. არსებობენ ფრიგიდული ადამიანები (როგორც ჩანს, თქვენი მეგობარიც მათ რიგს განეკუთვნება), რომლებიც ბუნებით პუნქტუალურები არიან და ისე ეჩვევიან და იმდენად ადაპტირდებიან დადგენილ ნორმასთან, რომ მერე, ძალიან უჭირთ რაიმე ცვლილებასთან შეგუება. მათ ცხოვრების წესის შეცვლაც ძალიან უჭირთ — თუნდაც, ოჯახის შექმნა, ოჯახის დანგრევა. ნებისმიერ ცვლილებას ისინი ძნელად ეგუებიან, მაშინაც კი, თუ ცვლილება სასიკეთოა. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად სასიხარულო ამბავი მოხდა — დენი არ გამოიერთო, — ის მაინც გაღიზიანდა, არადა,



ერთგული ეკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. სპარტელოს რომელ კუთხეში აცხობს დინასხლის ოჯახის ყველა წევრის სახ- ელზე პადისკვირს?



- ა) ფშავში;
- ბ) ხევსურეთში;
- გ) თუშეთში.

2. რომელი ტარმინი ის- მარება დღეს საქსოლოგიაში ასიტყვა „იმპოტენციის“ ნაცვლად?



- ა) სექსუალური დისფუნქცია;
- ბ) სექსუალური დისჰარმონია;
- გ) სექსუალური შეზღუდვა.

3. რა პროფესია აქვს მომღერალ ლიზა გაბრატიონ- ის მეუღლეს?



- ა) მეან-გინეკოლოგი;
- ბ) მომღერალი;
- გ) არქიტექტორი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



აგრესიის საფუძველი წესით, არ არსე-
ბოდა.

— როგორც ფსიქოლოგი, რას
ურჩევდით ადამიანებს — უშუ-
კობით გამონევეულ დებრესიას
როგორ დააღწიონ თავი მაშინ,
როდესაც თითოეულ ჩვენგანს
არ შეუძლია მოანესრიგოს ან
მოსპოს გაღიზიანების, დებრესიის
საფუძველი? როგორ განვიმუხ-
ტოთ უარყოფითი ემოციისგან
ისე, რომ არ დავზარალებდეთ?

— პირველ რიგში, დავაკვირდეთ საკ-
უთარ თავს და ვიპოვოთ ოპტიმალური
ვარიანტი. ხმამაღლა, რაღაც ფორმით
გამოვხატოთ ემოცია. გავაცნობიეროთ, რომ
რაღაც-რაღაცები არ არის დამოკიდებუ-
ლი ჩვენზე, ამიტომ ის საქმე, რომელსაც
ელექტროენერგის დეფიციტის გამო ვერ
ვაკეთებთ, ჩავანაცვლოთ სხვა საქმით,
რომელსაც ეს ხელს არ შეუშლის. აქ-
ცენტრი გადავიტანოთ იმაზე, რაც დადებითა
— ოჯახური სითბო, სიყვარული, მე-
გობრობა... უშუკი ხომ არ არის ის, რით-
იც იწყება ან მთავრდება ცხოვრება. გა-
ვიხსენოთ თუნდაც, ის დრო, როდესაც არ
არსებობდა ელექტროენერგია. ადამიანი
ხომ მაშინაც ქმნიდა შედეგებს, იღიმე-
ბოდა, უხაროდა სიცოცხლე და ბედნიერების
განცდაში სულაც არ უშლიდა ხელს
ელექტროენერგის არარსებობა. და თუ
მაინც ვერ შეძლებთ ფსიქიკური წონას-
წორობის აღდგენას, მაშინ მიმართეთ რჩე-
ვისათვის ფსიქოლოგს.

— ადამიანთა რა კატეგო-
რიას ვერ ვრევა დებრესია
ადვილად?

— ძნელია ზოგადად ამის თქმა. ალ-
ბათ მათ, ვინც დასაქმებულია — ვისაც
ბუერი საქმე აქვს, ვისაც ამაზე საფიქრალად
დრო არ რჩება.

— და მაინც, ესოდენ გახ-

ანგრძლივებული პრობ-
ლემის, მუდმივი გაღი-
ზიანების საფუძველის
მოსაგვარებლად, ხალხი
პროტესტის უფრო
მკვეთრ ფორმებს არ
მიმართავს. თქვენ რით
ხსნით ამას?

— უიმედობა, სასოწარკვე-
თა, მასობრივი ნევროზი და
დებრესია, რითიც შეპყრობილ-
ია ჩვენი საზოგადოება, სწორედ
იმ მიზანმიმართული პოლი-
ტიკის შედეგია, რომელიც დღეს
ჩვენს ქვეყანაში ხორციელდე-
ბა. დენი სწორედ იმიტომ არ
არის, რომ ხალხი იყოს ისეთი დებრესი-
ის ქვეშ, რომელშიც ახლა იმყოფება. იმ
დაპირებებით, რომელიც არ სრულდება,
ხალხში იმედგაცრუებას და სასოწარკვე-
თას ნერგავენ; არჩევნების გაყალბებისას,
საკუთარი არარაობის, ყველაფრის გაუფა-
სურების შეგრძნებას ნერგავენ. სწორედ
ამან გამოიწვია ის, რომ აღარავინ ეძებს
პროტესტის სხვა ფორმას; რა მნიშვნელობა
აქვს ჩვენს აზრს? — ყველაფერს ხომ
„ზემოთ“ წყვეტენ!.. სწორედ ეს არის
დებრესიის ერთ-ერთი სიმპტომი: მთავრობა
ნერგავს ხალხში იმ აზრს — თუნდაც,
გამეფებული დაუსჯელობის სინდრომით,
— რომ ნაკლებად აქტიურები უნდა ვიყ-
ოთ... ადამიანი, რომელსაც აქვს
ფსიქოლოგიური პრობლემები, არის დებრე-
სიაში, — ადვილად სამართავია. ყოფითი
პრობლემებით ადამიანის ზედმეტი დამ-
იმება იმის გარანტიას იძლევა, რომ ის
ინერტული იყოს არაყოფითი საკითხებ-
ისადმი.

— მაშ, რა უნდა ქნას ხალხ-
მა? სახელმწიფოს უჩივლოს?..

— ეს ყველაფერი ნორმალურ, სამართ-
ლებრივ ქვეყანაში რომ ხდებოდა, „დებრე-
სანტები“ მოიგებდნენ ამ პროცესს და
მათ, კომპენსაციის სახით, მკურნალობის
ხარჯებს მაინც დაუფარავდა სახელმ-
წიფო, მაგრამ ჩვენში ამის მოთხოვნაც კი
სასაცილოა. ვიდაცამ რომ უნდა ავოს
პასუხი არა მხოლოდ იმისათვის, რომ
XXI საუკუნეში ისევ ელექტროენერგი-
ის პრობლემის წინაშე ვდგავართ, არამედ
იმისთვისაც, რომ საზოგადოებაში მასო-
ბრივი დებრესიული მდგომარეობა გაბა-
ტონებული და ეს იმდენად საგრძნობია,
რომ ეროვნულ მენტალიტეტზეც მოქმედებს,
— ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ ვინ —
ამის განსაზღვრა ჩვენში მართლაც ძალიან
რთულია...

20 წლის თამუნა შალვაშვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი გახლავთ. გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ გოგონას, სამწუხაროდ, 6 წლის ასაკში გლავუკომა დაემართა და რვა წლიდან უსინათლოა, მაგრამ მხედველობის სრულ დაკარგვას მისთვის ხელი არ შეუშლია, საფორტეპიანო მუსიკაში ეპოვა საკუთარი თავი.

თამუნა ერთადერთი უსინათლო მუსიკოსია საქართველოში, რომელიც ცდილობს, დაეუფლოს პიანისტის ურთულეს პროფესიას. ნაწარმოებების შესწავლა მისთვის დაკავშირებულია დიდ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვასთან. წარმოუდგენელია, ნაწარმოების ყველა ბგერის, ტაქტის ნიუანსების, კარნახით შესწავლა, თუმცა თამუნამ ეს ყველაფერი შეძლო. ის უკვე მრავალი ჯილდოს მფლობელიცაა. ჩემს რესპონდენტს შინ ვესტუმრე, სადაც ოჯახის წევრებისა და მეგობრების სიყვარულით სავსე გარემოში ვიხილე. თამუნასადმი მათი სიყვარული, სუსხიანი ამინდის მიუხედავად, სითბოდ იღვრებოდა და უსინათლო გოგონა საოცრად ბედნიერად ილიმებოდა.



კონცერტი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ღირსიკორი რევაზ გაკიძე

უსინათლო თამუნა შალვაშვილი საფორტეპიანო მუსიკის მწვერვალს იწყობს

მამა კახიძე

— თამუნა, კონსერვატორიამდე განვლილ გზაზე მამბე, თუ შეგიძლია.

— სულ პატარა ვმღეროდი და ინსტრუმენტთან ჩემი სურვილით ვვდეხობდი. რასაც ყურს მოკერავდი, ძალიან ადვილად ვმღეროდი და ვუკრავდი. 10 წლისა კი 87-ე საშუალო სკოლასთან არსებულ მუსიკალურ სკოლაში შევედი. სამ წელიწადში დავასრულე 7 წლის პროგრამა. ამის შემდეგ, მე-3 მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე და ძალიან სერიოზულად დავიწყე მეცადინეობა. რომ არა მე-3 მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი, კომპოზიტორი გურამ ბზვანელი, პიანისტობაზე ასე სერიოზულად, შეიძლება, არც მეფიქრა. ბატონმა გურამმა დამისვა პიანისტობის „დიაგნოზი“ (იკინის) და მისი დადასტოება წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. ასევე — ჩემი პედაგოგის, ქალბატონი ლალი ბურჯანაძის, რომელიც დღესაც მასწავლის, ოღონდ — ახლა უკვე კონსერვატორიაში.

— მითხრეს, რომ ბევრი ჯილდო გაქვს მიღებული...

— სასწავლებელში ხშირად იმართებოდა კონცერტები. 1999 წელს კი, საქართველოს საბუსიკო სასწავლებლების მოსწავლეთა კონკურსის ლაურეატი გავხდი, იმავე წელს — ქართველ და გერმანულ ასალგაზრდა მუსი-



სამწუხაროდ, 6 წლის ასაკში გლავუკომა დაემართა და რვა წლიდან უსინათლოა, მაგრამ...

კოს-შემსრულებელთა ფესტივალის დიპლომანტი, რომელიც თბილისში, ფრანკფურტში და შტუტგარტში ჩატარდა. 2000 წელს პარიზის ბახის სახელობის მე-14 საერთაშორისო კონკურსზე მოვიპოვე ლაურეატობა. გასულ ზაფხულს, ბორჯომში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზეც გამოვედი... სხვათა შორის, შარშან, იანვარში, პარიზში გამარჯვებულების გალა-კონცერტი გაიმართა და ერთი წლის მერე კვლავ წარვდექი მსმენელის წინაშე. არადა, ახლა, 31 დეკემბერს, წესით კვლავ პარიზში უნდა ჩავსულიყავი, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო, ამჯერად ვერ ვახერხებ გამგზავრებას

და კონცერტში მონაწილეობის მიღებას.

— პარიზში სად იმართება ხოლმე ბახის სახელობის კონკურსი?

— პულენკის სახელობის კონსერვატორიაში.

— შენ რომ ლაურეატი გახდი, საინტერესოა, ვინ იყო ფიურის თავმჯდომარე?

— უცნობილესი მუსიკოსი — ბაღურა სკოდა.

— გავიგე, სოლო კონცერტიც გაგიმართაქს...

— ჯერ კიდევ მე-3 მუსიკალურში ვსწავლობდი, როცა კონსერვატორიის მცირე დარბაზში სოლო კონცერტი გავმართე.

— რა შეასრულე?

— დიდი პროგრამა მქონდა: მოცარტი, ლისტის, სკრიაბინის, შოპენი... სიმფონიურ ორკესტრთან ერთად კი, რომელსაც მე-სტრო რევაზ ტაკიძე ღირსიკობდა, რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტის I ნაწილი შევასრულე. საქართველოს რამდენიმე ქალაქშიც გავმართე სოლო კონცერტი, მათ შორის, ბათუმის კონსერვატორიაშიც. არაჩვეულებრივი დღეები გავატარე ბათუმში.

— შენ, თურმე, კარგად მღერი...

— „კაკასიურ სახლთან“ არსებულ ანსამბლ „ლარვოში“ ვმღერი. ანსამბლში შვიდი წევრი ვართ — ოთხი გოგო და სამი ბიჭი. ძირითადად, ხალხურ, ქალაქურ სიმღერებს



ფრიდერიკ შოპენის გული ვარშავაშია დაკრძალული, მისივე ანდერძის თანახმად, მაგრამ მაინც პარიზში მინდოდა მისი განსასვენებლის ხილვა (შოპენის საფლავთან ლალი ბურჯანაძესთან ერთად)

და საგალობლებს ვასრულებთ. ახლანა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა, სადაც ჩვენც მივვიწვიეს.

— მართალი გითხრა, არ ვიცი „ლარგოს“ მნიშვნელობა...

— ნელი ტემპის აღმნიშვნელი სიტყვაა. მოკლედ, ჩვენი ანსამბლი ცდილობს, დააწყნაროს და დაამშვიდოს მსმენელი (იკინის). „კაკასიურ სახლში“, ყოველ კვირას გვიწვევს გამოსვლა.

— ასე ძალიან რომ ხარ დაკავებული (კონცერტებს და ლექციებს ვგულისხმობ), როდისღა ასწრებ მეცადინეობას? პიანისტი ხომ საათობით უკრავს.

— მართლაც ძალიან ვარ დატვირთული, მაგრამ დღეში ოთხ საათს მაინც ვმეცადინებ, კონსერვატორიაშიც, რასაკვირველია. თუმცა მიმანია, რომ ეს ძალზე ცოტაა. სამწუხაროდ, მეტი დრო არ მრჩება, ჯერჯერობით.

— თამუნა, რა არის შენთვის მუსიკა?

— როული შეკითხვაა... ვფიქრობ, სრულყოფილად მაინც ვერ გავცემთ პასუხს, რადგან მუსიკა ისეთი სამყაროა, რომლითაც მთლიანად ხარ გაჟღერებული. მუსიკა ყველაფერია ჩემთვის...

— როგორც პიანისტისთვის, შენთვის რომელი კომპოზიტორია ყველაზე მეტად ახლობელი?

— მიჭირს ამორჩევა... ბახი მიყვარს, მაგრამ შოპენი — უფრო. მუსიკაში ყველა დიდ კომპოზიტორს სხვადასხვა ხასიათი აქვს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შოპენი უფრო ახლოსაა ჩემთან. საერთოდ, პარიზში ჩასვლა ჩემი ოცნება იყო. განსაკუთრებით კი

იმიტომ, რომ შოპენის საფლავთან მისვლა მსურდა. მართალია, ფრიდერიკ შოპენის გული ვარშავაშია დაკრძალული, მისივე ანდერძის თანახმად, მაგრამ მაინც პარიზში მინდოდა მისი განსასვენებლის ხილვა. შოპენი პარიზის ცნობილ სასაფლაოზეა დაკრძალული. ეს სასაფლაო ერთი ქალაქის ტოლია. ძლივს მივალწიეთ საფლავამდე მე, დედამ და ჩემმა პედ-

აგოვმა, ლალი ბურჯანაძემ. ამ სასაფლაოზე განისვენებენ: დებოუსი, სენ-სანსი, ელიტ პიაფი... საოცარი ადამიანების უზარმაზარი „ქალაქია“, მიწისქვეშა ქალაქი. შოპენის საფლავის ყველა კუთხე-კუნჭული აღმოწერეს. საფლავზე თეთრი მარმარილოს საოცარი ქანდაკებაა, რომელზეც მისი მუდღე, ყორუ სანდია დამზობილი. ვიდექი შოპენის საფლავთან და არ მჯეროდა, რომ მის საფლავთან ვიდექი...

— კონსერვატორიაში, ქალბატონი ლალის გარდა, სპეციალობას კიდევ ვინ გასწავლის?

— ბატონი ედიშერ რუსიშვილი. ვაიპე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვინერვიულე მისაღებ გამოცდებზე... სპეციალობაში ყველაზე მაღალი შეფასება მომცეს. არავინ იფიქროს — რადგან უსინათლო ვარ, თავზე ხელს მისვამდნენ სადმე. მიმიხვდით, ხომ ამას რატომ ვამბობ?! ჩემგანაც ისევე ითხოვენ მეცადინეობას, როგორც ნებისმიერი სტუდენტისაგან. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. სხვათა შორის, სამჯერ გავხდები პრეზიდენტის სტიპენდიანტი. ბატონ ედუარდს კონსერვატორიის დიდ დარბაზშიც მოუსმენია ჩემთვის.

— ადრე ვინ გვარნახობდა, ნაწარმოებს როცა სწავლობდი?

— დედა. ჩემი მშობლები არქიტექტორები არიან, მაგრამ დედას მუსიკალური სკოლაც აქვს და

ჩემი გყუპისცალი 15 წუთით არის ჩემზე უფროსი

მთავრებული და მეხმარება. ერთია, რომ უხელთათმნოდ დავდივარ და მსაყველურობე ოჯახში.

— მერედა, რატომ დადისხარ? შენს თითებს ხომ მოფრთხილება უნდა?

— არა უშავს, ამტანი ვარ (იკინის).

— თამუნა, რალაცნაირად მერიდება კიდევ, მაგრამ მინდა გკითხო: ბავშვობის დროინდელი პერიოდებიდან თუ გახსოვს რამე?

— მესმის, რაც გაინტერესებთ. ხომ გახსოვთ, ქუჩაში, მაღაზიებს დიდი წარწერები რომ ჰქონდა? ოთხი წლის ვიყავი, რომ ვკითხულობდი. უფროსებს გულს ვუწყვალბდი შეკითხვებით — ეს რას ნიშნავს და ეს რას-მეთქი? ძალიან მომწონდა დიდი ასოები. მე ახლაც შემიძლია მოვექსოვო. როცა გნებავთ, მაშინ გიჩვენებთ, რომ ქსოვა ვიცი.

— ექიმები რას გეუბნებიან?

— კარგს ვერაფერს მპირდებიან...

— ახლა ის მითხარი, შენს ოჯახში კიდევ ვის უყვარს სიმღერა და მუსიკა?

— მე ყველაზე მეტად მიყვარს. ოთხი წლით უფროსი ძმა მყავს, შოთა, და კიდევ ტყუპისცალი ძმა — ლამა. ჩემი ძმა 15 წუთით არის ჩემზე უფროსი. ორი მამიდაშვილი მყავს, ისინიც ბიჭები; რომ იტყვიან, ძალიან მანებოვებენ. ჩემი ტყუპისცალი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სხელმწიფო ინსტიტუტში სწავლობს. ტყუპობის მოუხედავად, ხასიათით სხვადასხვანაირები ვართ.

— არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, შენზე დოკუმენტური ფილმი გადაუღიათ. მართალია?

— დიახ, 15-წუთიანი ფილმია. რეჟისორ ალექსანდრე (სამა) ქორიძეს დოკუმენტური ფილმის გადაღების სურვილი გაუჩნდა და გადაიღო კიდევ. მთელი ზაფხული ჩვენთან ერთად იყო. ფილმს „თამუნა“ ჰქვია.





ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალზე ლალი ბურჯანაძესა და ლიანა ისაკაძესთან ერთად

— თუ იცი, რომელ არხზე ვის-ილაფთ ამ ფილმს?

— არ ვიცი. ვფიქრობ, რომ ძაღვს აჩვენებენ.

— პიანისტი ხარ და გასაგებია, რომ კლასიკა გიყვარს. ქართულ ეს-ტრადაზე რას მეტყვი?

— სიმღერასაც განსაკუთრებული ადგ-ილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. რასაც ვუსმენ, იქიდან ცოტა რამ მომწონს. ძალიან მომწონს ეკა კვალაიშვილის და თებურ თათარაშვილის სიმღერები, პროფესიონალები არიან.

— ახლო მომავალში რა გეგმები გაქვს?

— კონცერტები ხშირად მაქვს. გაისად კი, ოქროსფერ შემოდგომას პრადამი შევხ-ვდები: 2003 წლის 24 ოქტომბერს პრადის საერთაშორისო კონკურსზე ვარ მიწვეუ-ლი.

— დარწმუნებული ვარ, ჯილ-დოს გარეშე იქიდანაც არ ჩამოხვალ.

მოკლადინჯვალ, თამუნა მოძიბრუნდა და მკითხა: რა ფერის თვალები გაქვით? შვი-მთქი, — კი ვუპასუხე, თუმცა ცოტა არ იყოს, დავიბენი. თამუნამ და მისმა მეგო-ბრებმა, ბონდო ცხველიანმა და ნატო კულ-დონაშვილმა ისეთი სატრფიალო სიმღერა დააგუგუნეს — „ვოგო, ვოგო შევთვალაო“, რომ გულწრფელად გეტყვი, კარგა ხანს ხმა ვეღარ ამოვიღე. დამდეგ შობას ვილო-ცავთო! — განალიხდნენ მეგობრები.

— დიდი მადლობა, თამუნა, არა-სოდეს დამაფინყდება ეს საოცარი საჩუქარი და ერთსაც გკითხავ: ხომ იცი, ნოდარ დუმბაძის ხატია? დარ-წმუნებული ვარ, იცი და იქნებ, მითხრა, სოსოია თუ არის შენ გვერ-დით?

— სად მცალა „სოსოიასთვის“ (იცი-ნის)?! ჩემი მეგობრების უმეტესობა, ჩემი „სოსოიები“ არიან და ძალიან ბედნიერი ვარ ამით...

ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნე-

ბა, კონსერვატორიის პროფესორის გულ-ბატი ტორაძის აზრი თამუნა შალვაშ-ვილზე:

— პროფესიული, აკადემიური პიანიზმის ისტორიასა და პრაქტიკაში ძალზე იმ-ვიათი შემთხვევაა. პიანისტური ხელოვნე-ბის მთავარი კომპონენტები: მუსიკალური ფრაზირების ოსტატობა, ბგერის კულტურა, ტექნიკური აპარატის გამართულობა, რომელ-იც გამოავლინა თამუნამ, სავსებით შეესაბამ-ება და, შესაძლოა, აჭარბებს კიდევ მისი ასაკისა და სწავლების საფეხურის მოთხ-ონებს და თუ გავითვალისწინებთ, რომ მას პროფესიული სრულყოფის კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, დარწმუნებულები შეი-ძლება ვიყოთ, რომ მისი არტისტული მო-მავალიც საიმედო და ბედნიერი იქნება.

თამუნა შალვაშვილის კონცერტები და საზოგადოდ, „თამუნას ფენომენი“, რაღა თქმა უნდა, სცილდება მუსიკალური ცხოვრების ჩარჩოებს. იგი ქართველი ხალხის ნიჭიერე-ბისა და სულიერი სიმტკიცის კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითია და შეიძლება, უფრო ფართოდაც ითქვას — ადამიანის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების უსაზღვროე-ბის ნათელი მაგალითი.

P.S. საოცრად დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული უსინათლო ვოგონას მიერ მიღწეული საფორტეპიანო კლავიატურაზე გან-ფენილი მუსიკალური ტექსტის ათვისება, შესწავლა და შემდეგ შესრულება. ქალბა-ტონი ლალი ბურჯანაძის განმარტებით, ყოველივე ეს წმინდა ეპიურიკული წესით ხორციელდება — ყოველგვარი სპეციალ-ური მოწყობილობისა და საგანგებო შრიფ-ტის გარეშე: მასწავლებელი ნოტებს ცალ-ცალკე ხმამი ჰკარნახობს მოსწავლეს, რომელ-იც შემდეგ აერთიანებს მათ, იმხსოვრებს თანამიმდევრობას და როდესაც ყველაფერი მტკიცედ „ჩაჯდება“ თითებში, იწყებენ მუშაობას ნაწარმოების მსაზრეულ-ინტერ-პრეტაციულ მხარეზე. დიდი შრომის შედე-გი — თვალსაჩინოა.

ტესტი პრუდიციასზე

1. რას უარყოფენ განდგომ-ილი მორმონები?



- ა) ძალადობას;
- ბ) ტექნიკურ პროგრესს;
- გ) მსოფლიო გლობალიზაციას.

2. რა შიარძვეს ამჟამად აშშ-ში („ფლორიდა პანტარ-სი“) მოთამაშე ჰოკეისტ კაპელ გურას კანადელეზა?



- ა) რუსული რაკეტა;
- ბ) ძლიერი ძრავი;
- გ) 100 კილომეტრი საათში.

3. ციმბირის ნყლეული (ჰილენი) ადამიანზე არ გადადის:



- ა) ადამიანისგან;
- ბ) ცხენიდან;
- გ) ბოლოკიდან.

4. ვადღენ ოლგრაითი იყო აშშ-ის:




- ა) კულტურის მინისტრი;
- ბ) სახელმწიფო მინისტრი;
- გ) იუსტიციის მინისტრი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მარჩიელობა ახალი წლის ჩადგენსურ ღამეს

გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ახალი წლის ღამით ჩვენი წინაპრები მკითხაობდნენ. ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან არ ასვენებდათ ადამიანებს მომავლის წინასწარ განჭრეტის სურვილი და იმიტომ. აი, სადაცაა 2003 წელი შემოაღებს კარს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა ტრადიციამ — საახალწლო მარჩიელობამ კი ჩვენამდეც მოაღწია. ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს ტრადიციული მკითხაობით შეგიძლიათ შეიქციოთ თავი. რადგან ბედი არ გვეხუმრება, იქნებ, ჩვენ გავვეხუმროთ?

მავ ასე:



მარჩიელობა წყლიანი ჭიქით

არ დაიხაროთ — აიღეთ სამი ჭიქა და ნახევრად გაავსეთ წყლით. ერთში შაქარი ჩაყარეთ, მეორეში — მარილი, მესამეში კი პურის ლუკმისოდენა ნატეხი ჩააგდეთ. ვისაც მარჩიელობა სურს, თვალები აუხვიეთ და საკუთარი ღერძის გარშემო საათის ისრის მიმართულებით რამდენჯერმე

შემობრუნეთ. ჭიქებსაც რამდენჯერმე შეუცვალეთ ადგილი. თვალახვეულმა ერთ-ერთი ჭიქა უნდა ამოირჩიოს.

თუ შაქრიანი ჭიქა შეხვდა, დამდეგი წელი ბედნიერი, ტკბილი და წარმატებული ექნება. მარილიანი ჭიქა ცრემლებსა და დაბრკოლებებზე მიგანიშნებთ. აი, პურიანი ჭიქა თუ აირჩია, ესე იგი, ახალი წელი ფულსა და ფინანსურ კეთილდღეობას ჰპირდება.

დასაქორწინებელ ბიჭებს და გოგონებს შეუძლიათ კიდევ ერთი — ბეჭდიანი ჭიქა დაუმატონ და არჩევანი მიანიშნებს — გაბედნიერდებიან თუ არა ამ წელიწადში.

მარჩიელობა წარწერებით

სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ, ახალი წლის ღამეს, თითოეულ თქვენგანს შეუძლია, ერთი სურვილი ქალაქზე დაწეროს. მაგალითად: „სამსახურში დაგაწინაურებენ“, „ბევრ ფულს იშოვით“, „სასურველ ქალზე

დაქორწინდებით“ და სხვა ამგვარი. გაკეცილი ფურცლები ერთმანეთში აურიეთ და ძაფზე ჩამოკიდეთ. შემდეგ ყველა, სათითაოდ, მაკრატლით მოჭრის თავის „მომავალს“...

მარჩიელობა ფეხსაცმლით

თუ ქალს (გოგონას) სურს, გაიგოს — გათხოვდება თუ არა ამ წელს, მაშინ შუალამის მოახლოებამდე შემოსასვლელი კარის ღირებულება უნდა დადგეს, პირით შინისკენ, მარჯვენა ხელით წაიძროს საშინაო ფეხსაცმელი და მარცხენა მხარეს, უკან გადაისროლოს. თუ ფეხსაცმლის წვერი გარეთ იქნება მიმართული, აუცილებლად გათხოვდება, მაგრამ თუ წვერი შინისკენ „იყურება“, არ ინერვიულოთ — მხოლოდ ერთი წელი მოგიწევთ ლოდინი — მომავალ ახალ წლამდე...

მარჩიელობა ლობიოს მარცვლებით


შეგიძლიათ სიმინდის მარცვლიც გამოიყენოთ. ოღონდ, ასეთი მარჩიელობა მხოლოდ „პოს“ და „არას“ მოიცავს.



შემინული აივანი				სახეუნი ნიშანი	სივრცის ფრანგული საშობი	... მწამს, ბოლო მაკვირვებს	ლოქი	გრძელის საპირისპირო მცნება	ბრაზილიური ცეკვა
ივრეა, რაც მინა	აეაზაკი	დედაძიწის უსწორმასწორობის ერთობლიობა	საკყრობილე	გამის ნოტი	მუღბივი შიშის სინთონია ... მახვილი	ეს ... დიდ, დ გეში მ	(...ნხიკეთა ქ		

ჩაყარეთ ჯამში ლობიო, ჩაუ-
თქვით სურვილი, მერე კი მუ-
ჭით იმდენი ამოიღეთ, რამდენსაც
შეძლებთ. დაითვალეთ მარცვლებ-
ის რაოდენობა. ლუწი რიცხვი
სურვილის ასრულებას ნიშნავს,
კენტი – უარყოფით პასუხს
მოასწავებს.

**მარჩიელობა
ჩრდილებით**



იმედი ვიქონიოთ, რომ ახალ წელს
პატივს დაგვღებენ და დენი გვექნება. თუმცა,
ამ მარჩიელობის შემთხვევაში, ფაქტო-
ბრივად, დენი არც არის საჭირო.

აიღეთ ძველი გაზეთები, რკინის სინი
და მოამზადეთ ასანთი. მერე თქვენი ბი-
ნის თეთრ კედელთან (შესაძლებელია, მა-
ცივართან), შორიახლოს დადგით სკამი,
რომელზეც მოთავსებული იქნება რკინის
სინი. სინზე რამდენიმე დაჭმუჭნილი გაზე-
თი დადეთ და ასანთი მოუკიდეთ. ოღონდ,
მოკიდების პროცესში აუცილებლად
ჩაიფიქრეთ სურვილი. შემდეგ ყურადღებით
მიადევნეთ თვალი ცეცხლის ალს ანუ
თეთრ ფერზე გამოსახულ ჩრდილებს და
თქვენს სურვილზე პასუხსაც მიიღებთ.
ფრთხილად თუ მოიქცევით, ხანძრის ნუ
შეგეშინდებათ. მერე კი წყალს გაატანეთ
ფერფლი.

მარჩიელობა კარტით

იმის დასადგენად, თუ როგორ დაგვირ-
გვინდება ესა თუ ის საქმე, კარგად აჭერ-
ით კარტი და დაუხედავად გამოიღეთ
ერთი ბანქო. თუ წითელი კარტი – ზული
ან აგური გერგოთ, ეს საქმის კეთილად
დაბოლოებას ნიშნავს, თუ – შავი – ვაჭ-
იანურების და დაბრკოლებებისთვის უნდა
იყოს მზად. თუმცა, გული არ გაიტეხოთ,
პირიქით, – მთელი შემართებით მოემზა-
დეთ დაბრკოლებების გადასალახავად.

მარჩიელობა ბრინჯით

ძველად მუხუდოს იყენებდნენ, მაგრამ
რადგან ყველა ოჯახში მუხუდო არ მოი-
პოვება, ბრინჯითაც შეიძლება მარჩიელო-
ბა. აიღეთ ბრინჯის სამი მარცვალი, წყლით
აავსეთ პატარა ქვაბი ან თასი და სამივე

მარცვალი წყალში ჩააგდეთ. შემდეგ ნელ
ცეცხლზე დადგით წყლიანი ჭურჭელი.
ამასობაში, საწერი კალამი და პატარა
ფურცლები აიღეთ და დაწერეთ ციფრე-
ბი: 1, 2 და 3, თან თვალი არ მოაცილოთ
ჭურჭელს.

როგორც კი პირველი ბრინჯი ზედა-
პირზე ამოტივტივდება, მაშინვე ამოიღეთ
და იმ ფურცელზე დადეთ, რომელზეც
ციფრი ერთი წერია. ასევე მოიქცით
მეორე და მესამე მარცვალთან მიმართე-
ბაში. როდესაც დაძინებას გადაწყვეტთ,
პირველ ფურცელში შეხვეული ბრინჯი
ბალიშქვეშ ამოიღეთ. ღამით ნანახი სიზ-
მარი ავიხდებათ. პირველი იანვრის ღამეს
მეორე მარცვალი ამოიღეთ ბალიშქვეშ,
ორი იანვრის ღამეს – მესამე. აი, სულ ეს
არის, მაგრამ სიზმარში ნანახი კარგად
დაიმახსოვრეთ – ამას დიდი მნიშვნელო-
ბა აქვს.

სამი წიწვის „საიდუმლო“

ახალი წლის ღამეს, ნაძვის ხის შოვნა
არ გაგიჭირდებათ, მით უმეტეს – წიწვის
სამი ღერის როგორც
კი იგრძნობთ, ძილი
მოგერათ, სამი ღერი
გამოაძრეთ ნაძვის
წვერს (მთელი წლის
განმავლობაში, სულ
წინსვლა რომ გქონდ-
ეთ), ერთი საფულე-
ში მოათავსეთ, მეორე
– პარმალთან, მესამე
– ბალიშქვეშ და ტე-
ბილად დაიძინეთ.
გამოღვიძებულმა კი,

კარგად გაიხსენეთ სიზმარი,
რომელიც სწორედ ახალი წლის
ღამეს დაგვისიზმრათ. თუ დაქორ-
წინებული ან გათხოვილი ბრ-
ძანდებით და მეუღლე დაგვისიზმ-
რათ, ხელი არ ახლოთ ბალიშქვეშ
დადებულ ღერს მომავალ ახალ
წლამდე. იყოს, რას გიშლით? თუ
საბედოს ნახავთ სიზმარში,
საფულეში რაც ფული გექნებათ,
იმით სანთლები იყიდეთ, ანთეთ

საბედოსთვის, მაგრამ წიწვი ისევ საფულე-
ში დაიტოვეთ. ქორწინების შემთხვევაში
კი – დაწვით. თუ თქვენი სიზმარი სახ-
ლის გარე ასპარეზზე განვითარდა, პარმალ-
თან დადებული ღერი აიღეთ ხელში და
ყველაზე ახლობელ ადამიანს ესტუმრეთ,
რომელიც შესანიშნავ საჩუქარს დაგახვე-
დრებთ...

ბარემ იმასაც დავამატებთ, რომ ნაძ-
ვის ხე პირველად 1553 წელს დაიდგა
გერმანიაში და ეს ტრადიცია მარტინ
ლუთერის სახელს უკავშირდება: შობის
ღამეს გზად მიმავალმა ლუთერმა ზეცას
ახელა და თვალი მოსჭრა ვარსკვლავე-
ბით მოკაშკაშე ცისკენ აზიდულმა ნაძ-
ვებმა. მოტეხა ტოტი და შინ წაიღო.
ამის შემდეგ, საშობაოდ ნაძვის ხის დადგ-
მის ტრადიცია ევროპასა და ამერიკის
კონტინენტზე გავრცელდა, მოგვიანებით
კი, საახალწლო ნაძვის ხე მსოფლიო
ტრადიციად იქცა. ბედნიერ ახალ წელს
გისურვებთ!

მონაწილე მამია კახიძე



ლიუს სარი: ... ვიცი	ძველ რომში საჯარისო შენაერთი	იოჰან ... ბახი	რძის პროდუქტი	კოვბოს ქამანდი	ქართული ფულის ერთეული	მოუხარ- შავი ანუ ...
ციხის საკანი	ხევისბერი გონას შეილი	ბელეგალაცემა-ბუბუ“	თურქეთის ლედაქალაქი	მინის ან თიხის- ჭურჭელი	მოწყობილობა მშის აბაზანების მისაღებად	

მორენა მერკვილაძე

საუბარო სინანულის საიდუმლოსთან დაკავშირებით „გზის“ წინა ნომერში დავიწყეთ. რა შემთხვევაში არ შეინიშნავს უფალი აღმსარებლის სინანულს და შეიძლება თუ არა, აღსარება გვეძვეს სასჯელად? რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ადამიანზე აღსარებამ მაკურნებლად იმოქმედოს? რამდენ ხანში ერთხელ უნდა ამბობდეს ადამიანი აღსარებას? აქვს თუ არა ძალა მხოლოდ სიკვდილის წინ ნათქვამ აღსარებას? — ამ და სხვა კითხვების განმარტება ქვაშეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელს, მამა კონსტანტინეს (გიორგაძე) ვთხოვეთ.

— რა შემთხვევაში არ შეინიშნავს უფალი აღმსარებლის სინანულს და შეიძლება თუ არა, აღსარება გვეძვეს სასჯელად?

— აღსარება ვერ იქნება მაკურნებელი, თუ ადამიანი აღსარების დროს რაიმეს მალავს ან აღსარებას ამბობს ზერულედ, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. ზოგჯერ ადამიანი აღსარების დროს ცდილობს, საკუთარ ცოდვებს გამართლება მოუძებნოს ან ცოდვის ჩაღწა სხვას დაბრალდოს (მაგალითად, ამბობს: „სუსტი ვარ“; „ვერ ვიციკებ თავს, რადგან სხვები მალიზიანებენ“ და სხვა). აღსარების დროს ასეთი სახის თავის მართლება ცოდვაა, რამეთუ თავის მართლებას ეშმაკი შთაგვაგონებს. ამასთანავე, ასეთი აღსარება ადამიანს სასჯელადც ექცევა, რადგან ის ეცრუება უფალს და არა სასულიერო პირს.

— მაშინ რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ აღსარებამ ადამიანზე მაკურნებლად იმოქმედოს?

— აღსარების დროს, არა მარტო არაწმინდა (ღვთისთვის არასათნო) საქციელი, ცოდვილი გულისთქმები და ფიქრები უნდა ვალიართ. ამასთანავე, ადამიანს ჩადენილი ცოდვების მიმართ აუცილებლად გულწრფელი სინანული უნდა ჰქონდეს, მტკიცედ გადაწყვიტოს, რომ ჩადენილ ცოდვებს აღარასოდეს გაიმეორებს და იბრძოლებს ცოდვით მიდრეკილებებისგან თავის დასაღწევად. ავადმყოფს მხოლოდ დაავადების აღმოჩენა და ექიმთან მისვლა ვერ განკურნავს, თუ ავადმყოფი არ თმობს იმას, რაც მის ჯანმრთელობას ვნებს და არ ითვალისწინებს ექიმის დანიშნულებას. ასევეა სულიერი მკურნალობის დროსაც. მონანულმა აუცილებლად უნდა



მამა კონსტანტინე (გიორგაძე)

რა უნდა გიცოდეთ სინანულის საიდუმლოსთან დაკავშირებით?

შეასრულოს ღვთის მსახურის რჩევები. ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ ცოდვისგან გათავისუფლებას მხოლოდ მათი აღიარება მოუტანს, ცოდვათა სრული მიტევებისთვის აუცილებელია, ცოდვების აღიარებას თან ახლდეს გულით ტირილი და სინანული ჩადენილი ცოდვების გამო და, რაც მთავარია, გვექონდეს ღმერთის შემწყობის იმედი, რომ მოწყალე უფალი აუცილებლად მოგვიტევებს.

— ზოგჯერ ადამიანს ღვთის მსახურის წინაშე ეუხერხულება რომელიმე ცოდვის აღიარება. როგორ უნდა მოვიტყუოთ იმ შემთხვევაში, როდესაც გვრცხვენია ამა თუ იმ ცოდვის აღიარება?

— შეიძლება მართლაც, სირცხვილია იმის აღიარება, რაც გვაწუხებს, მაგრამ თავი უნდა დავიმშვიდოთ იმით, რომ ჩვენი ცოდვების გამო, მოძღვარი ფიქრითაც კი არ განგვჯდის. როდესაც ექიმთან ინტიმური ორგანოს სამკურნალოდ მივდივართ, სირცხვილსაც ვგრძნობთ, ტკივილსაც და უხერხულობასაც, მაგრამ თუ გამოჯანმრთელება გვინდა, უხერხულობას ვძლევთ. უფრო მეტად უნდა გვაძნეებდეს სულის განკურნების იმედი. ამასთანავე, უნდა ვიფიქროთ ღმერთზე, რადგან უფლის წინაშე არაფერია დაფარული. ჩვენ ერთი კაცის წინაშე გვრცხვენია ცოდვების აღიარება და გვაკვიწყდება, რომ თუ არ შევინანეთ, არათუ ერთი და ორი კაცის, არამედ ყოველთა დაბადებულთა წინაშე განცხადდება იგი — გვას-

წავლის წმინდა მამა იოანე ოქროპირი.

— რამდენ ხანში ერთხელ უნდა ამბობდეს ადამიანი აღსარებას?

— იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ჩადენს მიძიმე ცოდვას, სასწრაფოდ უნდა თქვას აღსარება. იმის გამო, რომ ადამიანი იოლად ივიწყებს ცოდვებს, აუცილებელია, მცირე ცოდვებიც ხშირად მოვინანიოთ, რაც ორ კვირაში ერთხელ თუ არა, თვეში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს.

— ხომ არ იკრძალება აღსარების თქმა რომელიმე დღეს?

— ადამიანს შეუძლია აღსარება ნებისმიერ დღეს ჩაატაროს.

— შეიძლება თუ არა, აღსარება ჩავაბაროთ სხვადასხვა სასულიერო პირს, თუ აუცილებელია, გვყავდეს სულიერი მოძღვარი?

— აღსარების სხვადასხვა სასულიერო პირთან ჩაბარება არ იკრძალება, თუმცა სასურველია, მორწმუნეს ჰყავდეს სულიერი მოძღვარი.

— რა ასაკიდან უნდა თქვას აღსარება ბავშვმა?

— ბავშვი აღსარებას შეიძლება წლის ასაკიდან უნდა ამბობდეს. დედა მაგალითსა სწავლებით, ბავშვებს შეუძლიათ, სათანადოდ შეაფასონ აღსარების მნიშვნელობა. მაგრამ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები. მაგალითად, სიმორცხვე, რომელიც უნდა დავაძლევინოთ. შეიძლება კუთხრათ, რომ არა უშავს, თუ თავიდან მორცხვები და გაუბედავები ვართ. ბავშვები ხშირად ფიქრობენ, რომ მშობლები მათი დანაშაულის შესახებ მოძღვრისგან შეიტყობენ, ამიტომ უნდა ავეხსნათ, რომ მოძღვარი მათ არასოდეს გასცემს.

— აქვს თუ არა ძალა მხოლოდ სიკვდილის წინ ნათქვამ აღსარებას?

— ბუნებრივია, ძალა მხოლოდ სიკვდილის წინ ნათქვამ აღსარებასაც აქვს, იმ შემთხვევაში, თუ აღსარებას, ჩადენილი ცოდვების მიმართ სინანული და განცდა ახლავს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანმა მთელი ცხოვრების მანძილზე ღვთის საწინააღმდეგე საქმე აკეთოს იმ იმედით, რომ სიკვდილის წინ მოინანიებს. უპირველესად, ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ ღმერთი მას სიკვდილის წინ აღსარებას ათქმევინებს, ეს არის ღვთის საჩუქარი, რომელიც ადამიანზე ღმერთმა უნდა დაუშვას. ამასთანავე, ადამიანმა არ იცის, როდის მოუწევს ამ ქვეყნის დატოვება. ამიტომ ცოდვებს რაც შეიძლება ხშირად უნდა ინანიებდეს. გარდა ამისა, ცოდვების ხშირად მონანიება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელი პირობაა მიწიერ ცხოვრებაში სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად.

შორენა მერკვილაძე

ახალ წელს თითქმის ყველა ადამიანი განსაკუთრებული გუნება-განწყობით, საუკეთესო სურვილებით და კეთილი მომავლის იმედით ეგებება. ეს დღესასწაული მართლაც გამოირჩევა სხვა საერო თუ რელიგიური დღესასწაულებისგან. როგორ ხსნის მართლმადიდებლური ეკლესია ახალი წლის მნიშვნელობას? როგორ უნდა განეწყოს მორწმუნე ადამიანი ახალი წლის მიმართ? არის თუ არა ახალი წლის მეორე დღე, ბედობის დღე? — ამ და სხვა კითხვებთან დაკავშირებით, გვესაუბრება წმინდა დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი **გიორგი რაზმაძე**.

— ახალი წლის შესახებ, რომელსაც დღეს ასეთი დიდი სადღესასწაულო განწყობით ხვდებიან და რომლის აღნიშვნაც უკვე უცვლელ ტრადიციად იქცა, არც ერთ ღვთისმსახურების წიგნში არ არის მინიშნებული. მას არანაირი კავშირი არა აქვს მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან. ეკლესიური სწავლებით ახალი წელი, რომელიც პირველ იანვარს აღინიშნება, არის წარმართული დღესასწაული, რომელმაც გადმონაშთი რომაელთა კერპის — იანუსის ხანიდან პოვა. იანუსი იყო ორსახოვანი წარმართული კერპი, რომელსაც რომაელები განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ. კერპს წინა მხარეს ახალგაზრდა ჭაბუკის სახე ჰქონდა, რომელიც მომავლისკენ იცქირებოდა, მეორე მხრიდან კი, გამოკვეთილი იყო მოხუცი, რომელიც წარსულს მისტიროდა. იანუსის პატივსაცემად, რომაელებმა დაწესეს ყოველი თვის დასაწყისის სადღესასწაულო აღნიშვნა. მათი წარმოსახვით, ვინც ახალი თვის დასაწყისს ტკბილი სუფრითა და კარგი განწყობით მიეგებებოდა, მას მთელი თვის განმავლობაში წარმატება გარანტირებული ექნებოდა. დღევანდელ სახალწლო დღესასწაულსაც ხომ ტბილუღით უხვი სუფრა, საუკეთესო განწყობილება და კეთილი მომავლის იმედი ახლავს, რაც რომაელთა მსგავს ცრურწმენაზე მიგვანიშნებს. ამასთანავე, ახალი წელი ემთხვევა საშობაო მარხვას. ლაოდიკეის კრების კანონში კი პირდაპირ არის მინიშნებული, რომ მარხვის დროს იკრძალება დღესასწაულების გადახდა. იმისათვის, რომ მორწმუნე ადამიანმა სრული სიცხადით შეიგრძნოს უფლის შობის დღესასწაულის სიწმინდე. ტიპიკონური წესის თანახმად, მორწმუნეს 20 დეკემბრიდან მარხვის გამკაცრება ევალება, ეს სულიერებაზე მომეტებული ზრუნვით უნდა

წმინდა ნიკოლოზი, სანტა-კლაუსი და ახალი წლის ათვლის წესი

გამოიხატოს და არა თრობითა და მხიარულებით, რაც ახალ წელს ყოველთვის სდევს თან. ამიტომ, წესით, მორწმუნე ადამიანი ახალ წელს არ უნდა აღნიშნავდეს.

— და მაინც, თუ გაერთიანდებით, რომ ეს ვერაფერს მოახერხებთ, მათ შორის ბევრ მორწმუნესაც გაუჭირდება, რა გამოსავალი რჩება ადამიანს, რომელსაც ახალი წლის შეხვედრა მაინც მოუწევს?


— იმის გამო, რომ ჩვენში სულიერება სათანადო დონეზე არ დგას და ბევრი ისეთი ადამიანიც კი, რომელიც თავს მორწმუნედ მიიჩნევს, ახალ წელს მაინც შეხვდება, უზომო თრობისა და ღრუბისგან მაინც უნდა შეიკავოს თავი. რაც მთავარია, წარმართულ დღესასწაულში მონაწილეობა მონიანი აღსარების დროს.

— როგორ ხსნის მართლმადიდებლური ეკლესია ბედობის დღეს?

— ეკლესიური სწავლებით, კარგი და ცუდი დღე არ არსებობს. არც რომელიმე დღეს აქვს კარგის ან ცუდის დაბეჭდვარდაბეჭდვის ძალა. აქედან გამომდინარე, ხალხში არსებული აზრი, თითქოს 2 იანვარი ბედობის დღეა, მხოლოდ ადამიანის ცრუმორწმუნეობაზე მეტყველებს. ასევე დაუშვებელია, რომ ქრისტიანს სწამდეს მეკელის, რადგან ჩვენი მომავალი ბედნიერება არ შეიძლება, ამა თუ იმ ადამიანის ფეხბედნიერებაზე იყოს დამოკიდებული.

— სანტა-კლაუსზე თუ შეგიძლიათ გვითხრათ რამე?

— ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ სანტა-კლაუსი — წმინდა ნიკოლოზია, რომელიც სათავეს წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან იღებს. ერთ-ერთმა ვაჭარმა, რომელიც დიდ ზარალში ჩავარდა, გადაწყვიტა, თავისი სამი ქალიშვილი საროსკიპოში ჩაებარებინა. ეს შეიტყო წმინდა ნიკოლოზმა, სადამოს ვაჭრის სახლთან მივიდა, სამივე ქალიშვილის სარკმლის წინ ოქროთი სავსე ქისები დადო და ამით ვაჭრის ქალიშვილები გადაარჩინა. წმინდა



ნიკოლოზს უამრავი სასწაული და საკვირველება მოუხდენია. მისი ცხოვრების საფუძველზე, კათოლიკურმა სამყარომ მოახდინა წმინდა ნიკოლოზის სანტა-კლაუსად გადაყვანა, ანუ მოხდა წმინდანის გაზღაპრება, რაც მართლმადიდებლური ეკლესიისთვის მიუღებელია.

— თუკი ქრისტიანული წესის თანახმად, მორწმუნე ადამიანი ახალ წელს არ უნდა აღნიშნავდეს, მაშინ რატომ გვილოცავს ამ დღესასწაულს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი?

— ეს არ არის საახალწლო მილოცვა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წარმოთქვამს ლოცვას, რომელსაც შეიძლება მორწმუნე ადამიანი უსმენდეს.

— რა უნდა იცოდეს ადამიანმა ძველით ახალ წელთან დაკავშირებით?

— 14 იანვარს დაწესებულია ბასილი დიდის მოხსენიების დღე. ამიტომ ახალი წლის დატვირთვა, არც ძველით ახალ წელს აქვს.

— გამოდის, რომ თუ ადამიანი ქვეყნარტად მორწმუნეა, საერთოდ უარი უნდა თქვას ახალი წლის აღნიშვნაზე?..

— მორწმუნე ადამიანს შეუძლია ახალი წელი 14 სექტემბერს აღნიშნოს, როდესაც ეკლესია ინდიქტიონს, ანუ წელიწადის ათვლას იწყებს.

2002 წელი აივას ბრიუიფის წლად იქცა

ნათქვამია: წიწილებს შემოდგომით ითვლიანო, თუმცა, მსოფლიო ფეხბურთის მესვეურნი, როგორც წესი, „წიწილებს“ ცოტა უფრო მოგვიანებით – წლის ბოლოს ითვლიან ხოლმე.


ჰოდა, მიიწურა 2002 წელი და ყოველკვირულმა ფრანგულმა საფეხბურთო გამოცემამ, France Football-მაც სპორტულ ჟურნალისტთა შორის ჩატარებული ტრადიციული გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელშიც – ალბათ, ფეხბურთის გულშემატკივრები დაგვეთანხმებიან – სენსაციური არაფერი ყოფილა. როგორც მოსალოდნელი იყო, France Football-ის მიერ ევროპაში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელისათვის დაწესებული პრესტიჟული პრიზის, „ოქროს ბურთის“ მფლობელი, რონალდო გახდა, რომელმაც 171 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე, ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში და მადრიდის „რეალში“ მისივე თანაგუნდელი, რობერტო კარლოსი გავიდა (145 ქულით). მესამე ადგილი კი, გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარეს, ოლივერ კანს ერგო.

თავისი საკუთარი გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამარჯვებულთა დაჯილდოება 17 დეკემბერს მადრიდში ფიფამაც მოაწყო (ამ შოუს პირდაპირ ეთერში ხილვის საშუალება ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებსაც ჰქონდათ საქართველოს ტელევიზიის „პირველ არხზე“). ისევე, როგორც ყოველთვის, ფიფა გამოკითხვას თავისი წევრი 148 ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთა შორის ატარებდა; ამ გამოკითხვამაც 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად რონალდო დაასახელა. თითოეულ მონაწილეს უნდა დაესახელებინა სამი საუკეთესო მოთამაშე, რომელთაგანაც პირველ ადგილზე დასახელებული, 5 ქულას იღებდა, მეორე ადგილზე დასახელებული – სამს, ხოლო მესამე ადგილზე დასახელებული – ერთს. რონალდო პირველ ფეხბურთელად 59 ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა მიიჩნია, რის შედეგადაც მან 387 ქულა მიიღო. მეორე ადგილზე 171 ქულით ოლივერ კანი გავიდა, ხოლო მესამეზე, 148 ქულით – ზინედინ ზიდანი.

ფიფამ დააჯილდოვა მსოფლიოს საუკეთესო ქალი ფეხბურთელებიც, რომელთა შორისაც პირველ ადგილზე აშშ-ის ნაკრების წევრი მეა ჰეში გავიდა (იგი შარშანაც საუკეთესოდ აღიარეს), მეორეზე – გერმანელი ბირგიტ პრინცი, ხოლო მესამეზე – ჩინელი სუნ ვენი (რომელსაც შარშან იმავე გამოკითხვაში მეორე ადგილი ერგო).

ფიფას ხელმძღვანელობამ არც 2002 წლის კორეა-იაპონიის მუნდიალი დაივიწყა და ტურნირზე გამარჯვებულები პრიზებით დაასაჩუქრა. მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა ოლივერ კანმა სამასსოფროდ სპეციალური „ოქროს ბურთი“ მიიღო, ხოლო მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა რონალდომ და კორეელმა მიუნ ბო ხონმა, შესაბამისად – ვერცხლის და ბრინჯაოს ბურთები.

Adidas-ის მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებსაც. კორეა-იაპონიის



ნისი მოედნებზე რვა გატანილი გოლის ავტორმა, რონალდომ „ოქროს ბუცი“ მიიღო, ხოლო რივალდოს და მიროსლავ კლოხეს, რომლებმაც 5-5 გოლი გაიტანეს, ჯილდოდ „ვერცხლის ბუცი“ ერგოთ.

წლის საუკეთესო მეკარისათვის დაწესებული, ლევ იაშინის სახელობის პრიზი ოლივერ კანმა მიიღო. გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო გუნდისათვის დაწესებული პრიზი კორეის ეროვნულ ნაკრებს გადაეცა; „ფეარ ფლეის“ (სამართლიანი თამაში) პრიზი კი – ბელგიის ეროვნულ ნაკრებს. ფიფასა და „კოკაკოლის“ რეიტინგის მიხედვით, ყველაზე პროგრესულ გუნდად სენეგალის ეროვნული ნაკრები დასახელდა.

ფიფას ღირსების ორდენი მიეღვნა წარსულში მადრიდის „რეალის“ მოთამაშისა და შემდგომში კლუბის ლეგენდარული პრეზიდენტის, სანტიაგო ბერნაბეუს ხსოვნას. ფეხბურთის დიდი სიყვარულისათვის ფიფას პრეზიდენტის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა წარმოშობით ინდოელი, ინგლისის მოქალაქე, მსახიობი და ფეხბურთელი, პარმინდელ ნაგრა. მსოფლიოს უმთავრესმა საფეხბურთო ორგანიზაციამ „ფეარ ფლეის“ პრიზით დააჯილდოვა კორეისა და იაპონიის სტუმართმოყვარე გულშემატკივრებიც.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ემასსოვრებათ, რომ 2002 წლის განმავლობაში, დაწვრილებით ვწერდით France Football-ისა და ფიფას მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგების მიხედვით გამარჯვებული ფეხბურთელების სპორტული კარიერისა თუ პირადი ცხოვრების შესახებ. ამიტომ ამჯერად, მხოლოდ რონალდოს კარიერის ბოლოდროინდელ ამბებზე შეგჩერდებით. როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია „ინტერიდან“ მადრიდის „რეალში“ რონალდოს გადასვლამ. ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის ეს ნაბიჯი ბევრმა საფეხბურთო მიმომხილველმა თუ გულშემატკივარმა დიდ უტიფრობად და უმადურობად მიიჩნია, რადგან წლების განმავლობაში მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობა მოთმინებით იტანდა იმას, რომ ტრავმის გამო, კიჭა გუნდს ვერაფრით ეხმარებოდა და მის მკურნალობაში დიდძალ ფულსაც ხარჯავდა. საფეხბურთო სამყაროს ნაწილმა კი, იტალიიდან ესპანეთში რონალდოს გადაბარება, ფეხბურთელის სიხარბით ახსნა. რონი ხომ წელიწადში 6 მილიონ ევროს იღებს და ამაზე გაცილებით მეტი თანხა რეკლამებიდანაც შესდის. ოღონდ ფული გადამიხადონ და რეკლამას თუნდაც ფეკალურ მასას გაუწევეო, – უთქვამს ერთხელ რონალდოს, რომლის სიძუნწეზე, თვით მისი ახლობლებიც კი ლაპარაკობენ. თუმცა, ასეა თუ ისე, იგი მაინც 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელია. თანაც, France Football-ის პრიზი კიჭამ უკვე მეორედ მიიღო (პირველად იგი „ოქროს ბურთის“ მფლობელი 1997 წელს გახდა), ხოლო ფიფას პრიზი კი – მესამედ (1996 და 1997 წლების შემდეგ).



2002 წლის „საუკეთესო ქალ-ვაიკი“

„სამეფო ჯღუბა“ და მსოფლიოს ნახრება ფრედ ითამაშეს, ხანი ჯი, ჯიჴასა და ზიზუს გაუნაწყინდა

მადრიდის „რეალის“ 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელიც მთელი 2002 წლის მანძილზე გრძელდებოდა, ესპანეთის დედაქალაქში „სამეფო კლუბსა“ და მსოფლიოს ნაკრებს შორის ცოტა ხნის წინ გამართული ამხანაგური მატჩით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ძლიერი წვიმის თანხლებით მიმდინარეობდა, სტადიონზე მისულ გულშემატკივრებს მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავებს მანც თვალწარმტაცი საფეხბურთო ზეიმი მოუწვევს. „რეალისა“ და მსოფლიოს ნაკრების მოთამაშეები მოედანზე ჩვეულებისამებრ, პატარებთან ერთად გამოვიდნენ, რომლებსაც მათსურებზე ეწერათ ფრაზა: „შეწყდეს ბავშვთა შრომის ექსპლუატაცია!“ „სამეფო კლუბისა“ და შრომის საერთაშორისო



ორგანიზაციის ეს ერთობლივი სიმბოლური ჟესტი იმის მცდელობა იყო, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიექცროთ ამ საშინელი სოციალური პრობლემისადმი. ამავე დროს, მთელი მატჩის განმავლობაში, „რეალის“ ქომაგებს საშუალება ეძლეოდათ, თავიანთი საყვარელი კლუბის მიერ სხვადასხვა პერიოდში მოგებული პრიზების ხილვით დამტკბარიყვნენ, რომლებიც მოედანზე სპეციალურად იყო გამოტანილი.

შეხვედრა მსოფლიოს ნაკრების უპირატესობით დაიწყო და უკვე მეორე ტაიმის დასაწყისისათვის, „რეალი“ 0:3-ს აგებდა. მასპინძელთა კარში გოლები გერმანელმა კლოზემ (30-ე წთ), ბრაზილიელმა კაკამ (42-ე წთ) და სენეგალელმა სისემ (48-ე წთ) გაიტანეს. ამის შემდეგ, თამაშის სადავეები უკვე „სამეფო კლუბის“ წარმომადგენლებმა იგდეს ხელთ და სანტიაგო სოლარის (პენალტით მე-60 წუთზე), ტოტესა (65-ე) და კამბიასოს (86-ე) გოლების წყალობით მატჩის ფრედ დასრულება მოახერხეს.

მატჩის დაწყების წინ, პლასიდო დომინგოს გამოსვლა იყო დაგეგმილი, თუმცა მადრიდში დაბადებულმა და „რეალის“ დიდმა ქომაგმა, სახელგანთქულმა ტენორმა, საყვარელი კლუბის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ჰიმნი ორკესტრის თანხლებით შესვენებისას შეასრულა, რადგან მანამდე, ძლიერი წვიმის გამო, არ მიეცა ამის საშუალება.



მსოფლიოს ნაკრების მწვრთნელი, ახლახან პორტუგალიის ეროვნული გუნდის თავკაცად დანიშნული ლუიშ ფელიპე სქოლარი გახლდათ. „დიდი ფილიცა“ და

ვისენტე დელ ბოსკეც ძალიან სშირად ახორციელებდნენ ცვლილებებს, რათა ყველა მოთამაშისათვის მიეცათ შეხვედრაში მონაწილეობის საშუალება. მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდნენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან: რივალდო, კაფუ, მაღლინი, ლიზარაზუ, ბალაკი, კლოზე, ბავო. „რეალის“ ტრადიციულ შემადგენლობას კი, მხოლოდ რობერტო კარლოსი აკლდა, რომელსაც ვარჯიშისას ტრავმა მიუღია.

მატჩში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ოლივერ კანმა, რომელმაც შეხვედრის დაწყებამდე დატოვა მადრიდი და სამშობლოში გაემგზავრა. როგორც

ესპანელი სპორტული ჟურნალისტები ვარაუდობენ, ბუნდესნაკრების მეკარე, ფიფას მიერ მოწვეობილი დაჯილდოების ცერემონიის წინ მომხდარმა ერთმა ინციდენტმა გაანაწყენა. საქმე ის არის, რომ აღნიშნული შოუს წინ, კანის, რონალდოსა და ზიდანის პრესკონფერენცია იყო დაგეგმილი, მაგრამ „რეალის“ ვარსკვლავებს მთელი 45 წუთით დაუგვიანიათ, რის გამოც „ბავარიის“ გოლ-



კიპერი ძალიან აღშფოთებულა. როგორც შემდგომში გაირკვა, რონი და ზიზუ მადრიდის ცენტრში, ტერორისტული ორგანიზაცია ეტა-სა და პოლიციას შორის მომხდარი სროლის შედეგად წარმოქმნილი საცობის გამო შეფერხებულან. ბასკ ტერორისტებს ტერაქტის მოწყობა ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ გეგმა ჩაუშალათ.

როცა ბუნებას მახეობის მსვლელობაში ჩორაქტივები შეაქვს

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ბუნებრივ მოვლენას დიდი პრობლემები შეუქმნია ამა თუ იმ ტურნირის ორგანიზატორებისათვის. მაგალითისათვის შეგვიძლია გავისწავლოთ თუნდაც ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონი, როდესაც „ოვერტუსი“ ტურნირში ლევერკუზენის „ბაიერს“ მასპინძლობდა და ძლიერი ნისლის გამო, მატჩი ორჯერ გადაიდო. ანალოგიური შემთხვევა მოხდა სულ ცოტა ხნის წინაც: „ნოუ კაპზე“, „ბარსელონა“-„ნიუკასლის“ შეხვედრა ძლიერი წვიმის გამო არ ჩატარდა და მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს ფეხბურთელებმა მოედანზე გამოსვლა. ბუნება სხვა დროსაც ხშირად ჩარეულა მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სპორტულ თამაშში და მის მსვლელობაში თავისი კორექტივები შეუტანია, რაზეც ნათლად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ფაქტები.



აი, ჩვენთან, არაბეთში...

ყველაზე „ცხელი მუნდიალის“ სახელით მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში მექსიკის 1970 წლისა და აშშ-ის 1994 წლის ტურნირები შევიდა. მექსიკის ჩემპიონატზე, მასპინძლებთან გამართული მატჩის მსვლელობისას, როდესაც ტემპერატურა თითქმის 40 გრადუსს აღწევდა, თურმე საბჭოთა ფეხბურთელები ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ სტადიონის კონსტრუქციისაგან მოედნის ცენტრში შექმნილი, ერთი მეტრის დიამეტრის ჩრდილში მოხვედრილიყვნენ, რათა ოდნავი შვევა მაინც ეგრძნოთ.

1994 წელსაც, აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატზე ტემპერატურა 30 გრადუსზე ქვევით თითქმის არასოდეს ჩამოდიოდა. ასეთ პირობებში თამაში ფეხბურთელებისათვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. მხოლოდ საუდის არაბეთის გუნდის მოთამაშეები გრძნობდნენ ამერიკის სტადიონებზე თავს ისე, როგორც თევზი წყალში. ერთ-ერთ მათგანს კი, ასეთი განცხადებაც გაუკეთებია: „ეს არის სიცხე? თქვენ ხომ ნამდვილი სიცხე არ გინახავთ! აი, ჩვენთან არაბეთში...“

გოლი და გაიგა, რომელია შინი ხარი და რომელი – მებოქის...

შოტლანდიის ჩემპიონატზე, ერთ-ერთი მატჩის დროს, მოედანზე ისეთი ნისლი ჩამოწოლილა, რომ ფეხბურთელები თურმე ვეღარც ბურთის პოულობდნენ და ვეღარც თანაგუნდელებსა და მეტოქე გუნდის მოთამაშეებს არჩევდნენ ერთმანეთისგან... რაღაც მომენტში მსაჯს უგრძნია, რომ მინდორზე უჩვეულოდ ბევრი ფეხბურთელი თამაშობდა და მაშინვე გუნდების სათადარიგოთა სკამებთან მიუბრუნია. სკამების გულმოდგინედ დათვალიერების შემდეგ კი, იგი დარწმუნებულა რომ ისინი ცარიელი იყო, რის გამოც მაშინვე შეუწყვეტია მატჩი, რომელშიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე 30 ფეხბურთელი თამაშობდა. კარგად მახსოვს, რომ ხუთი გოლი გავიტანე, მაგრამ არ ვიცი – ვის კარშიო, – უთქვამს ამ კურიოზული შეხვედრის მონაწილე ერთ-ერთ მოთამაშეს.

თუ გული გულგს, თამაში „ჯაოზიცი“ შეიძლება

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე წვიმიან ტურნირად 1974 წლის მუნდიალი ითვლება. გერმანიაში ჩატარებული მსოფლიო პირველობის მატჩების თითქმის ნახევარი ან უფროსი წვიმის „აკომპანიმენტის“ თანხლებით მიმდინარეობდა, ანდა ღვართქაფის ქვეშ უხდებოდათ გუნდებს თამაში. ისეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ კი, როგორც ფერ-პოლონეთის შეხვედრა იყო (რომელსაც ერთ-ერთი ფინალისტი უნდა გამოევიდნა), მოედანზე იმხელა გუბეები იდგა, რომ იქ წყალბურთს უფრო ადვილად ითამაშებდა კაცი, ვიდრე ფეხბურთს. წესის თანახმად, მსაჯს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაეწყო მატჩი, თუ მის მიერ მალა აგდებული ბურთი, მიწაზე დაცემის შემდეგ ახტებოდა. ამ საფეხბურთო „ტესტს“ „დადებითი შედეგი“ არ უჩვენებია, მაგრამ არბიტრმა მაინც მისცა თამაშის დაწყების მაუწყებელი სასტენი.

გოლი, რომელმაც მიწა შეაზანზარა

არგენტინის ქველა ლიგის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, მასპინძლებმა გადამწყვეტი გოლის გატანა შეძლეს. ამის გამო უსაზღვროდ განარებული გუნდის ხუთი ათასი ქომაგი ბლავილით ფეხზე წამოიჭრა და მოულოდნელად ტრიბუნასთან ერთად ქვევით წავიდა...

როგორც შემდგომში გაირკვა, ზუსტად გოლის გატანის მომენტში მომხდარა მიწისძვრა, რის გამოც ხის ტრიბუნის ერთ-ერთი სექტორი ჩამოქცეულა. ამ მატჩის შემდეგ, გოლის გამტანი ფეხბურთელი ქალაქში ყველას იმას უყვებოდა, თუ როგორ გამოიწვია მისმა დარტყმამ მიწისძვრა.

1997

წლის შემოდგო-
მაზე, აშშ-ის ეკ-
რანებზე გამოვი-

და საშინელებათა ფილმი – „მე ვიცი, რა ჩაიდინეთ თქვენ გასულ ზაფხულს“. სურათის რეჟისორი დებიუტანტი იყო, როლებს ტელევიზიის მსახიობები ასრულებდნენ, სცენარი ბევრით არაფრით გამოირჩეოდა, საშინელებათა სცენები ბანალური გახლდათ, პერსონაჟთა ხასიათები კი... – დიახ, ამ ხასიათებში არის რაღაც საინტერესო, განსაკუთრებით შთამბეჭდავია მთავარი გმირი, რომელსაც ის გოგონა, ჯენიფერ ლავ ჰიუიტი თამაშობს, მაგრამ მსხვერპლად ქცეული უმანკო ქალწულები ხომ, თითქმის ყველა საშინელებათა ფილმშია?! – დაახლოებით ასე მსჯელობდნენ ჭკვიანი, ზრდასრული კინოკრიტიკოსები ფილმის პრემიერამდე და იმ ეტაპზე ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს კინო ჰიტად იქცეოდა. და აი, სურათი ეკრანებზე გამოვიდა, ახალგაზრდობამ აიტაცა იგი... მხოლოდ აშშ-სა და კანადაში ჩვენებისას ფილმის შემოსავალმა 100 მლნ დოლარს გადააჭარბა. ამ ყველასათვის მოულოდნელი წარმატების წყალობით კი, პოლიუდის კაბადონზე კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელთა შორისაც ყველაზე ძლიერად, სწორედ ჯენიფერ ლავ ჰიუიტის ვარსკვლავი კიაფობდა. იმჟამად ჰიუიტი 18 წლის გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ასეთი ახალგაზრდული ასაკისა, გოგონას შოუბიზნესში პროფესიულ მოღვაწეობის თითქმის ცხრაწლიანი გამოცდილება ჰქონდა.

ჯენიფერი ტენასის შტატის ქალაქ უეიკოში 1979 წლის 21 თებერვალს დაიბადა. გოგონა ექვსი წლის იყო, როცა მისი მშობლები გაიყარნენ. ამის შემდეგ დედამისი (პროფესიით ექიმი-ლოგოპედი), ჯენიფერთან და მის ძმასთან ერთად, ახლომდებარე ქალაქ კილენში გადავიდა საცხოვრებლად. გოგონას მშვენიერი მუსიკალური მონაცემები ჰქონდა – ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში, იგი შესანიშნავად მღეროდა, ოთხი წლისა კი დედამ ქორეოგრაფიულ სტუდიაშიც მიიყვანა. 9 წლის ჯენიფერი უკვე თეატრ-ვარიეტეში გამოდიოდა: იგი მღეროდა, ცეკვავდა, სხვა მონაწილეობა ნომრებს აცხადებდა, არდადეგების დროს კი, ვარიეტეს დასთან ერთად, ამერიკის სხვადასხვა ქალაქში გასტროლებზე დადიოდა. ერთ-ერთ საქველმოქმედო კონცერტზე ჯენიფერი ადგილობრივმა ახალგაზრდა ტალანტებზე „მონადირე“ ავენტმა შეამჩნია და



**საშინელებათა კინოს დეოფანი,
ჯენიფერ ლავ ჰიუიტი.
„ქანგი გოგონას“ ახალგაზრდა ოსნებოზს**

დედამისს ურჩია, რომ გოგონა ლოს-ანჯელესში წაეყვანა, სადაც მას საკუთარი ნიჭის სრულად გამოვლენის საშუალება მიეცემოდა. ავენტმა ქალს დახმარებაც აღუთქვა: დაჰპირდა, რომ ლოს-ანჯელესელ კოლეგებს დაუკავშირდებოდა და ავენტს უპოვიდა, რომელიც გოგონას ამ სფეროში მოღვაწე საჭირო ხალხს გააცნობდა; ჯენიფერის დედა საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მან გვერდზე გადალო თავისი პრობლემები და პირადი ცხოვრება, მიატოვა მეგობრები, სამსახური და შვილებთან ერთად ლოს-ანჯელესში გადაბარგდა. „მე არაჩვეულებრივი დედა მყავს, – ამბობს ჰიუიტი. მან ყველაფერი გაწირა იმისათვის, რათა მე საკუთარი ოცნება ამეხდინა“. ლოს-ანჯელესში ჩასვლის-

თანვე, ჯენიფერმა სამსახიობო ხელოვნების სკოლაში დაიწყო სიარული, ამასთან სინჯებშიც მონაწილეობდა. თავდაპირველად, მას გაუმართლა და მსხვილობიუჯეტის ფილმის მთავარ როლზე ყველა ტური გაიარა, თუმცა, ფინალურ ტურში დამარცხდა... პირველმა წარუმატებლობამ გოგონაზე იმდენად იმოქმედა, რომ მან ყველაფრის მიტოვება და კილენში დაბრუნება გადაწყვიტა. სამსახიობო ოსტატობის მასწავლებელი იძულებული იყო, თავის 11 წლის უნიჭიერეს მოსწავლესთან სამსაათიანი თათბირი გაემართა და დაერწმუნებინა, რომ შოუბიზნესში წარმატება ციდან არ ვარდება და მის მოსაპოვებლად მუხლჩაუხრელი შრომა და ბრძოლაა საჭირო. „შენ სახისმეტყველების არაჩვეულებრივი მონაცემები გაქვს, გიყ-



სერიებში ერთ-ერთ მოცეკვავედ გამოდიოდა, ხოლო კადრს მიღმა კი, მისი სიმღერები ჟღერდა. იმავე წელს კინოში მისი დებიუტიც შედგა: ჰიუიტი საბავშვო ფილმ – „მანჩიში“ გადაიღეს. თუმცა, ამ სურათში მონაწილეობას მისთვის პოპულარობა არ მოუტანია, რადგან ფილმი ეკრანებზე არც კი გამოსულა, მხოლოდ მისი ვიდეო-ვარიანტი გავრცელდა. 1992 წელი, შემოქმედებითი თვალსაზრისით, მისთვის ბევრად უფრო წარმატებული აღმოჩნდა: ტელევიზიაში სერიულ „სახიფათო პოზიციაში“ მიიღო როლი, კინოში კი, თავად უკუი გოლდბერგის პარტნიორობა ხვდა წილად; ფილმში – Sister Act 2: Back in the Habit. ჯენიფერმა მეამბოხე სულის მოზარდი გოგონას როლი შეასრულა, რომელიც

ბლად განაგრძო. შემდეგ სეზონში ჰიუიტიმ ერთდროულად ორ სერიალში (ტელეარხ ABC -ს ბოვეიკში „მაკქენა“ და სუპერპროდიუსერ სტივენ ბოჩკოს დრამაში – „სამოთხის ჩიტები“) მნიშვნელოვანი როლები მიიღო, თუმცა ორივე მათგანმა ერთ წელიწადში დაბალი სარეიტინგო მონაცემების გამო, არსებობა შეწყვიტა და ჯენიფერი მცირე ხნით უმუშევარი დარჩა. რამდენიმეკვირიანი მოცალეობის ჟამს ჰიუიტიმ მეორე დისკი – Let's Go Bang ჩაწერა. ასეთი სათაური ალბათ შეცდომა გახლდათ, ჰიუიტი ვარაუდობდა, რომ სიტყვა "ბანგ"-ს მსმენელი საცეკვაოდ მიწვევად აღიქვამდა, მაგრამ უმრავლესობამ ეს ლოგინში მიწვევად აღიქვა. „ალბათ, ვილაც-ვილაცებმა მე მცირეწლოვან გარყვნილ გოგონად აღმიქვეს“ – მხრებს იჩეჩდა გაკვირვებული და განაწყენებული ჯენიფერი. ეს გაუგებრობა მისთვის ორმაგად მტკივნეული აღმოჩნდა, რადგან დისკზე მისი პირველი საკომპოზიტორი ნიშუმიც იყო ჩაწერილი. როცა 1995 წელს, მას სერიალში – „ხუთეულის წვეულება“ მეორეხარისხოვანი როლი შესთავაზეს, ჰიუიტი მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ უფრო მომგებიანი წინადადება არ ჩანდა. ჯენიფერის გმირი ჭკვიანი და ნიჭიერი სარა რივზი გახლდათ, რომელიც მღეროდა, ცეკვავდა და სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობისას საოცარი უშუალოდ გამოიჩინოდა. სარა რივზი იშვიათად უნდა გამოჩენილიყო სერიალში, მაგრამ პირველივე სერიაში მონაწილეობისთანავე პერსონაჟი სარეიტინგო გამოკითხვების მიხედვით იმდენად პოპულარული გახდა, რომ სცენარი შეცვალეს და ჰიუიტს ერთ-ერთი მთავარი როლი შერჩა ხელში. სერიალში მონაწილეობის რამდენიმე თვის თავზე, ჯენიფერი პოპულარობის ნაყოფს უკვე „იმიდა“: ყვითელი პრესა მისი პერსონით დაინტერესდა. მისი სასიყვარულო რომანი მსახიობ და როკერ ჯოი ლოურენსთან (იგი ჯენიფერზე სამი წლით უფროსი იყო), ტაბლოიდებმა ნამდვილი სენსაციად აქციეს. მათი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ამის შესახებ ყველგან წერდნენ... ჰიუიტს საკუთარი ალბომის სათაურიც გაუხსენეს და პრესა მას „მამაკაცთა რისხვად“ მოიხსენიებდა. ერთ-ერთ ტაბლოიდში კი განიერ ქვედაბლოში გამოწყობილი ჯენიფერის ფოტო გამოქვეყნდა, რომელიც ქვედა რაკურსიდან იყო გადაღებული; ფოტოსურათს ასეთი წარწერა ამშვენებდა: „ამ ლამაზმანის ქვედაბლო-

ვარს ეს საქმე. წარმოგიდგენია კი, რა უბედური იქნები, როცა ყველაფერ ამას მიატოვებ და ამის გარეშე იცხოვრებ?“ მასწავლებლის არგუმენტმა მოსწავლეზე შთაბეჭდილება მოახდინა და მან დარჩენა გადაწყვიტა. სულ მალე კი, ჯენიფერი ტელევიზიაში „დისნეის არხზე“ საშუალო მიიწვიეს, სადაც იგი შოუს – „ბავშვთა კორპორაცია“ – მონაწილე გახდა. მართალია, შოუ მალე დაიხურა, მაგრამ ტელევიზიის მუშაკებმა მისი სახე და სახელი დაიმასხოვრეს. ამასთან ერთად ჯენიფერი მუსიკაშიც მეცადინეობდა და საკუთარი პირველი დისკიც გამოუშვა. თუმცა სამშობლოში კი არა, იაპონიაში, სადაც იგი იმხანად ბევრად უფრო პოპულარული იყო, ვიდრე აშშ-ში. 12 წლის ასაკისათვის ოჯახის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს, სწორედ ჯენიფერი შოულობდა: მას იღებდნენ საჟურნალო და სატელევიზიო რეკლამებში; სშირად დადიოდა იაპონიასა და საფრანგეთში და მსხვილი ფირმების პროდუქციას რეკლამას უკეთებდა. 1991 წელს 12 წლის ჰიუიტი მაიკლ ჯორდანის კომპანიაში L.A.Gear-ის ქვედა საცვლის რეკლამის რამდენიმე სერიაში გადაიღო. იმავე პერიოდში იგი „ბარბის სატანვარჯიშო გაკვეთილების“

გოლდბერგის პერსონაჟთან მეგობრობდა. 1993 წელს, მას ერთ-ერთმა საკაბელო ტელევიზიამ, ბოლოს და ბოლოს, მთავარი გმირის როლიც შესთავაზა. ტელეფილმ – „პატარა მილიონერ ქალბატონში“ ჰიუიტმა მდიდარი მემკვიდრის როლი შეასრულა. იმავე პერიოდში გოგონამ სკოლა მიატოვა და სწავლა დაუსწრე-



ლოს ქვეშ ალბათ „სუთეულის წვეულებ-ის“ საკმარისი რამ იმალება“. „როცა ეს წავიკითხე, ავტირდი, – იხსენებდა ჰიუიტი მოგვიანებით. – რატომ? რისთვის? ვის რა დაუშვავე? მერე კი ვიფიქრე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ყვითელი პრესა იყო და მისი ხომ არავის სჯეროდა. ამან ცოტა დამამშვიდა“. სიყვარული და განშორება მისი შემდგომი ალბომის თემად იქცა, თუმცა ალბომის სარეკლამოდ დრო საერთოდ არ დარჩა და მისმა პრემიერამ საკმაოდ უფერულად ჩაიარა. ტელევიზიაში იმდენად დატვირთული იყო, რომ დრო თითქმის არაფრისთვის რჩებოდა. სკოლის გამოცდებსაც ექსტრენად აბარებდა. გამოსაშვებ საღამოზეც კი, სათანადოდ ვერ იმზიარულა, რადგან ჟურნალმა People-მ ამ ეპოქალური მოვლენის ფირზე აღსაბეჭდად ოპერატორებისა და ფოტოგრაფების ჯგუფი გაგზავნა. „მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის წევრები ძალზე ზრდილობიანად იქცეოდნენ და ცდილობდნენ, რომ შეუძნეველად ემოქმედათ, თავს მაინც უხერხულად ვგრძნობდი, – ამბობს ჰიუიტი. – ველავდი, რადგან არ მსურდა, ჩემს თანაკლასელებსა და სკოლელებს საკუთარ გამოსაშვებ საღამოზე თავი სტატისტიკების როლში ვგრძნოთ“.

სასწავლო დაწესებულებასთან განშორების შემდეგ, ჯენიფერმა თავი შოუბიზნესს მიუძღვნა. 1996 წელს იგი ჯემილი კერტისთან ერთად, გადაიღეს ფილმში – „შინაპატიმრობა“, რომლის გადაღებებსაც ჰიუიტი დღემდე დიდი სიამოვნებით იხსენებს. 1997 წელს კი, მან

მონაწილეობა მიიღო თავის პირველ კინოპიტიში – „მე ვიცი, რა ჩაიდინეთ თქვენ გასულ ზაფხულს“, რომელსაც მოკლე ხანში „ტროას ომიც“ მოჰყვა. ბოლო სუთი წლის მანძილზე კი ახალგაზრდა ვარსკვლავმა მონაწილეობა მიიღო ისეთ განმაურებულ სურათებში, როგორებიცაა: სამინელებათა ფილმის მეორე ნაწილი – „მე ჯერ კიდევ ვიცი, თუ რა ჩაიდინეთ თქვენ გასულ ზაფხულს“ (1998), ბიოგრაფიულ სატელევიზიო კინოსურათში – „ოდრი ჰეპბერნის ამბები“ (2000), კომედია – „გულთამწყრობლები“ (2001), კლასიკური ჟანრის კინოს რიმიეჟში – „ეშმაკი და დანიელ ვებსტერი“ (2002). მისი პარტნიორები იყვნენ ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავები: სიგურნი უივერი, ენტონი ჰოპკინსი და ალექ ბოლდუინი.

სხვადასხვა წლებში ჯენიფერს სასიყვარულო ურთიერთობები ჰქონდა MTV-ს წამყვანთან – კარსონ დელითან, მსახიობ – უილ ფრიდლთან და როკ-მომღერალ რიჩი კრონინთან. ამჟამად მისი ცხოვრების თანამგზავრია ტელევიზიის მსახიობი – ჯოი ლორენსი.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მას კარიერაში არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, მაგრამ ეს ასე როდია; ახალგაზრდა ვარსკვლავს არაერთი უარიც უწევნია თავისი არცთუ ისე ხანმოკლე კარიერის მანძილზე.

მან ვერ მიიღო როლები ისეთ ფილმებში, როგორიცაა: „ლოლიტა“, „რომეო+ჯულიეტა“ და სხვ.

როდესაც ჯენიფერს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ როგორ ფილმებში ისურვებდა მონაწილეობას, მან დაუფიქრებლად უპასუხა: „მე მსურს,



გადამიღონ ისეთ სურათებში, როგორშიც ჯულია რობერტსს იწვევენ. მას დიდ პატივს სცემენ, რადგან იგი საოცრად შრომისმოყვარეა და ამასთან, ძალზედ მომზიბლავიც. მისი ამპლუა – „კარგი გოგონას“ ხატებაა, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის, რომ სექსუალური იყოს – ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური კარგ გოგონებს შორის. ძალიან მინდა, რომ ჰოლივუდში ისეთივე ადგილი დავიკავო, როგორიც მას აქვს. მაგრამ სამწუხაროდ ისიც კარგად ვიცი, რომ ჩემს ასაკში „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილის“ მსგავს როლს, მე არავინ შემომთავაზებს.



ჯეონეტი ახალი ტექნოლოგიები

GEONET

➤ **შეზღვევა სეჩიონი**

- მომსახურება ინტერნეტ არხით - 1620 ლარი
- ინტერნეტი პარკის და მუშაობის: ზაქაძე - 771 772
- საერთაშორისო საზღვარ (Landed Lines)

➤ **სახეობრივი**

➤ **საბაზო-სახეობრივი**

➤ **კომპიუტერი**

➤ **მომსახურება საბაზო-სახეობრივი** - 1020 ლარი

- ახმ, ახმლ, კლავი - 0.48 ლარი

ცხელი ხაზი: 1 3
41 21 22 92 21 25

www.geonet.ge

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-51

სოფლიდან თბილისში დაბრუნებული ნინი მტკიცედ გადაწყვეტს, რომ ქშოს ცოლად არ გაჰყვება და ამიტომ, სამუშაოსთვის ისევ მეთევზე გოგიას მიადგება. მაგრამ აღმოაჩენს, რომ გოგიას მისი არყოფნის პერიოდში, ბიზნესმენი ძმა შეუამხანაგებია და მძლოლი აღარ სჭირდება. თუმცა, გოგია ნინის ბოლომდე მაინც ვერ იმეტებს და თავისი ძმის ცოლის მძლოლობას შესთავაზებს. ნინის სხვა გზა აღარ რჩება და გოგიას წინადადებას თანხმდება.

ნინიმ გოგიას ძმის სახლი ადვილად მოიპოვებინა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა. კარი უძალე გაიღო და ზღურბლზე მაღალი და წარმოსადგევი ასალგაზრდა ქალი გამოჩნდა. ქალს მარჯვენა ხელი თაბაშირში ჰქონდა ჩასმული.

„ამისთანა ქალს მაინც ისეთი რა გაუჭირდა, რომ გოგიას ლილიპუტ ძმას გაჰყა ცოლად? – გაიფიქრა ნინიმ და, რატომღაც, ქშო მინდელი გაასხენდა.

ამასობაში მიხოს ცოლმა ნინი თავიდან ფეხებამდე რამდენჯერმე ათვალიერ-ჩათვალიერა და შემდეგ ჯიქურ ჰკითხა:

- ვის ეტებ?
- მიხოს ცოლს, - მშვიდად მიუგო ნინიმ.
- მე ვარ. რა გინდა?
- გოგიამ გამოგზავნა.
- გასაგებია, - მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა მიხოს ცოლმა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: „იუგულის“ ტარება იცი?
- რაც მოძრაობს, ყველაფრის ტარება ვიცი, - დააშვიდა ნინიმ.
- კარგი, მაშინ, აი, გარაჟის გასაღები, მანქანა გამოიყვანე და წავედი.
- ჯერ ფულზე შეთანხმდეთ.
- რა ფულზე?
- როგორ ფიქრობ, უფასოდ მოგემსახურები?
- ა-ა-ა, სულ დამავიწყდა. გოგია რამდენს გაძლედა?
- ეგ მე და გოგიამ ვიცით, შენ რამდენს მომცემ?
- ასი ლარი გვეოფა?
- ვიმყოფინებ.
- მაშინ ნუღა ვიგვიანებთ, წავედით.
- სად მივდივართ?
- სასამართლოში.

ნინი სასამართლოს გარდა, ალბათ, ყველაფრის ხსენებას ელოდა, ამიტომ სახეზე აშკარა გაოცება გამოესატა:

- სასამართლოში რაღა დავგვრჩენა?
- შენ - არაფერი, მე კი პროცესებს ხშირად ვესწრები, მაგარი კაიფია! მართლა, გათხოვილი ხარ?
- არა.



რუსულან ბერიძე

ქართული ინსუიციის ახალი ჯიშისა და თვითობი

- არ გამიკვირდა, ქმარი შოფრად როგორ ამუშავეს-მეთქი?

- შოფრობა რა, „გრენაი“? - მაკას ლექსიკონი მოიშველია ნინიმ.

- არა, მაგრამ მაგრად კი ტყუავს.

- მე, ნამდვილად არ მიტყუებ.

- გეტყობა, სხვა გზა არა გაქვს. რა გქვია?

- ნინი.

- მე - ზიზი. მარტო ცხოვრობ თუ?.. - კითხვა აღარ დაამთავრა ზიზიმ და ნინის მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

ნინის უნდოდა, ეთქვა, რომ აღსარების ჩაბარება მძლოლის მოვალეობაში არ შედიოდა, მაგრამ გოგიას სიტყვები გაასხენდა და ჩათრევის ისევ ჩაყოლა აჩუგობდა:

- ახლა კი. ისე პატარა გოგონა მყავს. ერთი კვირის წინ, სოფელში ჩავიყვანე, მშობლებთან..

- ქმარი სადღაა?

- ისე შორს, რომ აქედან ნამდვილად არ ჩანს, - გაღიზიანება დაეცყო ნინის.

- გასაგებია... მშობლებმა არ იცნან, რომ ქმარი არა გყავს... - დასაკნა ზიზიმ, - ნეტავ, ერთი შენ, რას უმაღავ? რაც მალე ეტყვი, მით უკეთესი. ნუ გეშინია, გადაიტანენ.

- მართლა? ეტყობა, შენებმა უკვე გადაიტანეს...

- ცოტა ფრთხილად, თორემ შენი საქმეა დღე დაუწყებლად დასრულდება, - აბილილდა ზიზი, - და საერთოდაც, რა კუსავით მიბობღავ, ცოტა სინჯარეს ვერ მოუმატებ?

- ქლაქში ამაზე სწრაფად სიარული დაუშვებელია, - მშვიდად მიუგო ნინიმ.

- რას მეუბნები? - ლამაზი ტუჩები აშკარა ზიზლით დაბრცა ზიზიმ. - რაღაც არ გეტყობა, მხოლოდ იმას აკეთებდე, რაც დაშვებულია.

„მოთმინება, ნინი, მოთმინება!“ - გულში რამ-

დნეჯერზე შეუძახა ნინიმ საკუთარ თავს და ამასობაში რაიონული სასამართლოს შენობაც გამოჩნდა.

— ჰო, კარგი, ნუ იბერები! — უთხრა მანქანიდან გადასულმა ზიზიმ ნინის. — წამო, პროცესს შენც დაესწარი, გაერთობი.

ნინიმ ზიზის ცივი უარი სტკიცა. მანქანა ქუჩის კუთხეში, მოხერხებულ ადგილზე დააყენა და ლოდინი დაუწყო. თუმცა, ზიზი შენობაში შესული არ იყო, რომ უკანვე გამობრუნდა:

— ამასაც რომ სასამართლო ერქმევა, ისევ გადაიღო. დაზარალებული უკვე მთორედ არ გამოცხადდა.

— ეტყობა, იმდენადაა დაზარალებული, რომ სასამართლომდე ვერ აღწევს, — საქმეში „სიცხადე“ შეიტანა ნინიმ.

— იცი, რა უაზრო საქმეა? უბნის ლაწირაკებმა გაზეთების გამყიდველს ნავაჭრი წაართვეს, — სულ 15 ლარი. ეგ კიდევ ადგა და პოლიცია დააყენა თავზე. მერე ეტყობა, ბიჭების პატრონები დაემუქრნენ და ახლა შიშით პროცესზე ვეღარ ცხადდება... სულელი დედაკაცი, თუ ასე ემზინდა, საქმე სასამართლომდე რიდასთვის მიიყვანა?.. წამო, ახლა, ჩემს დაქალს შევეუაროთ, რაიმე ახალი და საინტერესო იქ მაინც გავიგოთ...

ზიზი დაქალისგან ამკარად აღვზნებული დაბრუნდა:

— იცი, რა მაგარი ამბავი გავიგე? ზვალ საოლქოში მკვლელობის საქმეს განიხილავენ, — „მანხარა“ მან ნინის.

„ერკა! — თავისთვის გაიფიქრა ნინიმ. — ეს გოგო მთლად დაწყობილი ვერ უნდა იყოს?! დროზე უნდა გავასწრო, თორემ, ნამდვილად რაღაცას გამოიტყუებს...“

— რაზე ფიქრობ? არ გესმის, რას გეუბნები? ზვალ საოლქოში ერთი მდიდარი დედაბრის მკვლელობისა და გაქურდვის საქმის მოსამენად მივიღვართ, — ჩაესმა ნინის ზიზის გაღიზიანებული ხმა...

მეორე დღით ზიზიმ ნინი ათი საათისთვის დაიბარა და თერთმეტის ნახევარზე საოლქო სასამართლოს ეზოში დაბარებულივით დაერჭო. პროცესი თერთმეტზე იწყებოდა. ენად გაკრეფილი ზიზი წამითაც კი არ ჩერდებოდა:

— მთავარია, ერთი მუდამი დაუჭირო და მერე პროცესებზე ისე ივლი, როგორც სამსახურში, — არწმუნებდა ის მისი სისულელეების მოსმენით არაქათგამოცლილ ნინის. — ჰო, მართლა, არ გითხარი, რომ ადვოკატობას ვაპირებ? მისო შემპირდა, გაისად ოურიდიულზე მოგაწყობო...

— მერე მაგდენი ფული აქვს?

— მისოს ჩემი წონა ფული აქვს!

— მაშინ მოუწყვიხარ და ეგ არის.

ამასობაში თერთმეტზე შესრულდა და ზიზის დაჟინებული თხოვნით, ნინიმ თავი სასამართლო დარბაზში ამოყო. დარბაზში შემოყვანილ განსაჯველს ნინიმ ჯერ ზურგიდან მოჰკრა

თვალი და მისი თეძოების უცნაური რჩევა მაშინვე ეცნო... „ნეტავ, ვინ არის? — გაიფიქრა მან, — ზურგიდან ზედამოჭრილი აჩიკოა...“

მსვავრდებული, მართლაც, „მირაჟის“ ოფიცინტი აჩიკო აღმოჩნდა. ნინი თვალს არ უჯერებდა: „ნეტავ, ამ ლაჩარმა, ხანდახან საკუთარი ჩრდილის დანახვაც რომ აკანკალებდა, ადამიანი როგორ მოკლა?!“ ამიტომ, როგორც კი ზიზიმ დარბაზში ადგილი შეარჩია და გულმოღებინე მოკალათდა, ნინიმ მაშინვე კითხვები დაეყარა:

— არ იცი, სად და როგორ მოკლა ის ქალი?

— ჯერ ტყვია ესროლა, შემდეგ კი ყელი გამოსჭრა, — უპასუხა ზიზიმ და კინლამ ნმამალაი სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებს? — გაუკვირდა ნინის.

— რა და... ამ საცოდავს ის დედაბერი „ეჟიდაბისას“ შემოაკვდა.

— მერე მაგისთვის ციხეში სვამენ?

— იქნებ, არც ჩაესათ, მაგრამ მერე სხლში დედაბრის უჭირფასესი ბეჭედი და ბლომდ ფულიც უბოვეს და ქურდობაშიც დაადანაშაულეს: რომ ნახა, ქალი მკვდარი იყო, დრო იხელთა და მისი ქონება ხელს გააყოლა...

— მოწმეები რაღას ამბობენ?

ზიზი ნინის გაოცებული მამაშტერდა:

— რა სისულელეს მტკითხები, მაგ საქმეზე მოწმეს ვინ ისწრებს?... თუმცა არა, ერთი მოწმე თურმე, მართლა არსებობს. ოღონდ, ის ოფიცინტს გვიან გახსენებია და მხოლოდ ლეგი უნდა დაჰკითხოვნ...

ნინი სასამართლოში პირველად იყო და თვალყურს ყველაფერს გულმოდგინედ ადევნებდა. შიგადაშიგ აჩიკოსაც გახედავდა ხოლმე. თუმცა, თავად ოფიცინტს მთელი ამ ხნის მანძილზე თავი ხელბეჭედი ჰქონდა ჩარგული და მდლა მხოლოდ მაშინდა აიხედა, როცა დარბაზში მოწმე გამოიძახეს.

„ნუცა?!“ — კინლამ ხმამალა წამოიყვირა ნინიმ, როცა დარბაზის კარი გაიღო და მოწმე შემოვიდა. იმედმოცემულმა აჩიკომ ნუცას ამკარად ვედრებით შეხედა.

ნუცამ სასამართლოს აჩიკოს სასარგებლო ჩვენება მისცა და დადასტურა, რომ დედაბერი რესტორან „მირაჟის“ მუდმივი კლიენტია იყო და აჩიკოს საკუთარ სახლშიც ხშირად ეპატიჟებოდა. რაც შეეხება ბეჭედს, ნუცამ დადასტურა, რომ ის დედაბერმა აჩიკოს, სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე, თავად აჩუქა და ფულსაც ხშირ-ხშირად ჩუქნიდაო. ერთი სიტყვით, ის, რაც ოფიცინტს დაემართა, დიდი სირცხვილი კია, მაგრამ მას დედაბერი არც მოუკლავს და არც გაუქურდავსო...

აჩიკო სასამართლო დარბაზშივე გაათავისუფლეს. ის მაშინვე ნუცასკენ გაქანდა და, გახარებული, ლამის კისერზე ჩამოეკიდა. ნუცაც გახარებული და კმაყოფილი ჩანდა. ნუცა კი არა, ნინიმაც კი, რომელსაც აჩიკო, თვალის დასანახავად სძულდა, ამკარად შევებით ამოისუნთქა.

ერთადერთი ადამიანი, ვინც სასამართლოს იმდღევანდელი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ღარჩა, ზიზი იყო.

— არა, ჩემმა გულმა ვერა და ვერ გაიხარა. რა მოხდებოდა, მართლა მკვლელობა ყოფილიყო, მეტი სისხლი, მეტი ვერავობა... — აწუწუნდა იგი. — წამო, წამო, დროზე წავიდეო აქედან...

— ჩაღი და მეც ახლავე ჩამოვალ. დარბაზში ჩემი თანასოფელი ქალი დავინახე და მინდა, დედამჩემთან რაღაც დავაბარო, — იცრუა ნინიმ.

— კარგი, მანქანაში ვიქნები, ოღონდ დიდხანს არ მალოდინო, — უთხრა ნინის ზიზიმ და მანქანის გასაღები გამოართვა.

როგორც კი ზიზი დარბაზიდან გავიდა და აჩიკოც სადღაც გაქრა, ნინი მისკენ ზურგით მდგარ ნუცას მოუხანოვდა და მხარზე ხელი ნახად შეახო. ნუცა მაშინვე შემობრუნდა:

— ნინი? შეუენ? — თვალს არ დაუჯერა ნუცამ. — კი მაგრამ, აქ რას აკეთებ?

— მეგობარს მოყვები. თურიდიულზე აპირებს ჩაბარებას და სასამართლო პროცესებს ესწრება ხოლმე, — იცრუა ნინიმ.

— შენ? შენ რაღას აკეთებ? ვერე უკვალოდ გაქრობა შეიძლებოდა? ბიძამენი კინლამ შენს ღარდს გადაჰყვანა... სადა ხარ? ვისთან ცხოვრობ?

— ქმარ-შვილთან, — ისევ იცრუა ნინიმ.

— გათხოვიდი? ვინ არის შენი ქმარი? ბიჭი გყავს თუ გოგო? — კითხვა კითხვებზე დაეყარა გახარებულმა ნუცამ.

— ქმარი რეჟისორია, ტელესტუდიაში მუშაობს. ჩემს გოგონას კი ნიტა ჰქვია. ახლა მშობლებთან მყავს, სოფელში. ექიმმა მირჩია, ჰერზე გაიყვანეო და...

— რომ იცოდე, ბიძამენი როგორ გაიხარებს... ისე, მაგარი უგულო ვინმე კი ყოფილხარ, ერთხელ მაინც როგორ არ შეუარე?... ახლა მაინც ინახულებ, ბოლო ხანებში სულ ავადმყოფობს...

— რა აწუხებს? — შეწუნდა ნინი.

— ხან რა და ხან — რა... სიბერეში მართლობა ძალიან ძნელია...

— ესე იგი, შენ და შალვა ბიძიამ... — სათქმელი ვეღარ დაასრულა ნინიმ.

— მე მათეს გავყვები. პატარა ქორწილიც გადავიხადეთ. ბიძამენი დავაპატიყეთ, მაგრამ არ მოვიდა... — სევდიანად ჩაილაპარაკა ნუცამ.

ნინი ნუცას მტკიცედ შეჰპირდა, ერთხელ რესტორანში შემოვიბრუნე და ყველას ერთად გინახულებთო; შემდეგ, მეგობარი მანქანაში მულოდებო, მოიმიზეხა, სასწრაფოდ დაემშვიდობა და კიბეზე გულდამძიმებული დაეშვა.

ნინი სოფელში კვირამი ერთხელ მაინც რეკავდა და ნიტას ამბავს დაწვრილებით იგებდა. დედა ამშვიდებდა: ნიტა კარგადაა, იზრდება და ლამაზდებაო. ნინი კითხვას ათასნაირად უბრუნებდა, რადგან ჯოტუტად ეჩვენებოდა, რომ

ღელა რაღაცას უმაღავდა. ამიტომ, ყოველი ღარეკვის წინ, სანამ ღელის ხმას გაიგონებდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა ხოლმე — ახლა მეტყვის, ნიჭა ავად გახდა, ან საიდანმე ჩამოვარდა და დაიშვრა, ანდა მეზობლის ძაღლმა უკბინია... მაგრამ ღელა კვლავაც კარგ ამბებს ატყობინებდა...

ერთ ღელსაც, როცა ნინის თითქმის არანაირი ცული წინათგონობა აღარ ჰქონდა, ყურმილში ღელის შემოთოთებელი ხმა გაიგონა.

— ღელა, რა მოხდა? ნიჭას ხომ არაფერი დაემართა? — ჰკითხა შეშინებულმა ნინიმ.

ღელამ ნელ-ნელა ხმას დაუწია და ბოლოს, საერთოდ ჩურჩულზე გადავიდა:

— ნინი, შვილო, დავიღუპეთ...

— რა მოხდა? ნიჭა ცოცხალია? — უკივლა ნინიმ.

— კი, შვილო, დამშვიდდი, ნიჭას არა უშავს, მაგრამ მე და მამაშენი კი ნამდვილად დავიღუპეთ...

— აღარ მეტყვი, რა მოხდა? — მოთმინების ძაფი გაუწვდა ნინის.

— რა და... საქონელს თურქული დაერია და სულ ერთიანად გაგვიწვდა, მამაშენი გიყს ჰგავს, ბანკიდან სესხი ჰქონდა აღებული, ხორცი უნდა ჩაებარებინა და იმით გაესტუმრებინა. რაღას გაისტუმრებს, როცა წამლად ერთი ხბოც კი აღარ დაგვრჩა...

— აბა, რა უნდა ქათი? — დაიბნა ნინი.

— არ ვიცი, შვილო, არ ვიცი... ჩემთვის აღრე არ გაუქმნელია, ბანკში „ზალოგში“ სახლი ჰქონდა ჩადებული, თუ ერთ თვეში ფული ვერ დაგვბრუნეთ, შეიძლება, სახლიც დაგკარგოთ...

— რამდენი გაქვთ დასაბრუნებელი? — როგორც იქნა, გონს მოეგო ნინი.

— ორი ათას სუთასი ლარი. ნინი, შვილო, იქნებ, შენს ქმარს სთხოვო, დაგვეხმაროს. ნუ გეშინია, როგორც კი ფეხზე დადგებით, მამინევე დაუბრუნებთ, — შეეხვეწა ღელა.

— ნუ ნერვიულობთ, თვის ბოლომდე მე ფულს ნამდვილად გამოგიზავნით.

— შენი იმედი მექნება, შვილო, მამაშენსაც ცოტა დავამშვიდებ, თორემ მეშინია, გული არ გაუსკდეს...

ნინის ღელის სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმოდა, რადგან უკვე იმაზე ფიქრობდა, აძლენი ფული სად უნდა ეშოვა. იმ სუთასი ლარიდან, რომელიც მამამ მისცა, ორასი ისევ უკან, სოფელში გააგზავნა და ღელა-ღელაზე კიდევ ასი ლარის გაგზავნას აპირებდა. ეს იყო და ეს...

— კარგი, ღელა, — ფულს აუცილებლად გამოგიზავნით, ახლა წავედი, გადაღებზე მაგვიანდება! — ჩასაძანა ნინიმ ყურმილში, შემდეგ ღელას სასწრაფოდ გამოემშვიდობა და ტელეფონის კაბინიდან ჩაფიქრებული გამოვიდა. „ახლა რაღა ვქნა? ვის მივადგე? აძლენი ფულს ვინ მომცემს?“ — ჰკითხა მან საკუთარ თავს და მამინევე ტყვიანარაფით შეღვა: „ვიცი, ფულს ვინც მომცემს! ქიშკი! ქიშკისთან უნდა მივიღო!“

ქიშკი მინდლის პირადმა მდივანმა კარგად იცოდა, რომ ის ნინის მიმართ გულგრილი არ იყო, ამიტომ მისაღებში ნინის გამოჩენისთანავე ღირეკტორის კარი უკითხავად შეუღო და მოასხენა:

— თქვენთან ნინი გრძელიშვილია მოსული.

— შემოვიდეს, — მოისმა ოთახის სიღრმიდან ქიშკის მშვიდი ხმა.

ნინი კაბინეტში შევიდა. მის დანახვაზე ქიშკი ფეხზე შეწუხებული წამოდგა:

— რა მოხდა, ნინი? ხომ მშვილობაა?

— დახს... თუმცა, არა... მინდოდა მეთქვა, რომ... — სათქმელს თავი ვეღარ მოუყარა ნინიმ.

დაბრძანდით, დამშვიდდით და მერე მითხარით, რა მოხდა... — სკამზე მიუთითა ქიშკიმ.

— არა, არა, დასავლეთად ნამდვილად არა მცალკა!

ნინი მიხვდა, რომ საკმარისი იყო, ოდნავ დამშვიდებულიყო და, რაც მთავარია, გონს მოსულიყო, რომ ქიშკის საერთოდ ვეღარაფერს ეტყოდა, ამიტომ ისევ ჯოუტად იდგა:

— ბატონო ქიშკი, თანახმა ვარ... ცოლად გამოგყვებით... — ძლივს ამოღერდა მან ბოლოს.

— ნინი, მითხარით, რა მოხდა? — ისევ მშვიდად ჰკითხა ბატონმა ქიშკიმ. — რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვათ?

— დახს... შემემთხვა...

— კარგი, კარგი, დაბრძანდით და ისე მიახმეთ ყველაფერი.

ნინი სკამზე მოწვევით დაეშვა:

— ჩემს მშობლებს მთელი საქონელი გაუწყდათ და ბანკის ვალი დაველო...

— გასაგება, — მშვიდად ჩაილაპარაკა ქიშკიმ — მე დაგეხმარებით. ოღონდ, ახლა ოდნავ დამშვიდდით და სული მოითქვით.

თაფაქინდროლმა ნინიმ თავის კეთილისმყოფელს ქვეშ-ქვეშ გახედა: ქიშკის თითქმის არაფრისმოქმელი გამომეტყველება ჰქონდა:

— თქვენს გადაწყვეტილებას რაც შეეხება, დედაჩემს ჯერ ამის შესახებ ნურაფერს შეატყობინებთ... მერე, ცოტა მოგვიანებით, ყველაფერს მე თვითონ ვეტყვი...

ნინი წამოდგა, ქიშკის თავი უხმოდ დაუკრა და კაბინეტიდან ლასლასით გავიდა. ახლა მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, რადგან საბოლოოდ მიხვდა, რომ ამ კაცს, რომელმაც წუთის წინ მისი და მისი მშობლების მომავლის ყოველგვარ გადაწყვეტა, ვერასოდეს შეიყვარებდა.

ქიშკისგან წამოსულმა ნინიმ გზად მარის შეუარა. მის დანახვაზე მარიმაც შეიცხადა:

— ნინი, რას ჰგავხარ? რა ფერი გადევს? რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა?

— მოხდა და, თანაც, არაერთი... — ამოიგნენსა ნინიმ და დაქალს ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ეჰ, ძვირფასი სამკაულები მაინც მქონდეს, ან რაიმე სხვა ნივთი?! — ინატრა მარიმ, — გავვიდდი და ქიშკისგან ნამდვილად დავიხს-

ნიდი... თუმცა, იცი, რას გეტყვი?..

— რას? — წყალწაღებულებით ზავს ჩაუჭიდა ნინი.

— რას და... რადგან ყველაფერი ასე აეწყო, იქნებ, ეს კაცი მართლა შენი ბუდია? ბოლოს და ბოლოს, ქიშკი მინდელი არც ისე ცუდი ადამიანია...

ნინი მარის თვალს არ ამორებდა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ მისი ფიქრები სულ სხვაგან ქოლდა.

— ნინი, რატომ არ მისმენ? მითხარი, რა ჩაიფიქრე? — შეშფოთდა მარი.

— შენს დას შეუძლია გამიგოს, სად არის ახლა გოგი გორგილაძე?

— ვი-ი-ი? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა მარის.

— ტელეფონი მაინც არ ეცოდინება?

— არ მეტყვი, რაში გჭირდება?

— ფული უნდა ვთხოვო.

— ორი ათას სუთასი ლარი! ნინი, შენ რა, გაგიჟდი?

— მისთვის ხომ ორი ათას სუთასი ლარი იფიქრა, რაც ჩვენთვის ორიათას სუთასი თეთრი... არა, ბევრად უფრო ნაკლები... — ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა ნინიმ.

— ნინი, გონს მოდი! გოგი გორგილაძე ბოლომდე არც კი მოგიმტყნა, გარეთ ისე გამოვიძახებ!

— შეიძლება! მაგრამ მაინც უნდა ვცადო.

— რას ეტყვი, აძლენი ფული რად მინდა?

— სიმართლეს ვეტყვი... ქიშკის ამბავსაც მოუყვებო...

— ქიშკი რაღა შუამა?

— შუაში კი არა — თავშია! — იკივლა ნინიმ. — მე მაგ კაცს ცოლად ვერასოდეს გაგყვები. საკმარისია, ხელი დამკაროს, რომ მამინევე მოგკვდები, გესმის?..

— კარგი, კარგი, დაწმარდი. ახლავე დაკურეკავ ანის და ყველაფერს კითხავ, — მარიმ ტელეფონის ყურმილი აიღო და ანის ნომერი აკრება.

ანიმ ყურმილი ძაღვევ აიღო და მარიმ მას ნინის თხოვნა გადასცა. ანი შეჰპირდა, საღამოს შემოვიდოდა და ყველაფერს გეტყვით და ყურმილი დაუკიდა.

საღამოს ანიმ მარისთან მართლა შეიბრინა და ნინის ამომწურავი ინფორმაციაც მიწოდდა: გოგი გორგილაძე ახალ ტელევიზორს „სიყვარულის ჯუნგლებში“ იღებს, დღისით ტელესტუდიაშია, საღამოებს კი, ძირითადად, საკუთარ სასტუმროში ატარებს.

— ძალიან კარგი. სასტუმროში მივალ და იქ ვხანავ, — იმედიანად დაასკვნა ნინიმ.

— გეტყობა, ჩვენთან კარგა ხანია, აღარ ყოფილხარ? იცი, რომ სასტუმრო „კინოს“ კარში ახლა შეიარაღებული დაცვა დგას და საგანგებო საშვის გარეშე აღარავის უშვებენ? — ცივი წყალი გადაასხა ნინის ანიმ.

— აბა, როგორ მოვიქცე? — დაიბნა ნინი.

— გორგილაძის პირადი მდივნის ნომერს მოგცემ, დაურეკე და შეხვედრაზე წინასწარ

შეუთანხმდი.

— ძალიან კარგი, მომეცი ნომერი...
ანიმ ნინის ნომერი ჩააწერინა და თან „დამოძღვრა“ დაუწყო:

— მაგ კაცთან შეხვედრას ნამდვილად არ გირჩევ. იცი, რა საშინელი „ბაბნიკია“?

— ვიცი, — მოუჭრა ნინიმ.

— იცი და მის ნახვას მაინც არ იშლი?

— გაუკვირდა ანის.

— სხვა გზა არა მაქვს. მე ეგ კაცი ახლა ძალიან მჭირდება.

— რისთვის?

— მჭირდება და მორჩა!

— შენი საქმისა შენ იცი... — უთხრა ბოლოს ანიმ და ახლა მარის მიუბრუნდა: ეგ ბებრუსანა შენც ხომ არ შეგიფვარდა?

— მე-უე? ეგ რამ გაფიქრებინა?! — შეიცხადა მარამ.

— მაგლობა ღმერთს! — შეებით ამოიხუნთა ანიმ და წასასვლელად მოემზადა...

მეორე დღით ნინი ზიზისთან დანიშნულ დროს გამოცხადდა და ორი დღით გათავისუფლება სთხოვა.

— რა მოხდა? სად მდიხარ? — დაინტერესდა ზიზი.

— არსად. უბრალოდ, ჩემს საქმეებს უნდა მივხედო.

— რას მუუბნები? ასეთი, მაინც, რა საქმეები გამოგიჩნდა?

— გამომიჩნდა, — ხმაში ბრაზი შეეპარა ნინის.

— წადი, წადი... ოღონდ, იცოდე, ორ დღეს, გადაცდილებ, თვალით აღარ დამენახვი! — დაეშუქრა ზიზი.

— კარგი, არ დაგენახვები...

ზიზისგან წამოსულმა ნინიმ პირდაპირ სასტუმრო „კინოში“ წასვლა გადაწყვიტა: მართალია, ბატონი გოგი სადამომდე არ მოვა, მაგრამ, მანამდე იქაურობას დავზვერავ, იქნებ, შემთხვევით, დეიდა მარი ან სულაც გოგა შემხვდეს და სასტუმროში საშვის გარეშე შემეფანჯონო... მაგრამ ნინის აზგერად ნამდვილად არ გაუმართლა: „კინოს“ ეზოში არავინ ჩანდა, შესასვლელში კი ორმეტრიანი ახმაზი იდგა და დიდს და პატარას მოსვლის მიზეზს გულმოღვინედ ეკითხებოდა. ნინიმ პირდაპირ მისკენ გასწია და წაშში შეთხზული „ღვეენ-და“ ერთი ამოსუნთქვით ჩაურაკრაკა: მე უურნალო „კინოანონსის“ კორესპონდენტი ვარ, რედაქციამ ბატონ გოგი გორგილაძესთან ინტერვიუს აღება დამავალა, სასწრაფოდ მინდა მასთან შეხვედრა და იქნებ, გამატარიოთ.

— აგერ ტელეფონი, დაურეკე მის პირად მდივანს და ყველაფერი იმას შეუთანხმე, — სახეზე ერთი ნაკვიც კი არ შერხვია ახმაზს.

გაწილებული ნინი ახმაზის გვერდით, მაგობაზე მდგარ ტელეფონის ყურმილს დასწვდა და გოგი გორგილაძის პირადი მდივანის ნომერი ნერვიულად აკრიბა. მდივანმა ნინის



შვიდად მოუსმინა და ბოლოს უთხრა:

— ყველაფერს ბატონ გოგის გადავცემ... ჰო, მართლა, თქვენი გვარი ჩამაწერინეთ...

— გვარი? — დაიბნა ნინი.

— დახ, გვარი და სახელი აუცილებლად უნდა ვიცოდეთ.

— მე... მე თამარ რჩეულიშვილი ვახლავართ...

— ძალიან კარგი, ქალბატონო თამარ, ბატონ გოგის თქვენს თხოვნას დღევანდელად გადავცემ და სვალ, ასე, თერთმეტი საათისთვის პასუხიც მეცოდინება. ჩამაწერინეთ თქვენი რედაქციის ტელეფონის ნომერი და თავად დაგირეკავთ.

— არა, არა, — შეიცხადა ნინიმ, — საქმე ისაა, რომ სვალ მე მთელი დღე ქალაქში ვიქნები გასული, იქნებ, ისევ თავად დამერეკა და ისე მოვსულიყავი?

— კარგი, დარეკეთ, — უთხრა მდივანმა, — ოღონდ, თუ ბატონი გოგი ინტერვიუზე დაგთანხმდათ, პირადობის მოწმობის წამოღებაც არ დაგავიწყდეთ.

ნინიმ ყურმილი დაკიდა და ერთ წერტილს მიაშტურდა.

— რა იყო, უარი გითხრა? — ჰკითხა მას ახმაზმა.

— არა. სვალ სადამოსთვის დამიბარა, — უთხრა ნინიმ და ჩაფიქრდა: დაბარებით კი დამიბარა, მაგრამ პირადობის მოწმობა სად ეშმაკიდან უნდა „გამოვადნო“?

— გაგმართლებია. იცი, შენამდე უარით რამდენი გაისტუმრა? — ამკარად ლაქლქის ხასიათზე დადგა ახმაზი.

მაგრამ ნინის მისი სიტყვები ნამდვილად აღარ ესმოდა: „კარგი, ვიქნათ, ბატონი გოგი ჩემს ანკეს წამოგო და ინტერვიუზე მართლა დამთანხმდა. როგორც კი დამიანახვს, ხომ

ყველაფერს მიხვდება? — მიხვდება და მიხვდეს! მაშინვე ფულს მოვთხოვ, თუ უარს მეტყვის, დავემუქრები: ყველას მოუწყვები, როგორც გამოუპატიურე-მეთქი! თუ მოწმობს მოთხოვს, მარგალიტისმდივან თვოს გავახსენებ...“

მეორე დღით, ნინი მაკას სახლიდან საკმაოდ მოშორებით მდგარ ტელეფონის ჯინსურში განმარტოვდა და გოგი გორგილაძის პირადი მდივანის ტელეფონის ნომერი ხელის კანკალით აკრიბა. მდივანმა, პირველივე ზარს ჩასაფრებელივით უპასუხა:

— დახ, დახ, ქალბატონო თამარ... ბატონმა გოგომ ინტერვიუსთვის ათი წუთი დავითმოთ. სადამოს ექსისთვის სასტუმრო „კინოში“ დაგელოდებათ. დაცვასთან, თქვენს სახელზე საშესაყ დავეშვებით...

ნინიმ მდივან ქალს მაგლობა გადაუხადა და ყურმილი დაკიდა:

— „ახლა რაღა ვქნა?.. — ჩაეკითხა საკუთარ თავს. — იქნებ, მდივანს ხე-

ლახლა დავერეკო, ჩემი ნამდვილი გვარი და სახელი ვუთხრა და ისიც ავეხსნა, რომ ბატონ გოგისთან პირად საქმეზე მინდა შეხვედრა... მაგრამ, მდივანი რომც დავითანხმო, ამ საქმიდან მაინც არავფერი გამოვა. როგორც კი გოგი გორგილაძე ჩემს გვარს და სახელს გაიგონებს, მაშინვე დაცვას უბრძანებს, რომ სასტუმროდან კინისკვრით გამომაგონ...“

არა, არა, სხვა რამე უნდა მოვიფიქრო... სადამოს მივალ და იმ ახმაზს თამარ რჩეულიშვილის გვარით წარვუდგები. პირადობის მოწმობას თუ მომიხოსვს, ვეტყვი, რედაქციაში დამრჩა-მეთქი. იქნებ, საშვის გარეშე შემეშვას?

სადამოს ნინიმ სასტუმრო „კინოსკენ“ ერთადერთი მტკიცე გადაწყვეტილებით გასწია: „ბატონ გოგის სრულ სიმართლეს მოუწყვები, ფულს ვიხსოვ და მტკიცედ შეგპირდები, რომ უკან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ უკლებლივ დაგიბრუნებ-მეთქი“.

„კინოს“ შესასვლელში ისევ ის ახმაზი იდგა. ნინის სიხარულით გული შეუხვტა, მაგრამ ახმაზს მის თხოვნაზე წარბიც არ შეუხრია. მაშინ ნინიმ ახალ ხრიკს მიმართა და ახმაზს ბატონ გოგისთან დარეკვა სთხოვა: თავად მას ჰკითხეთ და დაგიდასტურებთ, რომ ნამდვილად მგლოდებო. ახმაზს, ეტყობა, ნინის ხვეწნამ გული მოუღბო და გოგი გორგილაძის ნომერში მართლა დაურეკა და ორ წუთში ნინის მისი პასუხიც სიტყვასიტყვით გადასცა:

— ბატონმა გოგომ მითხრა, რომ ვიდაც ყურნალისტს ჩემთან შეხვედრა ნამდვილად უნდოდა, მაგრამ პირადად მე, არც უურნალო „კინოანონსზე“ მსმენია რამე და არც მის თანამშრომელ თამარ რჩეულიშვილზე, ამიტომ, საბუთის გარეშე ჩემთან არავინ შემოუვფაო.

გაგრძელება იქნება

ცდაუმიტოვებელი ჭტლითილრი მაინც თცნებთმს ჩემპიტნის ციფრულის დამ- ბუნებამაგ

ბოლო დროს, არცთუ ისე დამაჯერებლად ასპარეზობს 40 წლის სუპერმძიმეწონოსანი ევანდერ ჰოლიფილდი, რომელმაც ექვსი ორთაბრძოლიდან, მხოლოდ ორში შეძლო გამარჯვების მიღწევა. ცოტა ხნის წინ კი, ჰოლიფილდმა IBF ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის მატჩი 32 წლის კრის ბერლთან დათმო. ბერლს 12-რაუნდიანი ორთაბრძოლის შემდეგ გამარჯვება მსაჯთა გადაწყვეტილებით მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ კრის ბერლმა მეტოქის მისამართით 747 დარტყმა განახორციელა, მათ შორის – 252 ზუსტად. ჰოლიფილდის მიერ განხორციელებული 344 დარტყმიდან კი, მხოლოდ 102-მა მიაღწია მიზანს. მიუხედავად ამისა, ამ მატჩისათვის ჰონორარის სახით, ევანდერმა 5 მილიონი დოლარი მიიღო, ხოლო კრისს მხოლოდ 2,15 მილიონი გადაეცა (ეს მის სპორტულ კარიერაში ყველაზე დიდი ჰონორარი იყო). „ის განუწყვეტლივ მიტევდა და კონცენტრირების საშუალებას არ მძლევედა. მეშივე რაუნდის შემდეგ, მარცხენა მხარი ამტკივდა და ამის გამო, მარცხნიდან ვეღარ ვუტევედი, მე ხომ ძალიან მიყვარს მარცხენა ჰუკის ხმარება. ამიტომ საჭირო გახდა, რომ ორთაბრძოლის ტაქტიკა შემეცვალა და მხოლოდ მარჯვნიდან და შემეტა“, – განაცხადა ორთაბრძოლის შემდეგ ევანდერ ჰოლიფილდმა, რომელსაც მარცხენა მხარზე მიღებული ტრავმის გამო, შესაძლოა, ოპერაციის გაკეთება დასჭირდეს. მოკრივის მენეჯერის, ჯიმ ტომასის თქმით კი, ტრავმა მარცხენა მხარზე ევანდერს ჯერ კიდევ 1994 წელს, მაკლ მურერთან შეხვედრისას მიუღია და მას შემდეგ ქრონიკული ტკივილი აწუხებს. „როგორც ჩანს, მარცხენა მხარი ჰოლიფილდს მომავალშიც შეაწუხებს, – განაცხადა ტომასმა, – ასეთ შემთხვევაში იგი რინგზე გამოსვლას ვეღარ შეძლებს და მას დიდი სპორტიდან წასვლა მოუწევს“.

მიუხედავად ამისა, ევანდერი მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი. იგი დიდი სპორტიდან წასვლას არ აპირებს და იმედი აქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც დაიბრუნებს.

კალაძე თბილისში სატრენინგო აკადემიის გახსნას აპირებს



Sporting Life-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მილანისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი, კახა კალაძე თბილისში მოზარდთა საფეხბურთო აკადემიის გახსნას აპირებს. კახას აზრით, საქართველოში ამჟამად მოქმედი საბავშვო-საფეხბურთო სკოლების დონე არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. „მე მართლაც მსურს საფეხბურთო სკოლის გახსნა, – ამბობს კახა კალაძე, – რამდენიმე პარტნიორს საქართველოში უკვე შევხვდი და ისინი ამჟამად სკოლისათვის ტერიტორიას ეძებენ. მსურს, რომ იგი საუკეთესო იყოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში. საქართველოში ბევრი ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ მათ ყოველთვის უქმნის პრობლემას ცუდი პირობები და მოედნების არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობა“.

სანაკრებო და საკლუბო ბიჭინგები 2002 წლის მიწურულს

17 დეკემბერს ფიფამ თავისი წევრი ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების ტრადიციული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის პირველი ათეულიც ასე გამოიყურება (ფრჩხილებში მითითებულია ადგილები, რომლებზეც გუნდები რეიტინგის წინა გამოქვეყნებისას იმყოფებოდნენ):

1. (1) ბრაზილია
2. (2) საფრანგეთი
3. (3) ესპანეთი
4. (4) გერმანია
5. (5) არგენტინა
6. (10) ჰოლანდია
7. (6) ინგლისი
8. (7) მექსიკა
9. (8) თურქეთი
10. (9) აშშ

რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, პირველ ათეულში ვერ მოხვდნენ ისეთი წამყვანი ევროპული საფეხბურთო ქვეყნების ნაკრები გუნდები, როგორებიც არიან: იტალია (იმყოფება მე-13 ადგილზე) და პორტუგალია (მე-11 ადგილზე). რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, იგი რეიტინგში 90-ე ადგილზე იმყოფება.

გამოქვეყნდა საკლუბო რეიტინგებიც. კერძოდ, CNN/ Sport Illustrated World Soccer-ისა და ESPN-ის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგ-გერსიები შემდეგნაირად გამოიყურება:



CNN/Sports-ის ვერსია:

1. (2) „მილანი“
2. (4) „მანჩესტერ იუნაიტედი“
3. (3) „ინტერ“
4. (1) „რეალი“
5. (6) „ვალენსია“

ESPN-ის ვერსია:

1. (1) „მილანი“
2. (2) „არსენალი“
3. (4) „ვალენსია“
4. (6) „ინტერ“
5. (5) „მანჩესტერ იუნაიტედი“

ბატო შუმასხტი უწესტ მბღთლი ყთფილა



მომავალში რაღვ შუმასხერს შეიღლება, მხოლოდ „ფორ-მულა-1“-ის ბოლიდის საჯესთან ღაჯღომის უფლებღა მის-ცუნ. საქმე ის არის, რომ BMW-Williams-ის პილოტი მეტის-მეტად უწესო მბღთლი ყოფიღა ღა თურმე იგი რეგულარუ-ღად არღვევს ავტოსაგზაო მოძრაობის წესებს. ამას წინათ, შუმასხერი-უმცროსი ავსტრიის საგზაო პოლიციამ სიჩქარის გადჯარბებისთვის ღააკავა, რის შედევადც „ფორმულა-1“-ის მბღთლეღი შეიღლება მართვის უფლების გარეშეც ღარჩეს. აღბათ მკითხველისათვის ძნელი წარმოსადგენი არ იქნება ის, თუ რა სისწრაფით მიქროღა რაღვე ტრასაზე, საღაც მს-ოლოდ 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობა ნებაღართული. სხვათა შორის, BMW-Williams-ის პილოტს 2002 წლის აპრილში საგზაო მოძრაობის წესების იმავე ღარღვევისათვის ორი კვირით ჩამოართვეს მართვის უფლება. გარღა ამისა, 26 წლის რაღვ შუმასხერი 2001 წლის 30 ნოემბერს თავისი BMW-თი

კოლინის მისაღვომებთან საგზაო საცობის გამო გაჩერებულ ერთ-ერთ ავტომობილს შეეგახა, რამაც „ვაჯვეური რუქცია“ გამოიწვია ღა სამი მანქანა ღაახინანა, ერთ-ერთმა მბღთლმა კი, ტრავმა მიღიღ. როგორც მაშინ საგზაო პოლიციამ ღაადგინა, რაღვ შუმასხერს სველ ტრასაზე, ნისლიან ამინდში გადუჯარბება სიჩქარისათვის. ამ ღარღვევისთვის შუმასხერ-უმცროსს ჯარიმის სახით 10 ათასი ევრო გადახღვეინეს.

იგლოსიასის თვანემს კუბნიკთვას სახელის გაგთნემაც კი აბ სუბთ

უკვე ღიღი ხანია, რაც ანა კურნიკოვა ყველაზე სექსუალურ გოგონად არის აღიარებული არა მარტო ჩოგბურთელთა შორის, არამედ საერთოდ, სპორტულ სამყაროში. რუსი ღამაზმანის თაყვანისმცემლებისათვის აღარც ის არის სიახლე, რომ მას რომანი აქვს გაბმული ცნობილ პოპ-მოდერალ ენრიკე იგლესიასთან ღა ბენდიერ ვარსკვლავურ წვეილს ხშირად ერთად აფიქსირებენ ფოტოკორესპონდენტები თუ ოპერატორები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. აი, თავად იგლესიასის ფანები კი, რატომღაც ვერ იტანენ ანას ღა ყოველნაირად ცდილობენ, რომ ჩოგბურთელს სახელი



გაუტყვონ. ამას წინათ, ენრიკეს ოფიციალურ საიტზე, მომღერლის თაყვანისმცემლებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა უმსგავსოდ იქცეოღა კურნიკოვა მაიამიში გამართულ იგლესიასის კონცერტზე. როგორც ისინი ირწმუნებან, ჩოგბურთის სექს-სიმბოლო კონცერტზე ისეთი მივრალი მისულა, რომ საერთოდ ვეღარ აკონტროლებღა თავს. ანა თითქმის მთელი კონცერტის განმავლობაში იატაკზე ყოფიღა მოკალათებული ღა ბოლოს, რის ვაი-ვალანით წამომღვარა ფეხზე. ესპანელი პოპ-ვარსკვლავის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი კი, იმის მოწმეც გამხღარა, თუ როგორ იღებღა კურნიკოვა იატაკზე ღაყრიღ ნაგავს ღა სცენაზე ენრიკეს მიმართულებით ისროღა.

ცერტზე გამოჩენის შემდეგ, ანა კურნიკოვამ ღელდინში, მოღის საერთაშორისო ჩვენებაში მიღიღ მონაწილეობა ღა თავისი ბიი-ფრენდის თაყვანისმცემელთა გულის გასახეთქად, მთელი ბრწყინალებით წარღვა პოდიუმზე. აღნიშნული ჩვენება საქველმოქმეღ იყო ღა 1986 წელს მომხღარი, ჩერნობილის ტრავგიდის შედევად ღაზარალეული ბავშვების ღახმარებას ისახავღა მიხნად. ჩვენების თვითმხილველთა თქმით, რუს ღამაზმანს ისეთი პროფესიონალი მოღღებეც კი ღაუჩრდიღავს, როგორებიც სოფი ღალი, ვოღი კიღი ღა ტაირა ბენქსი არიან, რომ აღარაფერი ვთქვათ „მოყვარულ“ სერენა ღა ვინუს უიღამსებზე, რომლებსაც ასევე მოღი-ათ საქველმოქმეღ ფეშენში მონაწილეობა. ანას, Escada-ს ფირმის

თვითი ღა იმღენად გრძელი კაბა ემოსა, რომ ერთ მომენტში, ძლივს გადაურჩა წაქცევას, თუმცა ამ კურიოზული შემთხვევის გამო სულაც არ ღახნეულა, კაბის ბოლო ხელით აუწვეღა ღა ისე გაუგრძელებღა სვლა. ჩვენების შემდეგ, მოღღელმა სოფი ღალმა აღიარა, რომ პრესტიჟული ჟურნალების ყდებზე ანა კურნიკოვას ფოტოების მოხვეღრის გამო მოღის სამყაროში ძალიან ბევრი ღიზიანღება. თუმცა თავად მას რუსი ჩოგბურთელის წარმატება ღა პოპულარობა სულაც არ შურს. „მე არ ვღიზიანღებ, როღესაც ჟურნალის ყდებზე ჩოგბურთელის ფოტოებს ვხეღავ. მართალია, მე თვითონ ჩოგბურთის არ ვთამაშობ, მაგრამ თუ ვინმეს რაიმე კარგად გამოსღის, რატომ არ უნღა აკეთოს?“ – განაცხადა მან.



მისაელ შუმასხტი ყულაგე ბუიბად ღიბემღული გუბმანელი სპთფსმენია

„ფორმულა-1“-ის რბოლების მსოფლიო ჩემპიონი, Ferrari-ს სუპერპილოტი, მისაელ შუმასხერი, 2002 წლის მონაცემების თანახმად, ყველაზე ძვირად ღირებულ გერმანელ სპორტსმენად ღასახელღა. „წითელი ბარონის“ შემოსავალმა 2002 წელს 50 მილიონი ევრო შეადგინა ღა მან ყველა სხვა მაღალანაზღაურებულ გერმანელ სპორტსმენს საგრძნობლად გაუსწრო. 2002 წელს, მღიღარი გერმანელი ავტობილოტების, ჩოგბურთელებისა ღა ფეხბურთელების კომპანია, NBA-ს კლუბ „ღალას მავერიკის“ მოთამაშე ღირკ ნოვიციკი მიემატა, რომელმაც 2001 წელთან შეღარებით საგრძნობლად გაიუმჯობესა თავისი მატერიალური მღვომარეობა ღა წელს 14,5 მილიონი ევრო გამოიმუშავა. ამ მონაცემით კალათბურთელმა ღევენღარულ ბორის ბეკერსა ღა გერმანიის ყველაზე მღიღარ ფეხბურთელს – მიუნხენის „ბაიერის“ მეკარეს, ოლივერ კანსაც აჯობა. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს მისაელ შუმასხერის შემოსავალმა „მხოლოდ“ 40 მილიონი ევრო შეადგინა, თუმცა იგი მაინც ღიღერობღა წლის ყველაზე მღიღარ სპორტსმენებს შორის. მეორე ადგილზე კი, 12 მილიონით, მისი ძმა – BMW Williams-ის პილოტი რაღვ შუმასხერი იმყოფებღა. რაც შეეხება ღირკ ნოვიციკის, მისი შარშანღელი შემოსავალი საგრძნობლად ნაკლები იყო წლევენღელთან შეღარებით – მაშინ „ღალას მავერიკის“ ღეგიონერმა სულ 4 მილიონი ევრო მიღიღ. აქვე იმასაც გაცენობებთ, რომ ამას წინათ, მისაელ შუმასხერმა შეინვეის ტბასთან ახლოს 10,28 მილიონ ღოღარად ღირებული ვიღა შეიღინა ღა ისეთი ცნობილი ადამიანების მეზობელი გახღა, როგორებიც არიან შვეიცარიელი მღიღარღერი, ერნესტო ბერტარელი ღა ცნობილი ბრიტანელი მომღერალი, ფილ კოლინზი.

მაიამიში ჩატარებულ იგლესიასის კონ-

ნიკო გველიძე

იანვრის ბოლოს, თბილისს კიდევ ერთი ახალი თეატრი შეემატება. ვაკეში, სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის უკან, ძალიან ლამაზი თეატრი აშენდა. განსხვავებულ ინტერიერს, საკმაოდ დიდი სცენა ამშვენებს. თეატრი შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ გაიხსნება, რომელზეც რეჟისორი ლევან წულაძე ორი წელი ფიქრობდა. ამ სპექტაკლმა თბილისის საქართველოდან დიდი ხნით წასული მერაბ ნინიძე დაუბრუნა, ამჯერად — დროებით. „მე არც სხვა სპექტაკლებზე ვიტყვი უარს, თუ შემოთავაზება იქნება. ეს ჩემს ქალაქთან დამაახლოებს. მართლა მომენტარა ქართულ სცენაზე, ქართველ მსახიობებთან ერთად თამაში“, — მითხრა მერაბმა. მაგრამ ვრცელი ინტერვიუსგან თავი შეიკავა — შეუძლოდ ვარ, თან ვერ სამაგიდო რეპეტიციები გვაქვს. სულ მეოთხედ ვარ აქ, არც კი ვიცი, რა გითხრათ...

რომ ჰგავს „ვენეციელი ვაჭარი“ ქართულ ტიპაჟს? რატომ ფიქრობდა მასზე რეჟისორი ძალიან დიდხანს? რით გამოირჩევა ახალი თეატრის შენობა სხვა თეატრებისგან და რამდენ ხანს დარჩება მერაბ ნინიძე საქართველოში? — ამ ყველაფერს სპექტაკლის რეჟისორისგან, ლევან წულაძისგან შევიტყობთ.

— დიდხანს ვფიქრობდი ამ პიესის დადგმას. ორი წლის წინ გავანაწილე ტექსტი. შევარჩიე მსახიობები. არ გვქონდა დიდი სცენა, პატარა სცენისთვის დამენანა და მუშაობა შევაჩერე. შედეგ, მერაბ ნინიძეს შევთავაზე, მთავარი როლი — შაილოკი ეთამაშა. ისიც ჩამოვიდა. ამან უფრო დააჩქარა სპექტაკლზე მუშაობა.



საქართველო, რომელსაც დროებით დაუბრუნა საქართველოს მერაბ ნინიძე

— ე. ი. მერაბი სპეციალურად ამ სპექტაკლისთვის ჩამოვიდა თბილისში?

— შეიძლება ითქვას. თუმცა, მას ალბათ სხვა გეგმებიც აქვს. ისედაც აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას. მერაბი ჩემი ვგუფელია, ინსტიტუტიდან ერთად მოვიდვართ. ვმეგობრობთ. აქედან გამომდინარე, მე გამინარდება, თუ საბოლოოდ დაბრუნდება ჩვენთან, მაგრამ მას ავსტრიაშიც ბევრი კარგი საქმე აქვს გასაკეთებელი. მე ვეცდები, ამ სპექტაკლით „მოვბა“ თბილისს.

— მანამდე, ამ როლზე რომელი მსახიობის მონვენვას აპირებდით?

— ძალიან კარგი და ნიჭიერი მსახიობის (გვარს ვერ დავასახელებ), რომელსაც ვიხსოვებ, მერაბისთვის დიდსულოვნად დაელოდა ეს როლი.

— თქვენამდე თუ დაუდგამს ვინმეს ეს პიესა თბილისში?

— სოხუმის თეატრში დიდი ალექსიძემ დადგა. თავის დროზე ეს სპექტაკლი თბილისშიც ჩამოიტანეს სოხუმელებმა. არაჩვეულებრივად თამაშობდა გოგი ქვთარაძე შაილოკს. სხვა დადგმა არ მახსოვს.

— რატომ გადაწყვიტეთ, მაინცდამაინც „ვენეციელი ვაჭარი“ დაგედგათ?

— მისი შინაარსი ძალიან ჰგავს დღევანდელ სიტუაციას. ერთი შეხედვით, პიესაში გაშლილია მოქმედება ვენეციაში, სადაც არის ქიშპობა ორ ვაჭარს — ანტონიოსა და შაილოკს შორის. ეს უკანასკნელი, ძველი ყაიდის ებრაელი კაცია, რომელიც ძველი წესების შესაბამისად ცხოვრობს. ანტონიო ახალგაზრდაა. მის გვერდით მთე-

ლი გუნდია ახალგაზრდებისა. ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს დღევანდელი მამებისა და შვილების დაპირისპირებას. არა უბრალოდ, მამათა და შვილთა დაპირისპირებას, არამედ — სოციალურად ძველი ყაიდის, ძველი აზროვნებისა და ახლებურად მოაზროვნე ადამიანთა კონფლიქტს. მე არ შემიძლია განვსაჯო, რომელია მართალი და რომელი — მტყუანი. ვერ ვიტყვი, რომ კომუნისტების თაობა ნაკლებად ჭკვიანი ადამიანებისგან შედგება, ვიდრე ჩვენ ვართ. ახლები ამსხვრევენ ყველაფერს, არ ფიქრობენ ძველების ნამოღვაწარზე. ძველები არ ამსხვრევენ, რათა შეინარჩუნონ...

— საერთოდ, რას ფიქრობთ თქვენს თაობაზე?

— ჩვენ ზედმეტად თავისუფლები ვართ. თავისუფლებით ისეთი თრობა, რომელიც ჩვენში ბოლო წლებში შეინიშნება, სამწუხაროდ, ძალაუფლებით საკუთარი თავის დამტყციების თრობაში გადაიზარდა. ეს შეიძლება ე.წ. საყმაწვილო სენია, მაგრამ ვფიქრობ, ცოტა გავვიგრძელებდი ამ სენით ავადმყოფობა...

— ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ რობერტ სტურუას სპექტაკლის — „გოდოს მოლოდინში“ ნახვამ, გაგინელათ ახალი სპექტაკლის დადგმის სურვილი. რატომ?

— კარგი სპექტაკლი იყო და იმიტომ. ეს ბუნებრივია: როცა ამხელა შემოქმედის, შენი მასწავლებლის, ასეთი ღონის ნაწარმოებს ნახავ, ცოტა თავხედობაც არის, რომ მოკლე დროში შენი ვერსია შესთავაზო მაყურებელს. მინდოდა, გარკვეული დრო გასულიყო, თან, ახლა უფრო მომზადებული-

ბი, სამუშაოდ განწყობილნი ვართ.

— კიდევ ვინ არიან დაკავებული ამ სექტორში?

— მთელი დასა. მთავარ როლებში — ზუკა პაპუაშვილი, დუტა სხირტლაძე, ნანა შონია, კახა აბუაშვილი, ბაია დვალისხელი და სხვები მუშაობენ.

— როდის და სად იქნება პრემიერა?

— ზუსტად ვერ გეტყვით. ალბათ იანვრის ბოლოს, აქ, ვაკეში, ახალ თეატრში, რომლის მშენებლობაც ფაქტობრივად დამთავრებულია... კარგი, შთამბეჭდავი შენობაა. დარბაზი არ არის დიდი — 170 კაცითვისაა გათვალისწინებული, მაგრამ რაც მთავარია, სცენა თითქმის მარჯანიშვილის თეატრის სცენისხელაა. ეს მთავარია რეჟისორისთვის და მსახიობებისთვის.

— და მთლად სარდაფიც არ არის...

— არა, თუმცა ნახევრად მიწაშია. ტექნიკურად კარგად არის გამართული. ზემო ხიდები კიღია, რომელიც მოძრაობს. სცენა იშლება.

— ამდენი თეატრის გარემოცვაში კონკურენციის არ გეშინიათ?

— ჩვენ ისედაც კონკურენციის პირობებში ვარსებობთ. რუსთაველის თეატრი ყოველთვის გამორჩეული იქნება საქართველოს თეატრებს შორის. მეტსაც გეტყვით — არა მგონია, რუსთაველის თეატრის მსგავსი სცენა, ევროპის რომელიმე თეატრს ჰქონდეს.

— სამომავლოდ რას აპირებთ?

— ცოტა ხანში, ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელზე“ დავიწყებ მუშაობას ახალ თეატრში. მსახიობები ჯერ არ შემირჩევია. თუმცა, მინდა, მთავარი როლი მიმა გომიამვილმა ითამაშოს. ჯერ არ მოვლაპარაკებინვარ. ამ როლისთვის საჭიროა მსახიობი მამაკაცი, რომელიც სიძლიერეს განასხიერებს, ძლიერების შეგრძნებას გადასცემს მაყურებელს სცენიდან.

— ცოტა ხნის წინ, „თეატრალურ სარდაფში“, თქვენი სექტაკლის „თავის“ პრემიერა გაიმართა. მალე „ვენეციელ ვაჭარს“ შესთავაზებთ მაყურებელს, შემდეგ — „გველის მჭამელს“. როგორ ახერხებთ დროის მოკლე მონაკვეთში, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული უანრის სექტაკლების დადგმას? არ გიჭირთ?

— მიჭირს ის, რაც არ ვიცი, როგორ უნდა გავაკეთო. როცა არა მაქვს იდეა. როდესაც ორი წელი ერთ სექტაკლზე ფიქრობ, როცა კარგად იცი, რა სატიკვარზე, რა საფიქრალზე უნდა გააკეთო აქცენტი, ამას დიდი დრო არ სჭირდება. ასეთ ამოცანას ყოველთვის ადვილად გაუძლავდები. ■

სახელმწიფო მრეწველობის და მკვლევარების სექტორში გაწეული ღონისძიებები

სახელმწიფო ტელევიზიაში უკვე ტრადიციად ქცეული წინასახალწლო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ურნალისტებს საახალწლო პროგრამა გააცნეს. ამჯერად, თავად ამ ტრადიციის დამწერებელი — ბატონი ზაზა შენგელია არ ბრძანდებოდა და ეს მისია თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ — გიორგი ლეონიძემ და მუწყებლობის ხელმძღვანელმა — ედნარ გიორგობიანმა იკისრეს. როგორც მათ სინანულით აღნიშნეს, საახალწლო გადაცემებს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ენერგოკრიზისის გამო ვერ ნახავს და ტელევიზიის ხელმძღვანელობამ ამ სიტუაციაში ასეთი გამო-



გიორგი ლეონიძე



ედნარ გიორგობიანი

ცხივილმა საახალწლო პროგრამისთვის გადაიღო ორი ახალი კლიპი.

თამარ ცაგარეიშვილის საავტორო პროგრამა — „მიამბეთ თქვენზე“ წარმოგიდგენს გადაცემას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე, უწმიდესსა და უნეტარესზე ილია მეორეზე ეს გადაცემა 6 იანვრისთვისაა დაგეგმილი.

ედნარ გიორგობიანი:

— 30 დეკემბრიდან 14 იანვრამდე, „პირველი არხის“ საეთერო ბადეში დიდი ბევრი დაეთმოდა ქართველი და უცხოელი მომღერლების კონცერტებს. პირველ იანვარს ვეძენება ბედნიერება, ვნახოთ „ერისიონის“ მიერ საფრანგეთში, ფრანგების მიერ გადაღებული კონცერტი. ასევე ვნახავთ ალექსანდრე ბასილაიას მოსკოვურ კონცერტს, თბილისურ ჯაზფესტივალს, „ივერიის“ საიუბილეო კონცერტს. იხილავთ სტინგის, სანტანას, შადეს, ჯერეტ ჯექსონის, ქართველი მომღერლებიდან კი — მერაბ სეფაშვილის, დათო ხუჯაძის, ნატო გელაშვილისა და „ქუჩის ბიჭების“ გამოსვლებს.

გიორგი ლეონიძე:

— გვქონდა ვარკვეული პრობლემები საპროდიუსერო ფორმა „არტ-იმედთან“. თავიდან გვთავაზობდნენ, რომ გადაგვეხადა საკმაოდ სოლიდური თანხა იმ მომღერლების ჩასაწერად, რომლებსაც ფირმასთან აქვთ ვაფორმებული კონტრაქტი, მაგრამ ბოლოს შევთანხმდით ბარტერის წესზე, რაც იმას გულისხმობს, რომ „არტ-იმედი“ სარეკლამოდ გამოიყენებს ჩვერ არხზე საეთერო დროს. თავად მომღერლებს, ბუნებრივია, უნდოდათ საახალწლო გადაცემაში მონაწილეობა, მაგრამ პრობლემას თავად ეს ორგანიზაცია ქმნიდა. ბოლოს, დავდეთ ხელშეკრულება ლელა წურწუბასთან, მერაბ სეფაშვილთან, თათია გიორგობიანთან, ცისანა სეფაშვილთან, ეკა ცვალიაშვილთან და ეკა კახიანთან. ■

სავალი იპოვა: ამ გადაცემებს გამოორებითაც უჩვენებენ.

საახალწლოდ, ტრადიციულად შეიცვლება არხის გაფორმება: ტიხრები, ანიონების ფორმა, მუსიკალური პაუზების ქუდი, სარეკლამო ტიხრები და ლოგოც.

31 დეკემბერს, საღამოს 10 საათიდან ეთერში გავა ე.წ. ცენტრალური საახალწლო გადაცემა, რომელსაც ტელეპროგრამა „ისტორიანის“ წამყვანი, ზაზა აბაშიძე გაუძღვება. საქართველოს ყველა რეგიონში მოგზაურობისას, ის დროდარო უკავშირდება თბილისს, სადაც მეორე წამყვანი — მსახიობი ეკა კახიანი აგროვებს იმ პროფესიების ადამიანთა მილოცვებს, რომლებიც საახალწლო დამეს თავიანთ სამუშაო ადგილებზე ატარებენ. გადაცემაში ათი მუსიკალური კლიპის პრემიერა შედგება.

ეს გადაცემა ორნაწილიანია. მეორე ნაწილს ტელევიზიიდან ცნობილი მარეხი (მარიანა ნინიაშვილი) და ბატონი კარლო საკანდელიძე წაიყვანენ. ცნობილმა კლიპიეკერმა ბასა ფო-

Porsche-ს უმძლავრესი ბედი





სასელგანთქმული გერმანული კომპანიის – „პორშეს“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ახალ სპორტულ ავტომობილს – Carrera GT-ი, ლაიფციგში მდებარე ქარხანა გამოუშვებს. ამ მოდელის გარდა, აღნიშნულ საწარმოში დაგეგმილია აგრეთვე ყველაგანმავლის – Cayenne-ის გამოშვება. GT-ისთვის განკუთვნილ ძრავებს ქალაქ ცუფენჰაუზენში მდებარე, „პორშეს“ სათავო ქარხანაში დაამზადებენ. ფირმის თავკაცის, ვენდელინ ვიდეკინგის თქმით, „კარერას“ აგრეთვე ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იქნება მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა საავტომობილო ძრავას შორის. მისი მონაცემები ასეთია: 10 ცილინდრი, საბუხარო მოცულობა – 5,5 ლ, სიმძლავრე – 558 ცხ.ძ. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს სარბოლო ავტომობილთან – მისი მაქსიმალური

სიჩქარე ხომ 330 კმ/სთ-ს მიღწევს. ამ მანქანის საბოლოო ფასი ჯერ განსაზღვრული არ არის, მაგრამ ავტობაზრის ექსპერტთა ვარაუდით, 400.000 ევროზე ნაკლები არ ელირება.

პირველად Carrera GT-ი ორი წლის წინ, პარიზის ავტოსალონზე იქნა წარმოდგენილი, როგორც ექსპერიმენტული მოდელი. როგორც ვარაუდობენ, მისი ჯამური ტირაჟი 1000-ს არ გადააჭარბებს. მანქანის აწყობა 2003 წლის შემოდგომაზე დაიწყება. დღეში 2-3 ავტომობილის წარმოებით, ლაიფციგის ქარხნის 75 თანამშრომელი იქნება დაკავებული; ცუფენჰაუზენში, ძრავათა წარმოებით კი – 25. „კარერას“ გაყიდვა, როგორც ეს ამგვარი, ექსკლუზიური მოდელების შემთხვევებში ჩვეულებრივ ხდება, მხოლოდ წინასწარი ჩაწერის

საფუძველზე მოხდება.

აქვე ავტომოყვარულებს მივაწვდით კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას კომპანია „პორშეს“ შესახებ, რომელიც ცნობილ მოდელს – 911-ს ეხება. როგორც ამ დღეებში ფირმის შესვეურებმა გამოაცხადეს, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, საწარმოში დაებრუნებინათ 1994-დან 1996 წლამდე გამოშვებული 35000 911-ი, რათა ამ მოდელში გამოყენებული აირის გადამმუშავებელი კატალიზატორები გამოცვალონ. გერმანულ ავტომწარმოებელთა თქმით, კატალიზატორის წყობიდან გამოსვლის შემთხვევაში, „პორშემ“ შეიძლება, საგრძნობლად დააბინძუროს გარემო. სწორედ ამიტომ შეცვლის კომპანია უფასოდ, ძველ მოდელებზე დაყენებულ, სარისკო კატალიზატორებს ახლებით.



S კლასის ახალ Mercedes-ს იღებამის ფაქტა ახადეს!

გერმანულ პრესაში გამოჩნდა S კლასის Mercedes-ის პრინციპულად ახალი მოდელის კომპიუტერული ფოტოსურათები, რომლის დებიუტი 2005 წელსაა ნაგარაუდელი. მიუხედავად ამისა, ავტომოწარმეებს საშუალება მიეცათ, სრული წარმოდგენა შეექმნათ მანქანის გარე დიზაინის ელემენტებზე და მისი ტექნიკური მახასიათებლების შესახებაც ვრცელი ინფორმაცია მიეღოს.

სპეციალისტთა ვარაუდი, რომ ახალი „მერსედესი“ შეინარჩუნებდა „თვალუბიან“ სტილს, გამართლდა – ოღონდ, წვეთების ფორმის 2 ან 4-ის ნაცვლად, ახალ მანქანას 2 დიდი წინამაშუქი დაამშვენებს, რომელშიც თავმოყრილი იქნება ავტომობილისთვის საჭირო ყველა ნათურა. დიზაინერები შეეცადნენ, S კლასის ახალი მოდელისთვის უფრო სოლიდური იერი მიენიჭებინათ, რადგან ბევრ მომხმარებელს თვალში არ მოუვიდა ის ჰაეროვნება, რომლითაც ამჟამინდელი S კლასი გამოირჩევა. ერთი მხრივ, ამაში თითქოს ცუდი არაფერია, რადგან W220 ძარის მქონე ავტომობილი, ძველი W140-იანის გვერდით, გაცილებით ელეგანტურად გამოიყურება. მაგრამ მეორე მხრივ, წარმომადგენლობითი კლასის მანქანებს არა მარტო მოხდენილობა, არამედ საკუთრივ



წარმომადგენლობითობაც მოეთხოვება, რაც ახლანდელ S კლასს ნაკლებად ახასიათებს. სწორედ ამიტომ, რბილი ფორმების შენარჩუნებასთან ერთად, მომავალი მოდელი უფრო მასიური იქნება და თავისი იერით, წარმომადგენლობით სუპერავტომობილს – Maybach-ს დაემსგავსება. მომავალი „მერსედესი“ იმდენი ტექნოლოგიური სიახლით იქნება აღჭურვილი, რამდენიც ჯერჯერობით არც ერთ მანქანას არა აქვს. სწორედ ამ მოდელში

აპირებენ, ავტომობილის მართვის პროცესის მთლიანად ელექტრონიკისთვის „გადაბარების“ იდეის განხორციელებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საჭეს, პედლებს, ბორბლებს, მუხრუჭებსა და ძრავას შორის საერთოდ აღარ იქნება არანაირი მექანიკური კავშირი და მძღოლის ყველა ბრძანება უშუალოდ კომპიუტერის მეშვეობით შესრულდება. ბუნებრივია, რომ ამ მანქანაში ვიხილავთ სუპერთანამედროვე, პნევმატურ საკიდარს, რომელიც დაარეგულირებს საგზაო „ნაპრალს“ და „ღამის ხედვის“ სისტემას, რომლის მეშვეობითაც მოხდება გზის გამოსახულების პროექცირება. წინა საქარე მინაზე.

ახალი S კლასისთვის განკუთვნილ ძრავათა გაბა ჯერ ცნობილი არ არის. სპეციალისტთათვის ნათელია, რომ ეს იქნება სრულიად ახალი, V6 და V8 ტიპის აგრეგატები. ცნობილია აგრეთვე, რომ მხოლოდ V12 დარჩება უცვლელი. თუმცა, 5,8 ლ-იან. ატმოსფერულ ძრავასთან ერთად, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, S კლასზე 6,5 ლ მოცულობის, 550 ცხ.ძ.-ით მქონე ტურბოდიზელსაც ვაიმე იყენებენ – მას სრულამძრავიან ვერსიას ჩაუდგამენ.





თამუნა ინგორიყვა

ტრადიციულად, დიზაინერები წლის ამა თუ იმ სეზონის კოლექციას წინასწარ, რამდენიმე თვით ადრე წარადგენენ ხოლმე. ასეა მიღებული დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში და ამ ტენდენციას არც ქართველი მოდელიერები არღვევენ. 20 დეკემბერს, სამეფო უბნის თეატრში მისულ თბილისელებს, რომლებსაც უკვე დიდი ხანია, რაც მშობლიურ ქალაქში ასეთი დიდი თოვლი აღარ უნახავთ, სწორედ საგაზაფხულო კოლექცია წარუდგინა პარიზიდან ახლახან დაბრუნებულმა ახალგაზრდა და ალბათ, ჯერ კიდევ ბევრისთვის უცნობმა პროფესიონალმა დიზაინერმა, თამუნა ინგორიყვამ.

საგაზაფხულო კოლექციის ჩვენება სამეფო უბნის თეატრში პარიზიდან დაბრუნებულმა დიზაინერმა სადებიუტო დეფილე გამართა

ალექსი რეხვიანაშვილი

იმ დღეს, სამეფო უბნის თეატრის ფოიე, თბილისის დათოვლილ და მოლიპულ გზებზე კუს ნაბიჯებით მოძრავი ტრანსპორტით მოსული სტუმრებით თანდათან ივსებოდა, ხოლო უკვე ჩვენების დაწყების წინ, პოდიუმის ვარშემო დადგმულ სკამებზე არც ერთი ცარიელი ადგილი აღარ იყო დარჩენილი, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ თბილისელები მოდის მიმართ გულგრილნი არასოდეს არიან და ამინდის მიუხედავად, უყურადღებოდ არც ერთ დეფილეს არ ტოვებენ. ჩვენების დაწყების შემდეგ კი, ალბათ მხოლოდ თბილად ჩაცმული მაყურებელი თუ შეგახსენებდათ იმას, რომ თბილისის გვარაიანად ათოვდა, რადგან პოდიუმზე, ჰაეროვან კოსტიუმებში გამოწყობილ მანეკენებს „გაზაფხული მოეყვანათ“.

თამუნა ინგორიყვას მიერ შექმნილი შიფონის, ატლასის, აბრეშუმის, ქაშმირისა და ტყავისაგან შექმნილი მოდელები, რომელიც ჩინებულად წარმოაჩინეს ქართველმა გოგონებმა, ზედმიწევნით მიესადაგებოდა 21-ე საუკუნის ცხოვრების რიტმსა და მოდის სამყაროში გამეფებულ ტენდენციებს. ქალი – დამოუკიდებელი და საკუთარ თავში დარწმუნებული, საქმიანი, ძლიერი, ამავე დროს – ყველაზე თვალწარმტაცია, გრაციოზული



ნინო ჩქარეული

და სუპერსექსუალური არსება, რომლის გარეშეც მართლაც წარმოუდგენელია გაზაფხულის, როგორც ბუნების საოცარი სახეცვლილებისა და სამყაროს გამოღვიძების აღქმა...

ჩვენებას ნიკა მაჩაიძის მიერ შექმნილი ორიგინალური მუსიკა გასდევდა ფონად. კოსტიუმების ფერთა გამაში კი, შავი ფერი დომინირებდა, თუმცა ამით სულაც არ ირღვეოდა კოლექციის საერთო მაჟორული ტონი, რომელსაც ბუნებრივად ერწყმოდა მანეკენთა მაკიაჟი და ვარცხნილობა. „ამ კოლექციის შექმნას სამი თვე მოვანდობე. მოდელების უძრავლესობა ხელით არის დამზადებული. ვფიქრობ, რომ ჩემი მოდელები ფერითაც და ფორმითაც სავსებით პასუხობს არა მარტო „მაღალი მოდის“ სტანდარტებს, არამედ ჩვენი მყიდველის გემოვნებასა და მოთხოვნილებასაც. შემიძლია ვითხრათ, რომ ბევრი მათგანი უკვე შეარჩია მყიდველმა და ფაქტობრივად გაყიდულია. ისე კი, ალბათ ჩემს კოლექციას მაყურებელი და მომხმარებელი ყველაზე უკეთესად შეაფასებს“, – თქვა ჩვენების შემდეგ თამუნა ინგორიყვამ, რომელიც აღტაცებული პუბლიკის მილოცვებს იღებდა. ალბათ ჩვენი მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება დიზაინერის პროექტში მონაწილე პირებისა თუ მაყურებლის აზრი სამეფო უბნის თეატრში გამართული დეფილეს შესახებ.

ნინო ჩქარეული (მოდელი, ჩვენების მონაწილე):

– ძალიან მიხარია, რომ ასეთ ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა. მე თვალს ვადევნებ მსოფლიო მოდის სამყაროში მიმდინარე პროცესებს და შემიძლია ვითხრათ, რომ დღევანდელ ჩვენებაზე წარმოდგენილი კოლექცია სავსებით შეესაბამებოდა მის ტენდენციებს. საერთოდ, საქართველოში ამ სფერომ საგრძნობი პროგრესი განიცადა და პოზიტიური გახდა მისდამი დამოკიდებულება. პირადად მე, დიდი სიამოვნებით ჩავიცვამდი დღეს წარმოდგენილ კაბებს.

ვანიკო თარხნიშვილი:

– ძალიან საინტერესო ჩვენება იყო. სასიამოვნოა ის, რომ საქართველოში ბევრი საინტერესო დიზაინერი გამოჩნდა, რაც, რასაკვირველია, მოდის სფეროს გამრავალფეროვნებას უწყობს ხელს.

გიორგი ხაინდრავა:

– ვფიქრობ, ეს სფერო საქართველოში საკმაოდ დაიხვეწა. თუ პირველი



ნაბიჯები მოდის სფეროში ჩვენთან გაუბე-
დავი იყო და მიმბაძველობა იგრძნობოდა,
ამჟამად უკვე გამოჩნდნენ ორიგინალური
იდეების მქონე ადამიანები, რომლებსაც
განათლება ვეროპაში აქვთ მიღებული.
დღეს საკმაოდ სერიოზული ჩვენებამს
მომსწრენი ვაგხდით. ჩემი აზრით, ეს იყო
მოდა ადამიანებისათვის და არა მხოლოდ
მოდისთვის.

ავთო ცაპიტინიძე:

— ძალიან კარგი ნამუშევარია თარგ-
ზე და შეინიშნება ახალი ხაზი. მართა-
ლია, ზოგიერთ მოდელს საქართველოში
ისე ვერ ატარებ, როგორც ეს დღეს პო-
ლიუმზე იყო წარმოდგენილი და საჭირო
იქნება მის შიგნით რაიმეს ჩაცმა. ისე კი,
კარგი ჩვენება იყო.

**ნიკა მარანიძე (კომპოზიტორი,
ჩვენების მუსიკალური გამფორმებელი):**

— მუსიკა ძალიან ნაჩქარევად შევქმე-
ნი, ვნახე კაბები და მათი ფოტოები და
ამის მიხედვით დავწერე.

ალსანიშნავია, რომ სამეფო უბნის
თეატრში მოწყობილი ჩვენება ქართული
მოდის ინდუსტრიაში თამუნა ინგოროყ-
ვას დებიუტს წარმოადგენდა. მანამდე,
ახალგაზრდა მოდელიერი სამი წლის გან-
მავლობაში ეუფლებოდა დიზაინერის ხე-
ლოვნებას საფრანგეთში და პრაქტიკას
გადიოდა კარლ ლაგერფელდისა და ნინა
რიჩის სტუდიებში. მას პარიზშივე აქვს
მოწყობილი სადიპლომი ჩვენება. თამუნა
მომავალი წლის მარტში სავაზაფხულო
ჩვენების გამართვასაც გეგმავს და გან-
ზრახული აქვს თავისი კოლექციის საზღ-
ვარგარეთ გატანაც.

ბთმერც მარბიმაშვილის ბჟელი და .ახალი კლიპში

კინოთეატრმა „ქოლგამ“ ერთდროულად სამი კლიპის პრეზენტაციას უმასპინძლა.
რობერტ ბარბიმაშვილმა თავის მოსწავლეებთან — გიორგი კრიხულთან და ტატო
ალანასთან ერთად მომზადებულ დუეტებზე, ნუგზარ ერგემლიძის რეჟისურით გადაღებუ-
ლი ვიდეორგოლები წარუდგინა დამსწრეთ. კლიპი — „წარსული ზაფხული“ ამავე
სახელწოდების ქართული კინოფილმიდან ამოღებული კადრების გამოყენებით დამზადდა
და გადაღებულია ელვის პრესლის სიმღერის — Love tender-ის ქართულ-უცხოენოვანი
ვარიანტის საფუძველზე, რომელსაც რობერტ ბარბიმაშვილი და გიორგი კრიხული
მღერაან. მართალია, მეორე კლიპს „სამება“ ჰქვია, ეს ეკლესია მხოლოდ ვიდეორგოლის
ბოლო ნაწილში ჩანს — დანარჩენი კადრები ქაშუეთის ეკლესიაშია გადაღებული, რომლის
წინ პატარა მუსიკოსი მღერის. კლიპის დედაზრი შემდეგი სიტყვებით გამოიხატება:
„როდის იყო, რომ თბილისში მუსიკოსი ხელგაწვდილი იდგა?!“ სიმღერას რობერტ
ბარბიმაშვილი ტატო ალანასთან ერთად ასრულებს; ჩვენთან საუბრისას, მან ის დრო
გაიხსენა, როცა ლევან ლაზარიშვილთან ერთად მღეროდა „ლამპიონებს“...

„ლილო“ და „სტინი“ უდრეძამთ მაშუქმისთვის

კინოთეატრ „რუსთაველში“, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამ-
სახურის თბილისის ბიურომ უდრეძამო ბავშვებს საშობაო საჩუქარი მოუშვადა.
პატარებმა ქართულ ენაზე დუბლირებული მულტსერიალები: „ლილო“ და „სტინი“
ნახეს. მშობლების მზრუნველობას მოკლებული 250 ბავშვი, გაფართოებული და
გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა დიდ ფერად ეკრანს და „კოკა-კოლის“ მიერ
შეთავაზებულ საჩუქარს — „კოკა-კოლას“ წრუპავდა. ჩვენ კი, ამ ღონისძიების ერთ-
ერთ ორგანიზატორს, ბატონ **რევაზ**

თურმანიძეს

გავესაუბრეთ, რომელ-
მაც გვითხრა:
— ვერაზე, წმინდა პანტელეიმონის
სახელობის ეკლესიაში, სადაც ხშირად
დავდივარ, ამას წინათ, უდრეძამო ბავშ-
ვები მოიყვანეს მოსანათლავად. მე ერთ-
ერთი მათგანი — ბაკურ ლიპარტია
მოვნათლე. მაშინ დამებადა იდეა, რომ
ამ ბავშვებისთვის ერთი დღით მაინც
გამეხალისებინა ცხოვრება. ბუნებრივია,
ამას მარტო ვერ მოვახერხებდი. კი-
ნოთეატრ „რუსთაველის“ დირექციამ,
კერძოდ, ბატონებმა რეზო ჩარკვიანმა და ლევან ბახიამ აქტიურად დამიჭირეს მხარი
და სამი ასეთი ღონისძიების მოწყობა უზრუნველყვეს. დარბაზში მშობლების მზრუნ-
ველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან ერთად, აფხაზეთის ომში
დაღუპული ვაჟკაცების შვილებიც არიან. ბავშვების ამ პატარა სინარულში დიდი
წვლილი მიუძღვის ჩვენი ორგანიზაციის უფროსს — არმან თავაძეს და პაატა
სულაბერიძეს. აქვე ვიტყვი, რომ ამ აქციის შეწყვეტას არ ვაპირებთ. შეძლებისდაგ-
ვარად, კიდევ მოვაწყობთ ასეთი ღონისძიებებს.



კონცერტზე ვატსკულაჟში შვილოშიანად გამთვიდნენ

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო საღამო გაიმართა. კონცერ-
ტი სახელწოდებით — „კიდევაც დაიზრდებიან“, უდრეძამო ბავშვთა დასახმარებლად ჩატარ-
და. საღამოს ორგანიზატორები, თეატრმცოდნე ეთერ რეხვიამშვილი და გაზეთ „ახალი
დერიტას“ ხელმძღვანელები იყვნენ. დარბაზში საგრძნობლად ციოდა. საღამოს წამყვანი —
სოსო თოლორაია, მაყურებლებს აპლოდისმენტებისკენ მოუწოდებდა, ცოტა რომ გამო-
ბარიყვნენ. მის დანახვაზე, წინა რიგებში მსხლომი გოგონების აღტაცებული წივილ-კივილი
გაისმა. სოსოს კომენტარამაც არ დაყოვნა: ეტყობა, ვიღაც-ვიღაცებს წუხელ კარგად არ
ეძინათო... საღამო ფოლკლორულმა ანსამბლმა — „თერგმა“ გახსნა. თემურ თათარაშვილმა
შვილთან ერთად, „კარალეთის დღეები“ იმღერა. სცენაზე თავის გოგონასთან ერთად, მათ
ჯაბუაც გამოვიდა. პატარა ლიზა ყნია, ძალიან ლამაზი კაბით წარდგა მაყურებლის წინაშე.
კონცერტში ანსამბლი „ნიბლი“, მამუკა ონაშვილი და ჯგუფი „საუნდიც“ მონაწილეობდნენ.
გრძელ, შავ საღამოს კაბაში გამოწყობილმა ქეთა თოფურიაიმ „შირი“ იმღერა.

ბუნე ზღოვგუბი ავსტრალიასა და ბრძინეთში ჩასვლას თავს აბიღებს

ამერიკული ფილმის „ჩიკაგოს“ ავსტრალიური პრემიერა, შესაძლოა, ჩავარდეს, თუკი რენე ზელვეგერი მეზუთე კონტინენტზე არ გაემგზავრება. რენე 16 წლის წინ უკვე სტუმრობდა ავსტრალიას და როგორც ამბობენ, არავითარი სურვილი არა აქვს, კვლავ იქ ამოყოს თავი. არ გეგმობს, რომ მას ამ ქვეყანაში რამე ცუდი შეემთხვა და იმითომ... „17 წლის ვიყავი და ავსტრალიაში საკმაოდ დიდხანს დავყავი, ხოლო როცა, ბოლოს და ბოლოს, შინ დაებრუნედი, აეროპორტში ჩემი ძმა დამხვდა, რომელმაც წარმოიდგინეთ,

რომ ვერ მიცნო. მისი პირველი სიტყვები იყო: „ვფიქრობ, რომ იქ კარგად გკვებავდნენ!“ — ამბობს მსახიობი. ახალგაზრდა რენეს იმდენად მოსწონებია ავსტრალიური ცხოვრების წესი, რომ პლაჟზე წოლისა და ჭამა-სმის გარდა, არაფერს აკეთებდა და ისე გასუქებულა, რომ ვე-



ლარავინ ცნობდა. აი, რუმინეთში კი, სრულიად საპირისპირო მიზეზის გამო არ სურს ხელშეორედ მოხვედრა: ტრანსილვანიაში, „ცივი მთის“ გადაღებებზე ექვსი თვე ყოფნისას, ზელვეგერი კვების პრობლემებით მოწამვლის საფრთხის გამო, საჭმელს თითქმის არ ჭამდა და ისე ვახდა, რომ თავისი ღორმუცელობით განთქმულმა ელტონ ჯონმა, პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში გვარიანად გააკენწლა ზელვეგერის გარეგნობა. ამან რენე ძალიან გაანაწყენა და განაცხადა: „მე არ შემიძლია გავაკონტროლო ის, თუ რას ფიქრობენ ადამიანები ჩემზე, როცა ელტონმა ჩემ შესახებ მსგავსი რამ თქვა, მილიონობით მკითხველმა წაიკითხა ეს. რა უნდა მექნა, საითათოდ ყველას ხომ ვერ ავუხსნიდი ჩემი ცხოვრების წერილმანებს?“ თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მსახიობმა ორჯერვე სარეკორდო დროში დაიბრუნა პირვანდელი იერი.

პამელა ანდერსონი საკუიტათ სკოლაში მაჯუემს „მიმლიას“ უკითხავს



ამას წინათ, 35 წლის კინოვარსკვლავს – პამელა ანდერსონს განუცხადებია, რომ მალბუში მის სახლთან ახლოს მდებარე საკვირაო სკოლაში დიდი სიახლოვნებით დაიწყებდა მასწავლებლად მუშაობას. პირველი გაკვეთილების შემდეგ კი, გაირკვა, რომ ბავშვებისთვის ბიბლიური ამბების კითხვა პამელას დიდ სიახლოვნებას ანიჭებს და შეიძლება ითქვას, რომ ყველა სხვა დანარჩენ საქმიანობაზე მეტად მოსწონს. თავისი ახალი საქმიანობის კომენტარებისას კინოვარსკვლავმა განაცხადა, რომ სიახლოვნებს იმის შეგრძნება, მომავალი თაობისთვის სიკეთის კეთების სწავლება რომ შეუძლია. ანდერსონის საკვირაო სკოლაში გამოჩენამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია: საეკლესიო გაკვეთილებზე დამსწრე ბავშვთა რიცხვმა სარეკორდო ციფრს მიაღწია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშვენიერი ქერა ქალბატონის მიერ წაკითხული ბიბლიური ამბების მოსასმენად, ბავშვებთან ერთად, მამებიც დიდი ერთუზიანებით დადიან.

ბიჩაბდ გიტმა ინდოეთში შიღისის სამკუტნალთ ცუნტბი გასსნა

ამ დღეებში პოლიფუნის ვარსკვლავმა, რიჩარდ გიტმა ინდოეთის დედაქალაქში შიღისით დაავადებული ბავშვებისა და ქალებისთვის სამკურნალო ცენტრი გახსნა. ახალი ცენტრი სიდიდით არ გამოირჩევა, მასში მხოლოდ ერთადროულად 20 ბავშვის მომსახურება შესაძლებელი. თუმცა, ცენტრი მხოლოდ შიღისით დაავადებულებს რაღი მოემსახურება, იგი ავადმყოფების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას ჰპირდება. ცენტრის გახსნის ცერემონიაზე გიტმა განაცხადა, რომ მას ძალიან უყვარს ინდოეთი და ინდოელი ხალხი და არ სურს, რომ მათაც იგივე ბედი ეწიოთ, რაც სხვებს... და დასძინა: უამრავი ხალხი დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ არ იცოდნენ, როგორ შეზრდილებოდნენ ამ დაავადებას. ცენტრი საქველმოქმედო კამპანიის მიერ შეგროვული თანხებით ააგეს. ამ კამპანიას კი, თავის დროზე (1998 წ.), ინდოეთში სწორედ რიჩარდ გირი ჩაუდგა სათავეში. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ქვეყანაში 4 მლნ-მდე შიღისით დაავადებულია აღრიცხული. არაოფიციალური მონაცემებით, სავარაუდოა, რომ 2010 წლისთვის ეს ციფრი 5-ნჯერ გაიზრდება.

მთღამი კუტნიკუასნაიბი თუბთუბი შემთსუღა



ბოლო ხანებში, საყოველთაოდ აღიარებულ ქალის იდეალურ აღნაგობასთან დაკავშირებულ შეხედულებებში, სპორტმა საგრძნობი კორექტივები შეიტანა. თუ 60-იან წლებში სილამაზის ეტალონად სოფი ლორენი და მერილინ მონრო მიიჩნეოდნენ, რომლებსაც წვრილი წელი, მალალი, მოყვანილი თეძოები და დიდი მკერდი ჰქონდათ, ამჟამად მამაკაცები მოჭარბებულ ყურადღებას ანა კურნიკოვასანიირი აღნაგობის ქალებს აქცევენ თურმე. „ეროტიკისის“ ცნობით, დასავლეთში დღეს სწორედ კურნიკოვას მიიჩნევენ სილამაზის ეტალონად. სავარაუდოა, რომ კრიტიკურიუმების შეცვლას ხელი შეუწყო ტელევიზიით სპორტული გადაცემების გამოდგომებულმა ჩვენებამ, რომლის მთავარ გმირებადაც, სწორედ მკვრივი, პროპორციული აღნაგობის, საგრძნობლად დაკუნთული გოგონები წარმოუდგებიან მწახველთ. აი, ამას გამოუწვევია ის, რომ ტანწერწეტა ქალები მოდამი აღარ არიან. თუმცა ეს ექსპერიმენტიაც დადასტურდა: ასეულობით ქალსა და მამაკაცს, წარმოდგენილ ფოტოებს შორის, მათთვის ყველაზე მიმზიდველი ფიგურის გოგონა უნდა აერჩია. ექსპერიმენტის მონაწილეთა უმრავლესობამ სწორედ კურნიკოვას აღნაგობას მიანიჭა უპირატესობა.

სილუესტერ სცალტნი ახალ სცენარს წიბს



რინგის უძლეველი გმირის – როკის შესახებ შექმნილი ხუთივე ფილმის სცენარის ავტორი, სწორედ სტალტონე გახლავთ. უკანასკნელ ფილმში ცნობილი მოკრივე თავს ანებებს დიდ სპორტს და სამწვრთნელო ასპარეზზე იწყებს მოღვაწეობას, თუმცა როკის უსიამოვნებები აქაც თან სდევს – მისი მოსწავლე სხვა მწვრთნელთან გადადის. ჯერჯერობით უცნობია, კრივის ეპოპეის გაგრძელებაში მიიღებს თუ არა მონაწილეობას 56 წლის მსახიობი. 1977 წელს გამოსული პირველი ფილმი – „როკი“, „ოსკარის“ პრემიით აღინიშნა. სურათის შესაქმნელად ერთი მილიონი დაიხარჯა, შემოსავალმა კი 220 მლნ-ს გადააჭარბა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „როკის“ ყველა სერიამ, თავის დროზე, MGM-ის კომპანიას ას-ასი მლნ დოლარი მოგება მოუტანა, გამონაკლისი მხოლოდ მეხუთე სერია გახლდათ, რომელმაც მხოლოდ 40 მლნ-ს მოუყარა თავი. გაგრძელებული ინფორმაციის თანახმად, „როკი VI“ მცირებიუჯეტის ფილმი იქნება. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ MGM-ის კომპანიამ სურათის – „ქართან მოლაპარაკე“ კერანებზე გამოსვლის შემდეგ, უდიდესი ზარალი ნახა.



მაიკლ დუგლასმა და კეტრინ ჯონსმა საცხთაღმელი ადგილის გამთცულა გადაწყვიტეს

ცნობილია, რომ მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის ვარსკვლავური წყვილი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არაერთი სახლის მფლობელია. მათ აქვთ სახლი აშშ-ში, იქ სადაც მაიკლი დაიბადა, უელსში – კეტრინის სამშობლოში; ასევე მალიორკისა და ბერმუდის კუნძულებზე. ცოლ-ქმარმა მოითათობრა და გადაწყვიტა, რომ მათი შვილების (წყვილს ჯერჯერობით ორი წლის გაუიშვილი – დილანი ჰყავს, მეორე შვილს კი, გაისად, მარტის თვეში ელოდება) აღსაზრდელად ყველაზე შესაფერისი ადგილი – ბერმუდის კუნძულებია, სადაც მათ გასულ წელს 3 მლნ დოლარად ღირებული, 5-საძინებლიანი კოტეჯი შეიძინეს. განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მათი შვილები ბერმუდის კუნძულებზე წავლენ სკოლაში, შოკში ჩააგდო როგორც მაიკლის, ისე კეტრინის ნათესავები. ჰუმბარტი ვალიელი – ზეტა-ჯონსი არ ძალავს, რომ თავადაც შეიყვარა ეს ტროპიკული დასასვენებელი ადგილი: „ბერმუდის კუნძულები საოცრად ჩაკეტილ სივრცეს წარმოადგენს და საცხოვრებლად ძალზე მოსახერხებელია. მე იქ შემიძლია, წავიდე ჩემს ექიმთან და არ მექნება იმის შიში, რომ ვიღაც ფოტოსურათს გადამიღებს ან ჩემს ჩაცმულობას განსჯის“. იქაური ადგილობრივი მცხოვრებლები ადასტურებენ, რომ ცნობილ პიროვნებებს მათ კუნძულებზე იმდენად პრივატული ცხოვრება აქვთ, რომ მსგავსი, პოლიველსა და ბრიტანეთში არც დაესიზმრებათ. დუგლასისა და ზეტა-ჯონსის ერთ-ერთმა მეზობელმა კი განაცხადა: „აქ მათ გადაჭარბებული ყურადღებით თავს არაფერს აბეზრებს. არც მათთან ნაცნობობას ელტვის ვინმე. ბერმუდის კუნძულებზე ასეთი წესია“.

თბბა უინტონის მიუბ მტწყთმილ სამტმათ გიბმბე 10 ადამიანი დამაჟდა

ამერიკული ტელევიზიის არსებობის მანძილზე ობრა უინფრი ყველაზე პოპულარული ტოქ-შოუს ავტორი და პროდიუსერია. მას 35-ჯერ აქვს მიღებული „ემის“ სატელევიზიო პრემია. ობრა უინფრი თვეზე მეტია, რაც სარ-ში (სამხერთაფრიკის რესპუბლიკა) იმყოფება, სადაც საქველმოქმედო საშობაო აქციას ატარებს. ობრა და მისი ჯგუფის წევრები ადგილობრივ სკოლის მოწაფეებს საშობაო ზეიმებს უწყობენ და საჩუქრებს ურიგებენ. ვებერთელა კარავში გამართული ერთ-ერთი ასეთი ზეიმისას, ძლიერი ქარის ზეწოლას კარვის საყრდენებმა ვეღარ გაუძლო და ჩამოიქცა. ათი ადამიანი მსუბუქად დაშავდა, თავად ობრა არ დაშავებულა, რადგან იმ მომენტში გარეთ იყო. ინციდენტის მიუხედავად, ჯგუფის წევრები საქველმოქმედო აქციას კვლავაც აგრძელებენ. დაგეგმილია, რომ აქციაში 45 ათასი ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. გარდა ამისა, ტელეწამყვანი, ერთ-ერთ სამხრეთაფრიკულ ღარიბ სოფელზე შეფობის აღებას აპირებს – იგი მთელი წლის მანძილზე სოფლის მცხოვრებთ საკვებით მოამარაგებს.




ჯასტინ ტიმბერლეიკი და დედამისი მატისუნას რბთად ამტლომენ



მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი არასოდეს ძალავდა, რომ ტონუსის ასამაღლებლად ხანდახან მარიხუანას ეწეოდა. ამას წინათ კი, განაცხადა, რომ თავის სადებიუტო ალბომის – Justified-ის ჩაწერის დროს, თურმე განსაკუთრებული ბალახების ნახავს ეწეოდა, რათა „შემოქმედებითი პროცესის სტიმულირებისთვის შეეწყო ხელი“. მაგრამ ის, რაც გაზეთ „სანის“ ჟურნალისტებმა საკუთარი თვალთი იხილეს, მათთვის ყოველად წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იყო. პრესის მუშაკებმა ჯასტინი შემთხვევით ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლუბში შენიშნეს, სადაც იგი დედამისთან – ლინ პარლესთან და ორ მცველთან ერთად, დროს ატარებდა. ნოყიერი ვახშმის შემდეგ, ჯასტინმა ორი მარიხუანიანი პაპიროსი ამოიღო და დედასა და მცველებს მასთან ერთად მოწვევა შესთავაზა. უარი მცველებს მასთან ერთად მოწვევა შესთავაზა. უარი არც მათ უთქვამთ(!). „დედა-შვილი მცველებთან ერთად, ფრიად კმაყოფილი სახით აბოლებდა პაპიროსს“ – წერს გაზეთ „სანის“ ჟურნალისტი.

საახალწლო დაავადება



რუმბრიკას უძღვება ექიმი
შაპარ მაჰმასაშვილი

ახალი წლის დღეებში მთელ პლანეტაზე ფრცვლდება ხანმოკლე, მაგრამ მძიმე დაავადების ეპიდემია. მას „ნაბახუსევს“ უწოდებენ. ერთი შეხედვით, „გადათრობის“ სენის შესახებ ყველაფერია ცნობილი, მაგრამ ნაბახუსევის სინდრომს საკმაოდ სერიოზულად იკვლევენ მეცნიერები და მოულოდნელ შედეგებამდე მიდიან.

რომელიც აძლიერებს ალკოჰოლურ ინტოქსიკაციას და მასთან ერთად – გულისრევას და თავის ტკივილს.

● ეცადეთ, სადღესასწაულო სუფრასთან ერთი სასმელი სვით.

● ეცადეთ განაზავოთ მაგარი ალკოჰოლური სასმელი: არაყი – წვენი, ვისკი – სოდიანი სასმლით;

● სპირტიანს არ მიაყოლოთ გაზიანი სასმელი, რადგან მასთან ერთად ალკოჰოლი უფრო ჩქარა გადადის სისხლში და თრობაც შესაბამისად, უფრო ადრე იწყება.

რატომ გვშველის ნაბახუსევს მწნილის წვენი

ალბათ ყველას გამოგიცდიათ ნაბახუსევს კიტრის ან კომბოსტოს მწნილის წვენის დადებითი ეფექტი. მედიკოსთა აზრით, ეს „დანიშნულება“ სავსებით მართებულია. მწნილეული დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმის მარილებს და ავსებს მის დეფიციტს ორგანიზმში. კალიუმის გარდა, მწნილის წვენში ნატრიუმის მარილიც (სუფრის მარილი) საკმაოდაა და ამრიგად, ადამიანი ბალანსირებულად იღებს ორივე ელემენტს (როგორც ეს რეკომენდებულია კალიუმის ნაკლებობის მკურნალობისას). გარდა ამისა, მწნილის წვენი ავსებს ორგანიზმს სითხით, რომელიც მას ასეთ დროს აკლია ხოლმე.

საკმაოდ კარგი საშუალებაა ნაბახუსევს ჩირის კომპოტი, რომელიც კალიუმთან და ნატრიუმთან ერთად, ფრუქტოზასაც შეიცავს, რომელიც ეფექტურია ინტოქსიკაციის (მოშხამვის) დროს. ნაბახუსევს შველის ჩაი, ორი კოვზი თაფლითა და ლიმონით, აგრეთვე რძემჟავა პროდუქტები (მაწონი, კეფირი), რომელზეც ახორბრდება (დაი-

ლექება) ტოქსინები. ორგანიზმს ალკოჰოლური ინტოქსიკაციისაგან აქტიური ბული ნახშირიც წმენდს.

ც ვიტამინი აჩქარებს ალკოჰოლის დაშლის პროდუქტების გამოდევნას ორგანიზმიდან. ბოლო მონაცემების მიხედვით, შამპანურის პირველი ყლუპის შესამდე ნახევარი საათით ადრე, 0,5 გ C ვიტამინის მიღება თავიდან აგვაცილებს გულის რევას, თავის ტკივილს და ნაბახუსევს სხვა უსიამოვნებებს.

რაც შეეხება ასპირინს, არ გირჩევთ მის გამოყენებას, რადგან ეს პრეპარატი საკმაოდ ალიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს (მან ხომ ისედაც ბევრი გადიტანა უზომო ქეიფის დროს).

ამერიკის ეროვნულ ინსტიტუტში, რომელიც ალკოჰოლიზმის პრობლემებზე მუშაობს, ეს სინდრომი ყოველმხრივ იქნა შესწავლილი. აღმოჩნდა, რომ ხარკი თავაშვებული სმისათვის მრავალგვარია. არსებობს არყის, ღვინის, ვისკის, კონიაკის სმის შემდგომი ნაბახუსევი. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოცვას, სადაც ხდება დათრობა. ერთია, როცა მოწყენილი ადამიანი მარტობაში თვრება და სულ სხვაა მხიარული სადღეგრძელობის სმა წვეულებაზე, ცეკვა-სიმღერისა და საინტერესო საუბრების თანხლებით. ასეთი ზეიმის შემდეგ თავი სულ სხვაგვარად გვტკივა ხოლმე.

როგორ ავიცილოთ თავიდან სინანული გუშინდელი თავმუშუკვლობის გამო? მეცნიერები გვირჩევენ:

● ვსვათ ცოტ-ცოტა და ნელა-ნელა – ამგვარად, ღვიძლზე ეს არ იმოქმედებს დამანგრეველად.

● ნოყიერი, ცხიმოვანი საკვების მიღება ქეიფის დაწყებამდე, ანელეს ალკოჰოლის ზემოქმედებას. თუ სპირტიანი სასმლის მიღებით დაიწყებთ, აუცილებლად მიაყოლოთ საჭმელი.


● დღესასწაულის დაწყებამდე, რაც შეიძლება მეტი წყალი დალიეთ.

● თუ სმის დროს თქვენს ნორმას გადააჭარბებთ, შეწვიტეთ „ნასხმა“ და ახალგაზოგურული ლიმონის წვენი დალიეთ.

● შედარებით კარგი სპირტიანი სასმელებია: თეთრი ღვინო, არაყი, ჯინი. უფრო საშიშია: კონიაკი, ვისკი და წითელი ღვინო. მათში შედის ისეთი დანამატები,



როგორ შევხვდეთ დღესასწაულს



მბრწყინავი გამოხედვა

● შეშუპებისა და დაღლილობის მოსახსნელად, ყოველ საღამოს დაიბანეთ თვალები გვირილისა და ცაცხვის ნაყენით. დასველეთ მასში ბამბა და დაიდეთ 10-15 წუთით ქუთუთოებზე.

● ქვედა ქუთუთოების შეშუპებას კარგად ხსნის დაჭყლებილი ყველის ან კარტოფილის რგოლების საფენი.

● კომპრესის შემდეგ, ქუთუთოებზე წაისვით სპეციალური კრემი-ყელე თვალის კონტურისათვის.

● დღეში რამდენჯერმე გააკეთეთ ვარჯიში: მაგრად დახუჭეთ და გაახილეთ თვალები; მხერა სწრაფად გადაიტანეთ ერთი მიმართულებიდან მეორეზე; გაიხედეთ შორს და შემდეგ სწრაფად დააფოკუსეთ ახლომდებარე საგანი.

მოვლილი ხელები

თუ ხელის მტევნების კანი გამოქშრალი გაქვთ და ფრჩხილების მდგომარეობაც არ გაკმაყოფილებთ, ახლავე შეუდექით აღდგენით პროცედურებს.

● პირველი ნაბიჯი მანიკურია. ნუ ცდილობთ გრძელი ფრჩხილების შენარჩუნებას – იგი განშრევდება, იშლება, იმტვრევა. სინანულის გარეშე შეასწორეთ მათი ფორმა, ხოლო ზედაპირი სპეციალური ქლიბით დაიშუშავეთ.

● 2-3 დღეში ერთხელ, ძილის წინ, მტევნები 10-15 წუთით ჩაუშეთ კარტოფილის ნახარშის თბილ აბაზანაში ან ცაცხვის ყვავილების ნაყენში. შემდეგ ბლომად შეიზილეთ ხელის საცხი და ღამით ბამბის ხელთათმანები ჩაიცვით.

● ყოველდღიურად, ძილის წინ, ფრჩხილებსა და ნუნებში შეიზილეთ კოსმეტიკური ზეთი (ნუშის, კურკის ან ყურძნის წიპწის).

● ხელებს სირბილესა და მოქნილობას ვარჯიში დაუბრუნებს: ყოველ საღამოს, ძილის წინ, ნახად დაიზილეთ თითოეული თითი ისე, თითქოს ისინი მტევანში უნდა ჩაახრახნოთ. ამის შემდეგ, ორივე ხელის თითები ერთმანეთს გადააჭდეთ, გაჭიმეთ და მოადუნეთ ხელები.

● წინასახალწლო სამზადისმა მთელი თქვენი მცდელობა წყალში რომ არ ჩაყაროს, არ დაგავიწყდეთ წყალთან ყოველი შეხების შემდეგ, ცხიმისანი საცხის წასმა.

ნაზი იდაყვი

თუ იდაყვის კანი გაგიუხეშდათ, ყოველ საღამოს გაიკეთეთ ნებისმიერი მცენარეული ზეთისა და ფორთოხლის წვენი ნარევის (3:1) 20-წუთიანი თბილი კომპრესები. ამის შემდეგ, ფრთხილად დაიშუშავეთ კანი პეშით და შეიზილეთ გლიცერინი, რომელსაც რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი აქვს დამატებული. სულ 2-3 პროცედურა იქნება საკმარისი.

თმა

სადღესასწაულო ვარცხნილობაზე ადრინად უნდა იფიქროთ. თუ შეჭრას აპირებთ, ნუ გააკეთებთ ამას უშუალოდ დღესასწაულის წინა დღეს, რადგან ნებისმიერ ვარცხნილობას „დასაჯლომად“ დრო სჭირდება. რაც შეეხება შეღებვას, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ თმა ბუნებრივად და ცოცხლად გამოიყურება, როცა შეღებვის შემდეგ 0,5-1 მმ-ით წამოიზრდება ხოლმე.

თუ გსურთ, საახალწლო დღესასწაულების ნამდვილ დედოფლად იქცეთ, ამაზე ახალი წლის დადგომამდე ადრე მაინც უნდა იზრუნოთ. ამ დროის განმავლობაში გექნებათ თქვენი სილამაზის რეანიმირების შანსი იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქამდე ხშირად არ აქცევდით საკუთარ თავს ყურადღებას.

წინა დღეს

ეცადეთ, „ნახევარფაბრიკატის“ სახე მისცეთ არა მხოლოდ სადღესასწაულო სუფრის კერძებს, არამედ თქვენს გარეგნობასაც.

● ფრჩხილებზე წაისვით ლაქის ქვედა ფენა, ხოლო ფერადი ლაქი ხვალისათვის გადაინახეთ.

● ფორმა მიეცით წარბებს; დილისთვის სიწითლის კვალიც კი აღარ დაგრჩებათ.

● მოიშორეთ თმის ზედმეტი ბეწვები ეპილატორით ან საპარსით. დღესასწაულის დღეს, სიჩქარეში, საგულდაგულოდ ვერ შეძლებთ ამის გაკეთებას.

ეს დღეს დადგა

არ არის ადვილი მთელი ღამე მზიარულება და თან, სიმხნევის, ენერგიულობისა და კარგი გარეგნობის შენარჩუნება. ამიტომ:



● დილით კარგად გამოიძინეთ. შემდეგ მიიღეთ აბაზანა, წყალში მცენარეული ნაყენების, არომატული ზეთების დამატებით. კარგი განწყობის შესაქმნელად სააბაზანოში საყვარელი ყვავილების თაიგული დადეთ.

● აბაზანის შემდეგ მიიღეთ გრილი შხაპი, ტანი კარგად შეიშრალეთ და შემდეგ, კანში, ფეხებიდან მოყოლებული, კარგად შეიზილეთ დამატენიანებელი ლოსიონი.

● ახლა თქვენი სახე მზადაა საფუძვლიანად გასაწმენდად. გააკეთეთ ფაფა 2 ს/კ სიმინდის ფქვილისა და 4 ს/კ რძისაგან. შეიზილეთ კანზე სპირალური მოძრაობით ცენტრიდან პერიფერიისაკენ, გაიჩერეთ 5-10 წუთი, ჩამოიბანეთ თბილი წყლით. კანი ღია ფერის ვახდება, ხოლო ლოყები წითლად შეიფაქლება.

თუ საქმიანობისგან დაიტალეთ

დასახლისები ახალი წლის ღამისათვის უკვე საკმაოდ დაღლილები არიან. დაღლილობას გაგიფანტავთ და გაგამხნევენ პიტნის, ნაძვის ან ევკალიპტის ეთეროვანი ზეთის არომატი. ჩააწვეთეთ რამდენიმე წვეთი წყალში და ისუნთქეთ.

მაშ ასე, ქალბატონებო! მრავალ ახალ სიხარულს გისურვებთ დამდეგ ახალ წელს!

რეცეპტები

თავისივე შიგნეულით დატენილი შემწვარი გოჭი

გოჭი გამოვშინოთ, ნაწლავები გადავბრუნოთ და გამდინარე წყალში გავრეცხოთ. შემდეგ ვრეცხოთ სიმინდის ფქვილით და წყლით, მერე - სუფრის მარილით და ბოლოს, ისევ მარტო წყლით. ნაწლავები დავჭრათ და შიგნეულთან ერთად მოვხარშოთ, მერე წვრილად დავჭრათ, მოვყაროთ პილავი, დანაყლი ქინძი, მარილი, წიწკა და ერთმანეთში ავურიოთ. გამზადებული მასალა გასუფთავებული, გარეცხილი, მარილმომყვრილი გოჭის მუცელში მოვათავსოთ, ძაფით ამოვკეროთ და შევწვათ.

კამბალა ღვინის სანებლით

გასუფთავებული, გარეცხილი თევზი დავჭრათ პატარა ნაჭრებად, ჩავაწყოთ ქვაბში. დავუმატოთ ოხრახუმი, ხახვი, მისკი, დაფნის ფითილი, მარილი, დავასხათ ღვინო, წყალი, დავახუროთ ქვაბს სახურავი, დავდგათ ცეცხლზე და ვხარშოთ 20-25 წუთი. მოხარშული თევზი ქვაბიდან ამოვიღოთ, ბულიონი გავწუროთ, სუფთა ქვაბში ჩავასხათ, დავდგათ ცეცხლზე და ვადულოთ 10-15 წუთი. შემდეგ დავუმატოთ დანაყილი ნიგოზი და ნიორი და 2-3 წთ ვადულოთ, შემდეგ ცეცხლიდან ვადმოვდგათ.

მოხარშული თევზი ლანგარზე მოვათავსოთ, დავასხათ ზედ გამზადებული საწებელი, მოვყაროთ წვრილად დაჭრილი ქინძი და სუფრაზე მივიტანოთ.

მასალა: კამბალა - 500 გ, სუფრის წითელი ღვინო - 1 ჩ/ჭ, წყალი - 1 ჩ/ჭ, ოხრახუმი - 1 კონა, ხახვი - 1 თავი, ნიგოზი - 1/2 ჩ/ჭ, ქინძი - 1 კონა.

ნამცხვარი „სნიეურსი“

მასალა ცომისათვის: 7 კვერცხის გული, 1 ჩ/ჭ შაქარი, 350 გ მარგარინი, 1 ჩ/კ სოდა, ძმარი, 3 ჩ/ჭ ფქვილი.

კვერცხის გულები და შაქარი კარგად ავთქვიფოთ, მარგარინი დავადნოთ და დავამატოთ გოგლიმოგლს. შემდეგ, მიღებულ ნარევს დავუმატოთ სოდა ძმრით, ვურიოთ და ბოლოს, შევაზილოთ ფქვილი. მიღებული ცომი გავყოთ 3 ნაწილად.



სადღესასწაულო სუფრა

სუფრის გამლისას მთავარი პრინციპი ის არის, რომ იგი მოხერხებულად და სასიამოვნოდ უნდა გაიშალოს.

მაგიდას ჯერ უნდა გადაეფაროს რომელიმე მძიმე, რბილი ქსოვილი, რაც დავიცავს ჭურჭლის ხმაურისაგან. მასზე უნდა გაიშალოს სუფრა (სასურველია თეთრი), რომლის ნაკეცი უნდა მიემართებოდეს მაგიდის ცენტრისაკენ, ბოლოები კი თანაბრად ვადმოეფინოს გვერდებზე.

სადღესასწაულო სუფრა მთლიანი სერვიზით უნდა გაიშალოს. სუფრაზე თეფშები იმის მიხედვით ეწყობა, რამდენი პერსონაც ჯდება მაგიდასთან. თეფშები ერთმანეთთან მჭიდროდ არ უნდა ელავოს და მაგიდასთან მსხლომნი ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდნენ. თეფშების ზემოთ დაიდება დაკეცილი ხელსახოცი, მარჯვენა მხარეს ეწყობა დანები და თუ სადილია - კოვზებიც, მარცხენა მხარეს კი - ჩანგლები. დანის პირი მიქცეული უნდა იყოს თეფშისაკენ, ჩანგლისა და კოვზის ჩახნეკილი მხარე - ზემოთ. თეფშის წინ უნდა იდგეს სხვადასხვა ზომის ორი-სამი ჭიქა.

პური თხელ ნაჭრებად უნდა დაიჭრას და მოთავსდეს სუფრაზე, საგანგებო საპურეზე ან ჩვეულებრივი თეფშებით ისე, რომ ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს. საუზმეული წინასწარ მოთავსდება სუფრაზე სხვადასხვა ადგილას. ყოველგვარი საწებელი და სანელებელი უმჯობესია, სუფრის შუა ხაზზე განლაგდეს.

სუფრის გასალამაზებლად უნდა დაიდგას რამდენიმე ლარნაკი ყვავილებით (უმჯობესია, შუა ხაზზე).

სასმლის ბოთლები (არა გაზიანი) გახსნილი უნდა დაიდგას სუფრაზე, არაყი - გრაფინში ჩასხმული. შამპანური, მინერალური წყლები და გაზიანი სასმელი სუფრაზე მიტანის წინ უნდა გაიხსნას.

7 კვერცხის ცილისა და 1 ჩ/ჭ შაქრისაგან. ავთქვიფოთ ბეზე, შემოვდგათ მღუღარე წყლის ორთქლზე, ვიდრე არ შესქელდება. ცომის ერთი ნაწილი გავაბრტყელოთ, ზვიდან წაუუსვათ ბეზე და შევდგათ ჰაერლუმელში გამოსაცხობად. ასევე გამოვაცხოთ მეორე ფენა, ხოლო მესამე - ბეზეს გარეშე.

კრები: 2 კოლოფი შედელებული რძე (მოხარშული), 300 გრამი კარაქი.

კარაქი ვთქვიფოთ გათეთრებამდე, ცოტაოდენ შაქართან ერთად. შევურიოთ შედელებული რძე.

კრები ფენებს წაუუსვათ, ხოლო ფენებს შორის მოვყაროთ წინასწარ თბილ წყალში ჩამბალი 1 ჩ/ჭ ქიშმიში და 200 გ მოხალული მიწის თხილი.

ნამცხვარს ზვიდან მოვასხათ მინაქარი.

მინაქრის მომზადების წესი: 3 ს/კ კაკოს ფხვნილს დავყაროთ 0,5 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი, დავამატოთ 50 გ კარაქი, დავასხათ 4 ჩ/ჭ რძე, დავდგათ ცეცხლზე, მივიყვანოთ ადულებამდე და ვადმოვდგათ. თბილივე მოვასხათ ნამცხვარს.

სადღესასწაულო სასმელი

მღუღარე წყალში ჩავყაროთ შაქარი, დანაყილი და გაცრილი ყვითელი ყვავილი, შევანჯღრიოთ და გავაცივოთ. შემდეგ შევურიოთ მაგარი არაყი ან კონიაკი. ჩავაწუროთ ლიმონი, დავუმატოთ ვანილი. კვლავ შევანჯღრიოთ, გავწუროთ ორკეც დოლბანდში და მოვათავსოთ ბროლის ან მინის ლამაზ ჭურჭელში.

მასალა: შაქარი - 1,5 ჩ/ჭ, არაყი ან კონიაკი - 250 გ, ლიმონი - 1 ცალი, წყალი 2 ჩ/ჭ, ყვითელი ყვავილი, ვანილი - გემოვნებით.



თქვენი პატარა

არც ერთ დღესასწაულზე ბავშვები არ ჭამენ იმდენ ტკბილეულს, რამდენსაც ახალ წელს. მშობლები ამას ეჭვის თვალთ უყურებენ: „ხომ არ აწყენს ბავშვს ბევრი ტკბილეული?“ — კითხულობენ ისინი.



ტკბილეულის თავშეუკავებელი ჭამა არღვევს ნივთიერებათა ცვლის მექანიზმს. დამატებით ტვირთავს ღვიძლს და იწვევს ალერგიულ რეაქციებს. გარდა ამისა, უზომო რაოდენობით მიღებული ნახშირწყლები აძლიერებს კუჭის წვენის სეკრეციას (გამოყოფას), განსაკუთრებით — ვეგეტაციური ნერვული სისტემის დარღვევის მქონე ბავშვებში. მათში კანფეტებმა შესაძლოა, კუჭის ტკივილი, გულის რევა და გულმძარვა გამოიწვიოს.

სარგებლობა

ტკბილეულში შემავალი ნახშირწყლები ენერჯის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ნახშირწყლების ფუნქციაში შედის აგრეთვე უჯრედული მემბრანის, სისხლის ცილების, ჰორმონების შენების პროცესში მონაწილეობა. ყველაზე პოპულარულ ტკბილეულში — შოკოლადში კი აღმოჩენილია ანტიოქსიდანტები — ნივთიერებები, რომელიც დადებითად მოქმედებს იმუნიტეტზე, ნივთიერებათა ცვლაზე, აფერხებს ქრონიკული და ინფექციური დაავადებების განვითარებას.

ბავშვის გემოვნება მშობელმა უნდა გამოზარდოს

ბავშვებში გემოს რეცეპტორების მგრძობელობა დაქვეითებულია. სწორედ ამიტომ უყვართ მათ უკიდურესობანი — ძალიან ტკბილი ან

ძალიან მლაშე. ბავშვის გემოვნების ჩამოყალიბებაზე მშობელმა უნდა იზრუნოს. მას შეუძლია პატარაში ტკბილეულისადმი თავშეუკავებელი დამოკიდებულების ფორმირება ან პირიქით — „შაქრის მანიაკის“ გაზრდა.

დაბოლოს, ტკბილეულს სიამოვნება და სიხარული მოაქვს. არ შეიძლება ბავშვი ყველაფერში შეეზღუდოთ, ავუკრძალოთ „გემრიელი სიამოვნება“. ცალკე საკითხია მისი რაოდენობა.

რომელ ტკბილეულს მივანიჭოთ უპირატესობა, რათა მისგან მაქსიმალური სარგებელი და რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მოგვადგეს?

სპეციალისტთა აზრით, სრულყოფილი განვითარებისათვის ბავშვს დღეში 30-40 გრამი „ტკბილი ნახშირწყლები“ ესაჭიროება. ეს დაახლოებით 2-3 კანფეტი ან 2 ნაჭერი ნამცხვარია. ამ ნორმის განაწილება დღის განმავლობაში ასე შეიძლება: საუზმეზე — ტკბილი ჩაი ან კაკაო, სადილის შემდეგ დასაშვებია დესერტი (თუმცა აუცილებელი არ არის). სადილიდან ვახშამდე შუალედი ყველაზე კარგი დროა პატარისათვის შოკოლადის ნატეხის ან ნამცხვრის ნაჭრის მისაღებად. ვახშამზე ისევ ტკბილეულის გარეშე უნდა გადავიაროთ.


● ტკბილეულიდან უმჯობესია შოკოლადი. სხვათა შორის, ამჟამად არსებობს მისი მრავალგვარი სახეობა, რომელშიც ვიტამინები, კალციუმი და რკინაა დამატებული.

დღესასწაულის დღეებში, რა თქმა უნდა, სუფრაზე უამრავი ტკბილეული იქნება და მიღებული ნახშირწყლების რაოდენობამაც ნორმას ორჯერ და შესაძლოა, მეტადაც გადააჭარბოს. ამიტომ დროდადრო შეაჩერეთ ხოლმე ტკბილეულისაკენ გაწვდილი პატარა ხელი. ეცადეთ, შემდგომი დღეები ტკბილის გარეშე გაატარებინოთ.

● ნუ შეიძინთ ე.წ. ჯოხიან საწუსუნ კანფეტებს, რადგან იგი მხოლოდ გამდნარი შაქარია, რომელსაც არომატიზატორებს უმატებენ. მისი კვებითი

ზიანი

ყოველთვის, როცა ბავშვი კანფეტს მიირთმევს, მასში შემავალი საქაროზა წარმოქმნის რძის მჟავას, რომელიც ზრდის პირის ღრუს მჟავე არეს. როცა ტკბილს სადილს დააყოლებენ ხოლმე, კბილებზე დარჩენილი ნადები იცავს მათ შაქრების დამანგრეველი ზემოქმედებისაგან. თუ ბავშვი კანფეტს ჭამიდან 2 საათის შემდეგ შეჭამს, კბილის მინანქარი დაუცველი ხვდება დაავადებას და მაგარ კბილებსაც კი კარიესი ემუქრება.



ღირებულება ნულს უტოლდება. სამაგიეროდ, დამატებით იტვირთება ფერმენტული სისტემა.

● ტკბილი გაზიანი სასმელი 3 წლამდე ბავშვისთვის მიუღებელია, რადგან ვაზი ჰაერის ბუშტუკებს წარმოქმნის და კუჭის შებერილობას იწვევს. უფრო მოზრდილი ასაკის ბავშვებისთვისაც ასეთი სასმელი ყოველდღიურ სიამოვნებად არ უნდა ვაქციოთ. უმჯობესია, ბავშვი ნატურალურ წვენებს მივაჩვიოთ.

შაქრები ადვილად ათვისებადი ნახშირწყლებია და მას შეუძლია ორგანიზმში ცხიმის სახით ჩალაგდეს. განსაკუთრებით ადვილად მატულობენ წონაში მსუქანი მშობლების შვილები.



როგორ განწყობით სვდებით ახალ წელს

ადამიანთა უმრავლესობას ახალი წლის დღესასწაული ძალიან უყვარს და 31 დეკემბრის ღამისთვის მზადებას ბევრად უფრო ადრე იწყებს. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა საჩუქრების მიღება, ნაძვის ხის მორთვა და უბრალოდ, ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად რამდენიმე საათის ხალისიანად და მხიარულად გატარება.

როგორ მოემზადეთ ახალი წლისთვის და შეძლებთ თუ არა მის სასიამოვნოდ აღნიშვნას — ამის გარკვევაში ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ.

1) რომელია თქვენი საყვარელი დღესასწაული?

- ა) დაბადების დღე - 2;
- ბ) ახალი წელი - 3;
- გ) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - 1.

2) ძირითადად, რის გამო გიყვართ დღესასწაულები?

- ა) ახლობლებისთვის საჩუქრების მიღების საშუალება გეძლევთ - 2;
- ბ) შინ მზადებას თავს არიდებთ და სტუმრად ან რესტორანში მიდიხართ - 1;
- გ) დროის კარგად გატარების პერსპექტივა გხიბლავთ - 3.

3) სად გიყვართ ახალი წლის აღნიშვნა?

- ა) შინ, ოჯახის წევრებთან ერთად - 3;
- ბ) სტუმრად - 2;
- გ) შინ და თანაც განმარტობით - 1.

4) რას უძღვებით საჩუქრად საყვარელ ადამიანებს საახალწლოდ?

- ა) საჩუქარს რამდენიმე თვით ადრე, მათი გემოვნების გათვალისწინებით იძენთ - 3;
- ბ) თავად მათ ეკითხებით, რისი მიღება სურთ საახალწლოდ - 2;
- გ) საერთოდ არ უძღვებით საჩუქარს - 1.

5) როგორ მოიტყვევით, თუ ახალი წლის შესახებ დრად ერთდროულად ორ საინტერესო ადგილას დაგპატიუებენ?

ა) ახალ წელს შინ შეხვდებით და შემდეგ ეცდებით, ორივეგან მოასწროთ მისვლა - 2;

ბ) იმ ადგილს აირჩევთ, სადაც თქვენი აზრით, უფრო მხიარული სიტუაცია იქნება + 3;

გ) იქ წახვალთ, სადაც უფრო ადრე მიგიპატიუებენ - 1.

6) როგორ იტყვევით, თუ რესტორანში ყოფნისას, სუფრიდან ყველა წამოიშლება და ცეკვას იწყებს, თქვენ კი ცეკვა მაინცდამაინც არ გეხერხებათ?

ა) მოიცდით, სანამ ნელტემპიან ცეკვაზე გადავლენ და საცეკვაოდ მაშინ გახვალთ - 2;

ბ) სუფრასთან დარჩებით და თავს ისე დაიჭერთ, თითქოს ძალიან მხიარულ განწყობაზე ხართ - 1;

გ) საკუთარ თავს ეტყვევით, რომ დღესასწაულში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა და თამამად შეუერთდებით მოცეკვავეებს - 3.

7) ყველაზე მეტად, რომელი მომენტი გხიბლავთ ახალი წლის დღესასწაულში?

ა) წინა ორი დღე და საახალწლო სამზადისი - 2;

ბ) ახალი წლის ღამე - 3;

გ) მოგწონთ, რომ ეს დღესასწაული მალე მთავრდება - 1.

8) რამდენ ხანს ფხიზლობთ ახალი წლის დადგომის შემდეგ?

ა) როგორც სიტუაცია მოიტანს - 2;

ბ) ორი-სამი საათი, შემდეგ კი იძინებთ - 1;

გ) აუცილებლად იმხიარულებთ დღემდე - 3.

9) თქვენი აზრით, შეგიძლიათ თუ არა მთელი სულითა და გულით მიეცეთ მხიარულებას?

ა) კი, თუ კარგ გუნებაზე ხართ - 2;

ბ) ახალი წლის მხიარულად აღნიშვნაში ხელს ვერაფერს შეგიშლით - 3;

გ) ცდილობთ, მაგრამ ხანდახან გუნება-განწყობილებას სულ პატარა წვრილმანიც კი გიფუჭებთ - 1.

10) გიყვართ თუ არა ახალი წლის ძველი სტილით აღნიშვნა?

ა) დიახ, აუცილებლად - 3;

ბ) გააჩნია, სად და რა სიტუაციაში - 2;

გ) რა საჭიროა ახალი წლის ორჯერ აღნიშვნა? - 1.

დააჯამეთ მულები

10-16: ახალი წლისთვის ისე ემზადებით, როგორც ყველა სხვა დღესასწაულისთვის. ისე კი, ახალ წელზე მეტად, თქვენი დაბადების დღე გიყვართ. ახალწლის ღამეს კი, რიგით დღესასწაულად მიიჩნევთ, მხოლოდ იმიტომ მონაწილეობთ საერთო მხიარულებაში, რომ ხედავთ, როგორ ხალისობენ სხვები. სხვათა შორის, ურიგო არ იქნება, თუ ეცდებით ახალი წლის დღესასწაულში უჩვეულო ხიბლის აღმოჩენას და ისევე გულიანად იმხიარულებთ, როგორც სხვები.

17-23: საერთოდ, მხიარულება და დღესასწაულები ძალიან გიყვართ და ცდილობთ, კალენდარზე წითლად აღნიშნული არც ერთი თარიღი არ დატოვოთ ისე, რომ არ აღნიშნოთ. თუმცა, იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ გუნებაზე ხართ. ახალი წელი კი გიყვართ, მაგრამ თუ უეცრად, უხალისობამ შეგიპყროთ, შეიძლება,

მეგობრებთან ერთად სადმე კარგ ადგილას წასვლაზეც კი თქვათ უარი და შინ გამოიკეტოთ. სამაგიეროდ, თუ კარგ განწყობაზე ხართ, მაშინ ყველა გრძნობს, რომ ახალი წელი თქვენი ერთ-ერთი საყვარელი დღესასწაულია.

24-30: იმდენად მხიარული და ლხინის მოყვარული ადამიანი, როგორც თქვენ ხართ, მართლაც სანთლითაა საძებნელი. ნებისმიერი წვეულების სული და გული ხდებით, მიუხედავად იმისა, თუ რას აღნიშნავთ — ვინმეს დაბადების დღეს თუ საკუთარ დღეობას. თუმცა ახალი წელი მაინც გამორჩეულად გიყვართ, მის შესახებ ვერაფერს მუდამ საგანგებოდ ემზადებით. მართლაც დასაფასებელია ის, რომ თქვენ გვერდით ადამიანები თავს ბედნიერად გრძნობენ, რადგან შეგწვეთ იმის უნარი, რომ სხვაც გაართოთ, ამხიარულოთ და თქვენც არ მოიწყინოთ.

2003 წლის ასტროლოგიური პროგნოზი




თხის რქა - 22/XII-20/I



წლის პირველ ნახევარში გაგრძელდება პროცესები, რომელიც 2002-ში დაიწყო. ბევრი დაძაბულობა გეგმით პარტნიორებთან ურთიერთობისას და ყველა საქმეს მხოლოდ ახლობლების თანადგომისა და დახმარების წყალობით გაართმევთ თავს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდაც, დიდად იქნებით დამოკიდებული პარტნიორებზე, აგრეთვე - გარემოებებზე, რომელშიც მოქმედება მოგიწევთ. იმისათვის, რომ ზედმეტ დაბრკოლებებს არიდოთ თავი, ვარსკვლავები გირჩევენ, მიჰყევთ დინებას და იმ ფაქტორების გათვალისწინებაც არ დაგავიწყდეთ, რომელშიც გინდებთ პროფესიული საქმიანობა. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, - გირჩევთ, მკაცრად გააკონტროლოთ მატერიალური სფერო და არ გამოიჩინოთ უყიარათობა.

მეჩვეულო - 21/I-19/II



მერწყულებმა უნდა გამოიჩინონ ახალ გარემოებებთან შეგუების, ახალ ადამიანებთან დაკონტაქტებისა და, როგორც საქმეში, ისე პირად ცხოვრებაში ურთიერთობათა ახლებურად აგების უნარი. თქვენი საქმიანობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება ახალი პარტნიორების როლი. თუ ყვე-


ცხენის წელიწადი გამოირჩეოდა იმით, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენდა ოჯახი, ამასთანავე, თუ გაყრის პრობლემა დგებოდა, საკითხის გადაწყვეტაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს მშობლებს აკისრებდნენ. თხის (იგივე ცხენის) წელიწადში წინა პლანზე წამოიწვეს თავად ქალ-ვაჟს შორის არსებული ემოციური ჰარმონიის საკითხი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თხის წელიწადში პრიორიტეტული გახდება ბავშვთა პრობლემების გადაჭრა. დაბალი შობადობა, მშობელთა პასუხისმგებლობა, მომავალი თაობების აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღების არეშიც უფრო მოექცევა, ვიდრე 2002 წელს.

როგორც ასტროლოგები ირწმუნებიან, 2003 წლის შემოდგომიდან, ხელოვნებისა და საერთოდ, კულტურისადმი, ფართო ფენები - მათ შორის, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურები გაამახვილებენ ყურადღებას, რაც კერძოდ, ამ სფეროში სპონსორებისა და მეცენატების მომრავლებაშიც პოვნებს გამოხატულებას. ახლა კი, იმის შესახებ, თუ რა ელის ზოდიაქოს ნიშნებს 2003 წელს საქმიანობის სფეროში (სიყვარულისა და საერთოდ პირადი ცხოვრების პროგნოზს, „გზის“ მომდევნო - 2003 წლის პირველ ნომერში შემოგთავაზებთ).


ლაფერი კარგად აეწყო, შესაძლოა, სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოთ ბიზნესსა თუ სამსახურებრივ საქმიანობაში. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მერწყულს თავის პარტნიორებზე უფრო სუსტი პოზიციები ექნება, ამიტომ მთავარია, სწორად განსაზღვროთ თქვენი და გარშემომყოფთა როლები. ფინანსური თვალსაზრისით, წლის პირველი ნახევარი არცთუ ისე ურიგო იქნება, მაგრამ მეორე ნახევარში, დიდი სიფრთხილე გამართებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარალი არ ავცდებათ.

თაგვიანი - 20/II-20/III



წლის პირველ ნახევარში, როტული პროფესიული პრობლემების გადაწყვეტა მოგიწევთ. ახალ საქმეებთან შეჭიდებისას, უამრავი დაბრკოლება შეგხვდებათ. პლანეტები გპირდებიან სტაბილურობასა და ბევრი ჩანაფიქრის რეალიზებას აპრილსა და ავგვისტოში. წლის მეორე ნახევარში, ძალზედ გააქტიურდებიან თქვენი ოპონენტები და კონკურენტები. შესაძლოა, მათ ზოგიერთი თქვენი პარტნიორიც შეუერთდეს, ამიტომ გამოიჩინეთ სიფრთხილე კოლეგებთან და უფროსობასთან ურთიერთობისას. წლის პირველ ნახევარში, თევზებს გაეზრდებათ შემოსავალი, თუმცა, ეს მხოლოდ მათ ეხება, ვინც მზადაა, თავდაუზოგავად იმრომოს საკუთარი მოვალეობების შესრულებისას.

მეჩვი - 21/III-20/IV



თავიდან, ხშირად გაგიღიძებთ ბედი. თქვენ გეგმით ემოციების მკვეთრი ცვლის, ბევრი ახალი ნაცნობობა, მოულოდნელი

მოგზაურობები და უამრავი გართობა. აი, სექტემბრიდან კი, მკაცრი საშემოდგომო სადავი დღეები დაგიდგებათ. წარმატებები განსაკუთრებით სდევს თან შემოქმედებითი პროფესიების ვერძებს. ბევრ მათგანს საკუთარი ნიჭის საზღვარგარეთ დემონსტრირების საშუალებაც მიეცემა. ნაკლებად სტაბილურია ფინანსური მდგომარეობა: წლის პირველ ნახევარში, ვერძებს ფულის უყიარათოდ ხარჯვის სურვილი მოეძალდებათ, მეორე ნახევარში კი, დადებული ვალდებულებებისა და აღებული სესხების დაფარვა მოუწევთ.

მეძრო - 21/IV-21/V



თქვენს პროფესიულ საქმიანობაში კვლავ მოხდება ცვლილებები, რომელიც ცხენის წელიწადში დაიწყო. მეწარმეები

გაზრდიან საკუთარ ბიზნესს, მოიზიდავენ ახალ პარტნიორებს; წლის პირველ ნახევარში, ბიზნესის სრული განახლება კი არის შესაძლებელი. რაც შეეხება მოსამსახურეებს - ისინი ან თავად ეცდებიან მცირე ბიზნესის წამოწყებას, ან სამსახურ-

ში მომხდარი მასშტაბური ცვლილებების მონაწილენი ვახდებიან. ფინანსური თვალსაზრისით, არასტაბილური იქნება წლის მეორე ნახევარი. შესაძლოა, პრობლემები ახლოებულ ადამიანებთან ურთიერთობასაც შეეხოს.

პარნეზი - 22/IV-21/VI



მთელი წლის მანძილზე, გამუდმებით მოძრაობაში იქნებით. ცვლილებები ყველგან – სამსახურშიც, ოჯახშიც და მეგობართა წრეშიც მოხდება. რაც მთავარია, გამოჩნდება რეალური პერსპექტივა თქვენ მიერ დიდი ხნის ნაფიქრი საქმისა. მოგზაურობისას, შეხვედრებისა და კონტაქტების დროს, უამრავ ახალ, სასარგებლო ინფორმაციას მიიღებთ. წლის მეორე ნახევარში, შესაძლოა, თქვენი პროფესიული გეგმები კვლავ შეიცვალოს. ცვლილებებს კი, მუდამ უამრავი ხარჯი მოხდევს. ახალი საქმე მალე არ მოგიტანთ მოგებას, ამიტომ გაითვალისწინეთ, რომ სტაბილური შემოსავალი ძველ, ნაცად სამუშაოს მოაქვს.

ბირნეზი - 22/VI-22/VII



ამ ნიშნის წარმომადგენლები საქმიანი აქტივობის მოძალბას იგრძნობენ. ვაგრძელებს დადებითი ტენდენციები, რომლითაც დამლევი წელი გამოირჩეოდა. როგორც მეწარმეებს, ასევე მოსამსახურეებს, მიეცემატ შანსი, გაზარდონ თავიანთი შემოსავლები და უფრო მაღალ ეკონომიკურ საფეხურზე ავიდნენ. თუ ბიზნესმენები ბრძანდებით, გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ფირმა მაკონტროლებელი ორგანიზების ყურადღების არეში მოექცევა, თუ მოსამსახურე – კოლეგების ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდებით. მთავარია, დროულად მოახერხოთ სიტუაციის გაკონტროლება – ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი მოგვარდება. ფინანსური თვალსაზრისით დადებითი იქნება წლის პირველი ნახევარი. მეორე ნახევარში, ამ სფეროში მეტი სიფრთხილე გმართებთ.

ლქი - 23/VI-23/VIII



ვინც დამლევი წელს გამოიცვალა სამსახური ან საქმიანობის სფერო, მალე დარწმუნდება იმაში,


თუ რამდენად სწორი არჩევანი გააკეთა. წლის პირველ ნახევარში, მოგეცემატ შანსი, უფრო მაღალ პროფესიულ საფეხურზე ახვიდეთ. წლის პირველ ნახევარში, ბევრი გაურკვევლობა წარმოიქმნება პარტნიორებთან ურთიერთობისას, ამიტომ ეცადეთ, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიოთ. წლის მეორე ნახევარში, ფინანსური პრობლემები შეგაწუხებთ – განსხვავებით წლის პირველი ნახევრისგან, რომელიც საკმაოდ წარმატებული იქნება ამ თვალსაზრისით. თითქმის ყველა ღოღს რაღაც ქონებრივი საკითხის გადაწყვეტა მოუწევს – ან უძრავობასთან, ან სესხთან, ან სულაც, ახლობლის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.

ქალწული - 24/VIII-23/IX



წლის პირველი ნახევარი საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია. ბევრი ქალწული საკუთარ ბიზნესთან დაკავშირებული საორგანიზაციო პრობლემების მოგვარებით იქნება დაკავებული. მეწარმემ შეიძლება, თავისი საქმიანობის გაფართოებას ან პროფილის შეცვლას მიჰყოს ხელი, თუმცა, ცვლილება შესაძლოა, მხოლოდ ოფისს შეეხოს. არ არის გამორიცხული, რომ სიძნელეები გაგიჩნდებთ იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც 2002 წლის შემოდგომაზე წამოიჭრა. მზად უნდა იყოთ კოლეგებთან და პარტნიორებთან ურთიერთობის შესაძლო გართულებისთვის, განსაკუთრებით – წლის პირველ ნახევარში. თუმცა, ზოგიერთი მათგანის მხარდაჭერაც დიდ სამსახურს გაგიწევთ, მათ შორის – ფინანსურს.

სასწორი - 24/IX-23/X



დამლევი წელი ორ, საკმაოდ განსხვავებულ პერიოდად შეიძლება დავყოთ. წლის პირველ ნახევარში, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ მეგობრები და მეზარეულები, რომლებთანაც ინტენსიური ურთიერთობაც 2002 წლის გაზაფხულზე დაიწყო. და თუმცა ეს კავშირები დროდადრო, არასტაბილური იყო, მათი მეშვეობით ბევრი სასიკეთო პროფესიული ნაბიჯის გადადგმას

შეძლებთ. მთელი წლის მანძილზე არამყარი იქნება თქვენი ფინანსური მდგომარეობა, რაც თქვენივე შეცდომებით იქნება განპირობებული. გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია დაიცვათ დისციპლინა, განსაკუთრებით – ფინანსური. ამასთანავე, საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ეს, ყველა სასწორს ეხება – განურჩევლად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა.

ღმინებელი - 24/X-22/XI



სერიოზული, მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი წელი გეკლით. ბევრი ძალისხმევა და დიდი შეუპოვრობა გმართებთ,

რათა ყველა კარგი ხანაფიქრი რეალობად აქციოთ. მოვლენები, რომელიც თხის წელში მოხდება, თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და ახალ სოციალურ საფეხურზე ასვლას გპირდებათ. კარგი პერსპექტივები წლის პირველ ნახევარში გადაგემოვებათ. ვისაც სამსახურის გამოცვლა, საკუთარი ბიზნესის წამოწყება ან რაღაც პროექტის განხორციელება სურს, მათ ამ ხელსაყრელი პერიოდის გამოყენება მართებთ. შექტემბრიდან, ამის შანსი ნაკლებად მოგეცემატ. შესაძლოა, მეგობრებთან და კოლეგებთან ურთიერთობაც გაგირთულდეთ. რაც შეეხება ფინანსურ სფეროს – წლის პირველი ნახევარი ამ თვალსაზრისითაც გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე მეორე.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



დამლევი წელს, მშვილდოსანი ნამდვილი ავილაინერივით გაიჭრება „ჰაერში“ და მის სვლას ვერაფერი შეაჩერებს.

წინ მას გრანდიოზული გეგმების განხორციელება ელის. 2003 წელს, მართლაც ბევრი შანსი გაგიჩნდებათ, საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნოთ. ბევრი რამ თქვენს ცხოვრებაში უკვე შეიცვალა 2002 წელს. ამ ცვლილებების ლოგიკური გაგრძელება თხის წელს მოხდება, უფრო მეტიც – დაიწყება თქვენი პროფესიული და პირადი ცხოვრების ახალი ციკლი, რომელიც დაახლოებით 6-7 წელი გაგრძელდება. მთავარია, ხელიდან არ გაუშვათ მოცემული შანსი და სწორად განსაზღვროთ მოქმედების სტრატეგია.

ეგვიპტელი ქაღალაქონები ინტერნეტზე ეჭვიანობენ

ეგვიპტეში სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივანი ქაღალაქონის სარჩელი და იგი ქმარს გაამორა. ცოლი გაყრის მიზეზად ქმრის ინტერნეტით გატაცებას ასახელებდა და აცხადებდა, რომ იგი კომპიუტერთან დღეში 14 საათს მაინც ატარებდა.



როგორც ცნობილია, ქალებმა ეგვიპტეში მხოლოდ 2000 წლის მარტში მოიპოვეს იმის უფლება, რომ გაყრის ინციტორები თავად ყოფილიყვნენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის მიხედვით, ქაღალაქონებს, რომლებიც ოჯახური უღლისაგან გათავისუფლებას გადაწყვეტენ, საკმაოდ დიდი მსხვერპლის გაღება უწევთ: ქმარს უნდა დაუბრუნონ ურვადი - ე.ი. ის თანხა, რომელიც თავის დროზე მისმა საქმრომ საცოლის ოჯახს გადაუხადა, ქმრის ოჯახში დატოვონ თანაცხოვრების მანძილზე მისთვის მიძღვნილი ყველა საჩუქარი და პრეტენზია არ განაცხადონ აღიმენტზე.

ინტერნეტის მოყვარული მამაკაცის ცოლმა სასამართლოზე ისიც განაცხადა, რომ ქმარი პორნოსაიტებისა და პორნოჩატების ხშირი სტუმარიც გახლდათ. კაიროელმა მოსამართლეებმა ქაღალაქონის სარჩელი სამართლიანად ცნეს და განაცხადეს, რომ ინტერნეტმა ამ წვეილს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია.

სამთავრობო მონაცემების მიხედვით, ეგვიპტეში, რომლის მოსახლეობაც 64 მლნ-ს შეადგენს, სასამართლოში ყოველწლიურად, გაყრის თაობაზე, 1,5 მლნ განცხადება შედის.

ლოხმა საჯეთაჰ ჰახონს ეხმობა და მოქდა



46 წლის პანამელი დევიდ მონტანო ლუარტე ვერაგუსეში, საკუთარ ფერმაზე, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა; თვითმხილველთა თქმით, პატრონი ფერმის ერთ-ერთი ღორის მიერ შემთხვევით გასრო-

ლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. ფერმერი ნადირობიდან დაბრუნებულა და სადილობა გადაუწყვეტია, სანადირო თოფი კი იქვე მაგიდაზე მიუყუდებია. ამ დროს, ოთახში ღორი შესულა, რომელიც თოფს დასჯახებია; თოფი გაყარდნილა, პატრონი კი თავში მიღებული ჭრილობისაგან ადგილზევე გარდაცვლილა. ფერმერის ცოლი და გერი ამ შემთხვევის მოწმეები არიან. როცა პოლიციელები ფერმაში მივიდნენ, ისინი შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ყველაზე უცნაური შემთხვევაა, რომელსაც კი იგი მთელი თავისი პრაქტიკის მანძილზე შეხვედრია.

ოთხი წლის წინ დაჯახედი ძაღლი ჰახონს საშობაოდ დაუბეხნდა

1998 წლის მაისში ბრიტანეთის ქალაქ ტიპტონის მცხოვრებს სტიუარტ სტენფორდს, ძაღლი დაეკარგა. სტიუარტი და დედამისი - ჯოისი, ხანგრძლივი დროის მანძილზე ეძებდნენ ძაღლს: მათ დაკარგული დრუპის ფოტოები ყველგან გამოაქრეს, მაგრამ ებ-



ნამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. 2002 წლის დეკემბრის შუა რიცხვებისათვის სტენფორდებთან ცხოველთა დაცვის სამეფო ორგანიზაციიდან დარეკეს და შეატყობინეს, რომ მათი ძაღლი იპოვეს. BBC-ს ცნობით, ძაღლი ბირმინგემის მიდამოებში იპოვეს. ძაღლის მპოვნელებმა დრუპის კისერზე მიკროჩიპი აღმოუჩინეს, სადაც ძაღლის პატრონის სახელი იყო ჩაწერილი. ეს ჩიპი დრუპის ჯერ კიდევ ლეკვობისას შეაბა სტიუარტმა ყელზე. მისი მეშვეობით კი, სტენფორდების მოძებნა აღარ გასჭირვებიათ. „მე მეგონა, რომ მასხრად მივღებდნენ, ამდენი წლის შემდეგ დრუპის გამოჩენა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, მაგრამ როცა მივხვდი, რომ ძაღლი მართლაც იპოვეს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ნამდვილი სასწაული იყო“, - განუცხადა სტიუარტმა BBC-ს ჟურნალისტებს.

სტუდენტმა მეტეოში ჰანიკა გამოიწვია

ნიუ-იორკის ვიზუალური ხელოვნების სკოლის სტუდენტის - კლინტონ ბოისვერტის მიერ სასწავლო პროექტის განხორციელების მცდელობამ, ნიუ-იორკის ერთ-ერთ მეტროს სადგურში ჰანიკა გამოიწვია. სტუდენტი საკუთარი ნებით გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში და აღიარა, რომ იუნ-იორ-სკვერის მეტროს სადგურში 38 შავი ყუთი, წარწერით - „შიში“, სწორედ მან დაამონტაჟა. იგი თურმე საშინაო დავალებას ასრულებდა და ამის მეშვეობით, საზოგადოებრივ ადგილებში დადგმული ხელოვნების ნიმუშების ადამიანებზე ზემოქმედების შესწავლა სურდა. ვარაუდობენ, რომ 25 წლის სტუდენტს ადამიანების სიცოცხლისათვის სახიფათო სიტუაციის შექმნისათვის, ბრალს წაუყენებენ.



ფოტოკუჩიოზები



ძაღვან სან ცეხესო უეხნაელი!

696 / 42

პროკავური კვირადღის გაუმჯობეს პერიოდს

TV-პროგრამა
23.12-29.12 2002 წ.

ჩინოვანი

1613 უბანი 60 მ.

54



ვინ „კენს“ ეკა ნიქარაქან და როდის ხუჭავს ხოლვე თვალქვს

60



„სკოჩი“ და შამგანური ბუბა კიქაბიძისთვის... და კანაღური განმეღაბი

15



გენიღური კოგე მახარაქა

ორგობრიღი უოუბიზნესი

რატოზ ინეჯანიღა ბადრი პატარკასიოვიღი სიმღრისგან უღვავებს და...

როგორ „ბაღაბღეს“ ღათო ხუჯაქე

უოვეღლ ორუბაბათს!